

1.

1828 წლის გაზაფხულზე, მგონი სულთმოფენობა დღეს, ქალაქ თფილისში, საპყრობილიდან გაათავისუფლეს ოცდაექვსი წლის აზნაური ფავენელი, ნაცნობ-მეგობართა შორის ბადუნად წოდებული,

აზნაურს საპყრობილის საგანგებო ოთახში დაუბრუნეს თავისი აღჭურვილობა: ვერცხლით მოსირმული ქამარი, ვერცხლისავე ხანჯალი და ქარქაშმოვერცხლილი ხმალი სპარსული ფოლადისა; სულ საგვარეულო წიგთები, ასევე საპირისწამლეც, ვერცხლშივე გალამაზებული, რომელსაც ჯერ კიდევ ასდიოდა დენთის სუნნი.

საპყრობილე ციხე სულაც არ იყო, არამედ მხოლოდ სამხედრო ყაზარმები, საქართველოს დაპყრობის მეოთხედი საუკუნის თავზე რუსებს ჯერ კიდევ არ აეშენებინათ ციხე თფილისში: ალბათ საჭირო არ იყო და იმიტომ. მხოლოდ სადილევე ორმოები იყო ძველი ციხესიმაგრის ეზოში და ეს კმაროდა.

მაგრამ ახალგაზრდა ფავენელს, როგორც აზნაურს, საერთო დილეგში ვერ ჩააგდებდნენ, ვინაიდან ის კეთილშობილი სისხლისა იყო და ასეთებისთვის ყაზარმებში პატარა ოთახები გამოიყენებოდა ხოლმე.

ეს გაათავისუფლება მოულოდნელი იყო: ჩანს, ვიღაცამ ძალიან მოიწადინა და მთელი გულით იშუამდგომლა გენერალ-გუბერნატორთან, ანდა კიდევ უფრო მაღლა, მთავარმართებელთან, თორემ ამ ამბავს ისეთი პირი არ უჩანდა, რომ ტუსაღს ძალიან მალე გაათავისუფლებდნენ. მეტიც, ნახევარზე თმასაც გადაპარსავდნენ და ცალ უღვამსაც ჩამოკრეჭდნენ, როგორც რუსთა წესი იყო დამნაშავეს მიმართ და დაბორკილს გაუმგებდნენ ციმბირში ვინ იცის, რამდენი ხნით.

თფილისში მაშინ ზღაპრები დადიოდა ციმბირზე: საშინელი ზღაპრები ყინულისა და მძიმე ხუნდების შესახებ. ანჩისხატის ეკლესიაში ერთი მღვდელი ქადაგებდა, ჯოჯოხეთი სწორედ ციმბირიაო.

მაინც კარგია, როცა დიდი და გავლენიანი ნათლიები გყავს. ახალგაზრდა ფავენელმა არაფერი იცოდა თავისი გაათავისუფლების უკანა ლაპარაკების, მაგრამ რახან გაათავისუფლეს, იქ დიდხანს აღარ გაჩერებულა: მხოლოდ პოლკოვნიკის კაბინეტში შეიყვანეს, ჯერაც იარაღაუსხმელი და იქ კი კუმტი, ლურჯსამოსიანი კაცი დაუხვდა, რომელიც ადრევე ენახა, მაგრამ მისი გვარი ვერ დაემახსოვრებინა, ეს კაცი პოლკოვნიკი იყო, რომელსაც არაერთხელ დაეკითხა ფავენელი.

პოლკოვნიკმა საბურნუთე ხმაურით დაკეცა და რუსულად უთხრა: – თქვენ გაათავისუფლებული ხართ, მისი უმადლესობის ჩარევით... უმადლოდეთ თქვენს ქართველებს, რომლებმაც ხელიდან გამოგვგლიჯეს თქვენი თავი, მძიმე სასჯელი გეკუთვნით... ხელი მოაწერეთ ამ ქალაქდებს... რუსული ხომ გესმით?

ბადუნა ფავნელმა გაიღიმა, რადგან ბევრი ვერაფერი გაიგო პოლკოვნიკის ნალაპარაკებისა, მაგრამ მაგიდას მინც მიუჯდა და იქ დალაგებულ ქაღალდებს დახედა, რომელთა შინაარსიც ასევე არ ესმოდა.

– ხელი მოაწერეთ... – თქვა პოლკოვნიკმა, – ამ ქაღალდით თქვენ კატორღას გადარჩით, მაგრამ ათ წელიწადს გამოუსვლელად უნდა იცხოვროთ თქვენს სოფელში. თფილისი, ან ყოველივე სხვა ადგილი თქვენთვის დაკეტილია.

ახალგაზრდა აზნაურმა ესეც ვერ გაიგო ხეირიანად, მაგრამ მიხვდა, რომ ათავისუფლებდნენ და ქაღალდის კიდეზე ქართულად დაწერა: ყაზული ვარ.

პოლკოვნიკმა იფიქრა, რომ ეს მისი ხელმოწერაა, ფავნელმა კი ნეკიდან ბეჭედი წაიძრო და ოთახში მიმოიხედა, რათა სადმე ნახშირი ეპოვა და ქაღალდისთვის ჩვეული წესით პირადი ბეჭედი დაეკრა. მშვიდად წამოდგა, კედლის ღუმელი გამოაღო და ბეჭედი შიგ გაატარ-გამოატარა.

პოლკოვნიკი მრისხანედ უმზერდა.

ფავნელმა ქაღალდს მოქნეულად დასცა ბეჭედი, მერე ისევ თითზე წამოიცვა და წამოდგა.

– მიბრძანდით, – თქვა პოლკოვნიკმა და თავის მაგიდას მიუჯდა.

ფავნელმა თითქოს თავი დაუკრაო, გატრიალდა და გავიდა. კართან თოფიანი ელოდა, ის გაუძღვა სხვა ოთახისკენ, სადაც იარაღი დაუბრუნეს.

– დამბაჩა? – იკითხა ნატუსადარმა, – დამბაჩა.

რუსებმა ერთმანეთს გადახედეს და თავი გააქნიეს.

დამბაჩა არ დაუბრუნეს.

დილა იყო. ყაზარმების ალაყაფს გარეთ კი, წყლის მეორე ნაპირზე, ქალაქი თფილისი ჩანდა.

2.

ის, რასაც მერე დუელი ეწოდა საქმის ვითარების შესამსუბუქებლად, სულაც არ იყო დუელი.

ბადუნა ფავნელი, თავად ერისთავთა ხელქვეით აზნაურთა შთამომავალი, ობოლი, როგორც საბუთებში ეწერა და პატრონი რამდენიმე ვენახისა ქალაქის ახლოს სოფელ ფავნისში, ხმლით შეებრძოლა რუსეთ-ოსმალეთის ომის საბრძოლო ხაზიდან თბილისში ამაყად მობრუნებულ ერთ რუს ოფიცერს: დღისით-მზისით, შუა ბაზრის ჩასასვლელთან ზედ კოჯრის ნაკრძალის წინ.

ეს იყო ნაშუადღევს. ფავნელი შემთხვევით გამოვიდა ქუჩის ჩაყოლებაზე მიდგმული ერთ-ერთი ყავახანიდან, სადაც კამათლის თამაშს უცქერდა.

ოფიცერი აღმოსავლური ტკბილეულობის დახლს არბევდა, ხმლით დარეოდა ქუჩაზე გამოდგმულ ნამცხვართა და ნუგბართა პირამიდებს და ეს ძალიან ლამაზად გამოსდიოდა. სპარსელი მეშაქარლამე ქუჩაზე ჩაკუნტულიყო და თვალებზე ხელაფარებული ელოდა განსაცდელის დასასრულს.

ხალხი გარშემო კი შემოჯგუფულიყო, მაგრამ მთლად მიახლოებასაც ვერ ბედავდა: ოფიცერი ხმლის ნამდვილი ჯადოქარი ჩანდა და დიდი თავმოწონებით ფანდობდა: ხან ხელუკუდმა აუსვამდა დახლებს ხმალს, ხან ჯიქურ შეუტევდა, ხანაც ფერდულად. ზოგიერთები ტაშსაც კი უკრავდნენ, ანდა შესმახებდნენ რამეს.

ოფიცერმა იცოდა, რომ უფროსობა შეახურებდა, მაგრამ ჩანს, ზარალი უღირდა. ყოველი ასეთი ფანდის შემდეგ, ბრბოს თავზე გადაატარებდა თვალს: იქეთ, დახურულ ეკიპაჟში ნამდვილად ვიღაც იჯდა. ნამდვილად ქალი, რომელიც ყოველივე ამას უყურებდა.

ეს იყო, მეტი არაფერი.

თუმცა, რა უნდა მოსწონებოდა ქალს, ვერავინ იტყოდა: რას გაუგებ საქმიდან გამარჯვებულად დაბრუნებულ ოფიცერს, ცხადია, რომ კეთილშობილი სისხლისას.

ამის დამნახავმა ბადუნა ფავნელმა ნელი ნაბიჯით ჩაუარა ზურგსუკან, ოფიცერის გარშემო შემოჯგუფულ ორი დუჟინამდე მოსეირეს და სწორედ იმ ეკიპაჟის სარკმლის წინ გაჩერდა, რომლისკენაც მალიმალ გამოიხედავდა ხოლმე ტკბილეულობასთან ხმალაობით ანთებული ოფიცერი.

გამოძიებამ ვერ დაადგინა, ახალგაზრდა აზნაური საგანგებოდ დადგა ეკიპაჟის სარკმელთან, თუ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა სასეირო ადგილი კოჯრის კარის კიდეზე არ დარჩენილიყო.

თვით გენერალ-გუბერნატორის სამდივნოშიც კი, თარჯიმნის მეშვეობით შედგენილ მისი დაკითხვის ოქმს ბევრი ვერაფერი გაუგეს.

ფავნელი პასუხობდა: ცხრაასზე მეტი წლის წინათ, ჩემმა წინაპარმა ოთხი სოფელი აჩუქა შიომღვიმის მონასტერს. ჩემთვის ძნელია, როცა ადამიანი ხმალს მომიშვერს, რომ მას ეს ამბავი ვუამბო. ხოლო მიწა, რომელზეც ვიდექი, ციციშვილების საკუთრებაა და მგონი, თუ რამე მოხდა ჩემსა და იმ ოფიცერს შორის, ციციშვილმა უნდა გაარჩიოს.

ეს ადგილი, მართლაც ციციშვილების მიწა იყო. გენერალ-გუბერნატორის სამდივნოში ისე დაიბნენ, რომ მართლაც მოიწვიეს ამ გვარის თავადები და ძველი ქართული

სამართლის შესწავლაც სცადეს ახალგაზრდა ფავენელის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის უკეთ გასაგებად.

ბადუნა ფავენელი კი ეკიპაჟის წინ გაჩერებულიყო. ოფიცერმა რბევა რომ მოათავა, ჯიბეში ჩაიყო ხელი და ქაღალდის ფული მიუყარა მიწაში ჩამოხობილ სპარსელს, მერე კი ხმალი დაასო რაჭათლუკუმის მოზრდილ ნაჭერს, ნადავლივით ამართა მაღლა და მოქნილი მოძრაობით შეათამაშა ჰაერში, მერე კვლავ თვალი ჰკიდა ხალხის უკან გაჩერებულ ეკიპაჟს და ამაყი და კეფაზე კარტუზგადაგდებული დაიძრა მისკენ.

მოსეირენი გაიყვნენ, გზა მისცეს და აღმოჩნდა, რომ ეკიპაჟის კარისკენ სავალ გზაზე ერთადერთი ვინმე ბადუნა ფავენელი დარჩენილიყო.

– გზა, გზა, თავადო! – დასძახა ოფიცერმა რუსულად, ფავენელმა კი მხოლოდ გაიღიმა.

პოლკოვნიკს სჯეროდა, რომ ახალგაზრდა ფავენელი განგებ გადაეღობა ეკიპაჟის კარს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

დელიკატურობის გამო არ გახშიანდა იმ ეკიპაჟის მგზავრთა სახელები და ამ გაუხშიანებლობას პოლკოვნიკიც ვერ წაუვიდოდა. ოფიცერს მხოლოდ ტკბილეულობის თავმომწონედ მირთმევა უნდოდა. პოლკოვნიკს კი ვერავინ გადაარწმუნებდა, რომ ის, რაც მოხდა, ბანოვანთა კეთილგანწყობისთვის მოპაექრე ადამიანთა ორთაბრძოლად დაესახა, მაგრამ ფავენელი სრულიად მოულოდნელად პასუხობდა და თან პოლკოვნიკი შებორკილი იყო.

– გზა, გზა, თავადო...

3.

პორუჩიკი გეხტი მიღებული ჭრილობისგან ყაზარმების სამკურნალოში გარდაიცვალა, იმ ადგილიდან ორმოცდაათიოდ ნაბიჯში, სადაც მეორე დილით, დატუსაღებული ბადუნა ფავენელი ეჯდათ სამხედროებს.

პორუჩიკმა მოახერხა და დაწერა წერილი პოლკოვნიკის სახელზე, სადაც ამბავს, ვითარცა უცაბედ დუელს ისე აღწერდა და ითხოვდა, რომ ღმობიერნი ყოფილიყვნენ მისი მეტოქის მიმართ, რომელთანაც გაუგებრობა მოუხდა. პორუჩიკი გეხტი თავის მოკლე და არეულ ნაწერში არც ეკიპაჟს ახსენებდა და არც შიგ მჯდომ ბანოვანს, თუ ბანოვანთ, რაც ოფიცერთა ჩვეულ კეთილშობილებას ადასტურებდა. ის ასევე ითხოვდა თავის მეტოქესთან შეხვედრას და მასთან გასაუბრებას: სრულიად დაუდგენელი მიზეზით, რაც გენერალ-გუბერნატორის სამდივნომ აკრძალა და რამაც პოლკოვნიკს კიდევ უფრო მტკიცედ აფიქრებინა, რომ ახალგაზრდა ფავენელი ადრიდანვე იცნობდა პორუჩიკ გეხტს და მას საგანგებოდ დაუდარაჯდა ამ ქუჩაზე, რათა მეტოქე ჩამოეცილებინა სამიჯნურო საქმეში.

როდესაც ფავენელის მძლე ნათლიებმა, რომელთაგან ერთი უკვე რუსთა გენერალიც კი შექნილიყო, პროტექცია დაიწყეს, გამოირკვა, რომ ამ საქმის მიჩუმათება და მორბილება თვით მთავარმართებლის სამდივნოშიც სურდათ, რამაც პოლკოვნიკი, რომელსაც გამოძიება დაავალეს, მიახვედრა, რომ ფავენელი ყოველგვარ სასჯელს გადაურჩებოდა.

და მაინც, პოლკოვნიკი თავისას ცდილობდა. პოლკში ყველას უყვარდა პორუჩიკი გეხტი, რომელიც საშაქარლამოს კი არბევდა, მაგრამ ერევნის ბრძოლებში თავი საუცხოოდ წარმოეჩინა და ბანქოს ვალებსაც ყოველთვის ღირსეულად იხდიდა.

შეტაკება ხანმოკლე იყო.

ახალგაზრდა ფავნელი პოლკოვნიკს პასუხობდა, რომ საერთოდ არ დაუნახავს ხმლის წვერზე წამოგებული რაჭათლუკუმის ნაჭერი და ოფიცერი შეტევაზე წამოსულ უცნობ ვინმედ მიიღო.

მან ნაბიჯი უკან წადგა, წაიჩოქა და ხმალი იშიშვლა. გამოძიების ოქმებში ეწერა, რომ მოსერიებმა ხეირიანად ვერც კი შეასწრეს თვალი, მხოლოდ გაიგონეს ფოლადის ორი გაჟღარუნება. მესამე შეყრა სასიკვდილო ჭრილობად გამოდგა პორუჩიკ გეხტისათვის, რომელიც, მოზარბაცე, დამბაჩის ამოღებას ცდილობდა, მაგრამ აღარ ძალუძდა.

კი არ გადაჰკრა, დაყვინთა და გაუყარაო, ასე აღნიშნავდა ხმლის მცოდნე ერთ-ერთი თვითმხილველი. ჭრილობა რომ ნაჩხვლეტი იყო, პოლკის ექიმმაც დაადასტურა, თუმცა, ის იყო ღრმა და ხმალს პირდაპირ კუჭში გაეველო.

ახალგაზრდა ფავნელს კი ვერაფრით ამოათქმევინეს ორთაბრძოლის მსვლელობის აღწერილობა. პოლკოვნიკმა იფიქრა, რომ მას უბრალოდ არა აქვს აღწერის უნარი და მხოლოდ თავისი პირადი დამოკიდებულებების გამოხატვა შეუძლია.

გამოძიებამ სამ თვეს გასტანა.

4.

აზიზ-ბეი, დაღლილი და თითქოს თავმოებურებული, ზღვის პირას იჯდა ფეხმორთხმული, ზღვისკენ ზურგით და უცქერდა ქვაკენჭიან ნაპირს მიდგმულ პატარა სოფელს, რომელიც თანდათან ქალაქს ემსგავსებოდა. შორიახლო, ხის ძველ საყუდართან ება მისი შავი ნავი, რომელშიც მისი ორი მეზღვაური საქმიანობდა. ზღვის ხმა, ასეთი ნაცნობი და მიჩვეული, თითქოს არც არსებობდა მისთვის.

აზიზ-ბეის და მის ორ კაცს ახლახანს მოეცურათ ბათომიდან ამ ადგილას, რომელსაც ფოთი ერქვა და როგორც კი ნავი მოეყუდებინათ, აზიზ-ბეის იქ მოთამაშე ბიჭები გაეგზავნა სოფელში შავი ფულის საფასურად, რათა იმათ მისი ძველი ნაცნობი აჩიკ-ბაში მოედებნათ.

იღბალი ეს იქნებოდა, რომ აჩიკ-ბაში, რომელსაც სულაც არ ერქვა აჩიკ-ბაში და მხოლოდ აზიზ-ბეი ეძახდა ასე უქუდოდ სიარულის გამო, სოფლად ყოფილიყო. მისი მოუსვენრობა და გზად ყოფნა გამოცდილი ჰქონდა აზიზ-ბეის, მაგრამ ახლა, საშოვარზე დამრულს, სხვა გზა არც ჰქონდა.

ხელობა, რომელიც აზიზ-ბეის აღარც ახსოვდა, კვლავ დასჭირვებოდა, ამისთვის კი აჩიკ-ბაშს გვერდს ვერ აუქცევდა.

აზიზ-ბეი ბიჭი აღარ იყო, სხვათა სამსახურში დაღლილი კაცი გახლდათ. ყოველთვის თანა ჰქონდა ხანჯალი და ხალათს ქვეშ წელთან გარჭობილი ორი დამბაჩა. არასდროს უყვარდა იარაღის ჩვენება და სხვებს ამითაც არ ჰგავდა. დოლბანდს ქვეშ შემალულ

ათასი ჯავრით გამოვსებულ მის თავს დალაქი აღარც სჭირდებოდა. აზიზ-ბეი მელოტი იყო და მედროშედ მსახურობდა ბათომის ფაშასთან.

მაგრამ მედროშეობა სიბერის ხელობა იყო, აზიზ-ბეის სტკიოდა კოჭები, მუხლისთავები, მაჯები, იდაყვები და კისერი. ადრე ბევრს დაცურავდა ამ ადგილებში და ზღვა არ უყვარდა.

მიწაზე უხალიჩოდ, ფეხმორთხმით მჯდომმა დაინახა, როგორ გამოვიდა სოფლიდან მხედარი.

ჯერ შორს იყო და არც მოჭენაობდა, მაგრამ იცნო, რომ აჩიკ-ბაში ყოფილიყო, ძველი მეგობარი და თანამოსაქმე.

გრძნობათა საოცრებაც ეს არის: ჯერ წერტილად ჩანდა და მაინც კი ეტყობოდა, რომ აჩიკ-ბაში იყო: ის წერტილი იმგვარად მოძრაობდა და მოცეკვავდა, რომ ბევრს არავის აგრე კოხტად ემხედრა.

– მე ვბერდები, ეს კი არ დაბერებულა, – ასე იფიქრა აზიზ-ბეიმ და მძიმედ წამოდგა. თავის ნავს გახედა, დიდსა და ულამაზოს, ჭუჭყიანაფრიან ნავს და არა ზღვას.

ზღვა იმ დღეს წყნარი იყო. მთელ ღამესაც წყნარი იყო, როცა მოცურავდნენ.

აზიზ-ბეიმ იცოდა, სოფლიდან ახლოს, ნაპირის გაყოლებაზე რუსული პოლკი იდგა: არ უნდოდა, რომ დაენახათ. ფაშა და შენი ბატონი არასოდეს დაფიქრდებიან იმაზე, რა ხიფათში იგდებ თავს, შენა, მსახურო. სულთანს ეომება რუსების მეფეს, ხოლო ამის გამო აზიზ-ბეი, ნამსახური და დაღლილი, შესაძლოა მოკლან კიდევ აქ, ამ ნაპირზე.

5.

თფილისი იყო გაჯერებული რატომღაც თივის სურნელით.

ბადუნა ფავნელმა დაინახა, როგორ ბანდა დედა შვილს პირს წითელი ღვინით: ერთ ხელში ხელადა ეჭირა და მეორის ხელისგულზე ისხამდა ცოტცოტას, მერე კი მონდომებით უსვამდა ბავშვს სახეზე.

ბადუნას გაახსენდა, რომ ოდესღაც მასაც ასე ბანდა დედა პირს.

ის ფეხით მოდიოდა დაბლა, ხიდისკენ, რათა ქალაქის მეორე ნაპირზე გადასულიყო. ამ დროს გაისმა ზარების რეკვის ხმა მეტეხის ეკლესიიდან, რომელსაც მეორე ნაპირიდან გამოეპასუხნენ სიონის სამრევლო და ანჩისხატის მნათე.

ბადუნა ფავნელს წვერი წამოზრდოდა ამ სამ თვეში, მაგრამ ეს სრულიად არ აბერებდა. საერთოდ კი არ იცოდა, ახლა როგორი იყო. სარკეში ისედაც იშვიათად იცქირებოდა და ყაზარმებში ვინღა მიართმევდა. ერთი რამ სიამოვნებდა: ქამარი წელზე და ასხმული ხმალ-ხანჯალი. ნაცნობი სიმძიმეების დაბრუნება სიარულის ნაჩვევ წესზე აბრუნებდა. ხიდს გადასული უცებ გაჩერდა სალამაზო ალაგის კიდეზე, ზედ მეჩეთთან, სადაც არავინ იყო დღის ამ საათს. თითქოს უნდოდა გადაეწყვიტა, საით წასულიყო, და მერე მაღლისკენ აუყვა ვიწრო ქუჩებით, სადაც თივის სუნი აღარ იყო, არამედ რაღაც ნაცხობისა.

ჯვრისმამის ეკლესიისკენ მიდიოდა, ხედავდა კიდევაც მის მსუბუქად წამოწეულ გუმბათს. მისი ანგარიშით სულთმოფენობა დღე იყო და ჯვრისმამაზე კი მღვდლად იყო მისი ნათესავი და მოძღვარი ნიმოსი მღვდელი, მასავით ახალგაზრდა, ოღონდ ნასწავლი და მეცნიერებებსა და რჯულში გაწაფული კაცი.

რაც მაღლა მიდიოდა, მით მეტი მოდიოდა ნაცხობი პურის სუნი, რომელიც უკვე ყველგან იყო. ამ უბანში მოშეიებული კაცის შემოსვლა არ შეიძლებოდა. ჯვრისმამის ეკლესიის გვერდით დიდ თონეში ჯვარდასმულ პურებს აცხობდნენ. ოთხი თონე იყო და ამიტომაც ნაცხობის სუნი ასე გამძვარიყო ყველგან.

ჯვრისმამის ეკლესიაში წირვაზე ბევრი მდაბიო იყო: იმ უბნის ქალები, ქვრივები, უპოვარნი, ზოგიერთი კაცებიც კი იდგნენ, რახან უქმობის დღე იყო. როდის-როდის ჩაივლიდა იმათი ზიარება. მღვდელმა დაინახა ბადუნა ფავნელი და მოუსვენრობა დაეტყო. ამან კი დინჯად გადაიწერა პირჯვარი და გარეთ გამოვიდა, ჩამოჯდა იქვე, თონის კედელთან და უყურებდა ზემოდან თფილისს.

ხედავდა იმ ადგილს, სადაც მოუხდა ხმალი იმ რუს ოფიცერთან და შიოდა კიდეც, ოღონდ კი ჯერ არ უნდოდა აქაური ლავაშის ყიდვა.

მერე ბადუნა ფავნელს ჩაეძინა და ვინ იცის, რამდენი ეძინა, სანამ მღვდელმა არ დაადო მხარზე ხელი და არ შეანჯღრია.

– წამოდი, წამოდი, – უთხრა და წავიდა ჩქარი ნაბიჯით ეკლესიის კარისკენ.

ეკლესიაში რომ შევიდნენ, მღვდელი ჯიქურ მოუტრიალდა და უთხრა: – იოლ შენდობას ნუ ელი. ღვთის ნაჩუქარი წაიღე...

და უცებ გადაეხვია და ჩაიკრა გულში.

ერთხანს ასე იდგნენ. მერე მღვდელმა ხელი შეუშვა და შეათვალიერა: წვერზე ჩამოუსვა ხელი.

ბადუნა ფავნელი გამხდარი იყო და გამოცვლილი.

აღარაფერი უთქვამს.

– ნათლიებთან არც მიხვიდე... არც მოვიდესო... იმდენი ოფლი დაღვარეს გამოსახსნელად, – თქვა მღვდელმა, – ახლა უნდა იჯდე სოფელში... იჯექ იქა, იფიქრე და იწვალე. იშრომე შენდობისთვის. საღამომდი უნდა მიატოვო თფილისი, თორემ აღარ მოითმენენ რუსები და ისევ იქ გიკრავენ თავს.

– საღამომდი? – თითქოს გაუკვირდა ფავნელს, – საღამომდი რა, საბაჟოა?

მღვდელმა გაოცებით შეხედა: – არაფერი გითხრეს, რო სოფლად ხარ გადასახლებული და იქ უნდა იყო?

– ეგ მითხრეს, – თქვა ფავნელმა, – ოღონდაც, თადია არ წავიყვანო თანა? თადია არ ვნახო?

– წინა კვირას მოვინახულე თადია, კარგად არის, – ჩაფიქრდა მღვდელი, – ეს კი აღარ მიფიქრია.

– ჰო, თადია... წავიყვან თადიასაც, მე ასე ვიფიქრე...

მღვდელმა თავი გაიქნია, პირჯვარი გადაწერა.

მერე ის ისევ თონის კედელთან იჯდა, ხელში ეჭირა ერთი ცხელი ლავაში, კიდეს ახევდა და ჭამდა, ნელა და დაუფიქრებლად.

მღვდელმა დოქით ღვინო გამოუტანა.

– მაინც ვერ გაზიარებ... ჯერ... – თქვა. ისევ ფიქრობდა მის ნაამბობზე.

– აბა, მე მერე როდისღა ჩამოვალ? – მიწას უთხრა ბადუნა ფავნელმა. ლავაში იქავე დადო ბრტყელ ქვაზე და წამოდგა, – ცხენი მინდა... ორი ცხენი... ჩემი ნათლიასთან აბია. იქ როგორ მივიღე?

– მე მივალ, – თქვა მღვდელმა, – წამოგიყვან ცხენს და ჩემსასაც გაგატან... ოღონდაც ჯორია, ბიჭო...

ამაზე იცინოდნენ.

– მოვალ, – თქვა ფავნელმა და დაბლა დაუყვა.

ამ სურნელებებს ალბათ იმიტომ გრძნობდა ასე, რომ დიდხანს იჯდა გამოკეტილში.

6.

ბათომის ფაშას სტამბოლში წასვლა გადაეწყვიტა და ამიტომაც ამზადებდა ძღვენს. ოსმალეთის ყველაზე მიმალული, შორეული, დავიწყებული და ჩუმი საფაშოს გამგებელს სურდა, რომ კვალი დაემჩნია თავისი სტუმრობით. წინდაწინვე გაეგზავნა კაცი საჭირო საცხოვრისის შესარჩევად და მოსამზადებლად და თავადაც ემზადებოდა.

ბათომის ფაშას სურდა, გამგზავრებულიყო ორმოცდაათი კაცის თანხლებით, ვითარცა კარგი, შეძლებული და ღირსეული ადამიანი და ეს მგზავრობა იმხელა ფასი დაუჯდებოდა, რომ ძნელი იყო გასწვდომოდა.

ამისთვის რამდენიმე ვაჭარსაც კი გაურიგდა და ისესხა ფული.

ყველამ იცოდა, რომ ფაშა უშვილობის სამკურნალოდ ეშურებოდა ამხელა გზას და ამიტომაც არ იშურებდა რამეს. იმის იმედიც ჰქონდა, რომ სულთანსაც მოხიბლავდა თავისი საჩუქრებითა და ძღვენით.

უშვილობა სადარდელია ყოველი კაცისთვის, მაგრამ ბათომის ფაშისთვის განსაკუთრებით სადარდელი იყო, რადგან ქართველი ბრძანდებოდა და თავისი ცხოვრების ფიქრად მემკვიდრის დატოვება ჰქონდა. ოსმალეთში თანამდებობების მემკვიდრეობით გადაცემა წესად არ იყო, მაგრამ აქეთ, ამ მივიწყებულ ზღვისპირზე, არავინ დაუწყებდა ძიებას, თუ შენს შვილს სწორად შესთავაზებდი შენი თანამდებობის მემკვიდრედ.

ამჟამინდელი ფაშას მამაც ხომ ფაშა იყო და მისი მამაც ასევე ფაშა.

ბათომის ფაშას გაეგონა, რომ სტამბოლში ერთი საუცხოო ექიმი ცხოვრობდა, არა ოსმალთა, არამედ იტალიიდან თუ საფრანგეთიდან ჩამოსული და მრავალ ადამიანს კურნავდა უშვილობისგან. წინასწარ გაგზავნილ კაცს ამ ექიმის ასავალ-დასავალის შეტყობაც დაავალა და თავად კი საჩუქრების მზადებას მიჰყო ხელი. სურდა ნაპირ-ნაპირ გაეცურა სტამბოლამდე. გემი ისეთი არ ჰყავდა, რომ სტამბოლის ნავსადგურში ვინმესთვის თვალი მოექრა, მაგრამ ამ გემს ისეთი საჩუქრებით დატვირთავდა, რომ საჭირო ხალხს გააოცებდა და მადლიერსაც დატოვებდა. თანაც, იმ დროს მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომის კვალად, თავის პოლიტიკურ მნიშვნელობასაც დაანახებდა დიდ მოხელეებს. იმას კი არ ფიქრობდა, რომ ასეთი ომის დროს სტამბოლში ჩასვლას უდარდებლობად ჩაუთვლიდნენ: საზღვრისპირა კაცი ხარ, რა იცი, რუსები როდის მოადგებიან შენს ადგილს, შენ კი აქ გამომჯდარხარო.

თავის მოადგილედ ძმას ტოვებდა: თავისსავე მარჯვენა ხელს და სარდალს.

საჩუქართა გამო ბათომის ფაშა არც თავს ზოგავდა და არც სხვას. გადაეწყვიტა, სულთნისთვის საჩუქრად ქალი მიეძღვნა. ძველი დრო რომ ყოფილიყო, ამისა არაფერი გაუჭირდებოდა, რადგან აქამდე სამას წელიწადს ბათომი ოსმალეთში ქართველ და ჩერქეზ ტყვეთა გადაყიდვის ცნობილი ალაგი იყო, მაგრამ ახლა ტყვეთა სყიდვის, მათი მოტაცების და საზღვარზე გადმოტარების ხელობა თითქმის მომკვდარიყო. კანტიკუნტი გამხდარიყო და ახალი აღარავინ მისდევდა. თავის სამფლობელოში ბათომის ფაშას ქალის ამორჩევა იოლად შეეძლო, რასაც მისი მამა-პაპანი წესისამებრ აკეთებდნენ და ძღვნადაც გზავნიდნენ საუფროსოში, მაგრამ ახლა ბათომის ფაშამ იცოდა, რომ თავის ქალს უკანასკნელი გლეხიც არ დაანებებდა, თუნდაც დაპირებებით აევსოთ, სტამბოლს მიგვყავს, თვით სულთნის დარბაზებშიო. დამალავდნენ, გააქრობდნენ, თუ ეს არ გაჭრიდა, შეებრძოლებოდნენ. თანაც ქალი საუცხოო და განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. ამაზე ბევრს ფიქრობდა ბათომის ფაშა: ოქრომჭედლისთვის დაკვეთილი საჩუქრებისკენ გული არც მიუდიოდა, იცოდა, რომ ქალი საქართველოდან უნდა გადმოეყვანა. საქართველო უკვე რუსეთი იყო და რუსეთზე კი, როგორც მის მოსაზღვრეს, ბევრი რამ გაეგონა.

ტყვეებით ვაჭრები აღარ არსებობდნენ. მომტაცებლები სადღაც გამქრალიყვნენ და უცებ ბათომის ფაშას გაახსენდა, რომ მისი ბებერი მედროშე აზიზ-ბეი ერთ დროს, თავად ფაშას ბავშვობაში, ტყვეების დალალი იყო.

აზიზ-ბეი ახლაც წაიხელმრუდებდა ამ მხრივ, თუ საქმე ჩაუვარდებოდა და ფაშამ იცოდა, რომ სხვაგვარად ქალს ვერ იშოვიდა. ფასზე უკან არ დაიხევდა.

და ფაშამ აზიზ-ბეი მოამკებინა მსახურებს.

აზიზ-ბეი მასავით მუსლიმი იყო და მასავით ქართველიც, ოღონდ მოხუცებულიყო და ბათომის ფაშა შეეჭვდა კიდევ, ამან რაღა უნდა მოახერხოსო, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ იპოვა.

7.

გერმანელი ფორსბერგის პანსიონი მდებარეობდა თფილისის ახალ უბანში, გერმანელების სოფელში, სადაც იყო ფუნთუშები, იყვნენ მესაათე და თეთრ

სამოსელში ჩაცმული მწვანეწინსაფრიანი და ლოყაწითელი, იმ ფუნთუშების მსგავსი გოგოები.

ფორსბერგის პანსიონი უფრო უცხოელთათვის თუ იყო გახსნილი ორსართულიან გრძელ სახლში, რომელსაც უკან ხეხილის ბაღი ერტყა. ეს ბაღი ადრევე იყო, სახლი კი მერე აშენდა.

პანსიონში იყო საუცხოო მოვლა და ყურადღება და ყოველთვის სიგრილე, რადგან ბაღი მდინარის ნაპირს უერთდებოდა, თუმცაღა ნაპირის მხარესაც შემოღობილი იყო.

თვითონ ფორსბერგი და მისი ცოლი განაგებდნენ ყველაფერს და ოთხი მოახლე, მეჯინიბე და მზარეულიც ეყენათ.

ბადუნა ფავნელი არ იყო უცხო აქა, ამიტომ ფორსბერგის სახლში პირდაპირ და დაუკითხავად შევიდა და მისაღებ ოთახში გაჩერდა წამით, რომ ვინმე დაენახა.

მოახლე გოგო წამსვე გამოვიდა, ეტყობა ფანჯრიდან დაინახეს. ეს იყო ერთადერთი ქართველი მოახლე ამ სახლში.

– აჰა, ბატონო, – უთხრა ქართულად და უკან გავარდა ისე, რომ კარიც მიიხურა.

მალევე გამოვიდა ქალბატონი ფორსბერგი, რომელიც რუსულს ცდილობდა, და ისე ლაპარაკობდა, ახალგაზრდა ფავნელს რომ ეცადა, თავადაც გამოუვიდოდა ასეთი მორუსულეობა.

– აჰ, ეს რა მოხდა... ეს რა მოხდა... – თქვა მღელვარედ, – გაუჩინარდა... ორი დღეა დავეძებთ. განცხადებაც კი მივეცით მეორე საპოლიციო უბანში.

ბადუნა ფავნელმა კარგად ვერ გაიგო, რას ამბობდა მღელვარე ქალი, რომელსაც ვარდისფერარშიებიანი კაბა ეცვა და ლაპარაკისას ფეხის ქუსლს ხმაურით სცემდა იატაკზე.

მოახლე გოგო კი იდგა მღელვარედ და ფავნელი უცებ მიხვდა, თუ რა მოხდა.

– გუმინწინ დილაზე მივუკაკუნე ბატონო... ხმა არ იყო... მერე ჩამოვედი და ფრაუს ვუთხარი... თითონ ბატონმა გააღო კარი და აღარ დაგვიხვდა... ველარ ვიპოვეთ, ბაღში ვეძებეთ, ყველგან... ცხენები გამოიყვანა ბატონმა...

ქალბატონი ფორსბერგი თავს იქნევდა მღელვარედ და გაუგებარ სიტყვებს ურთავდა.

ახალგაზრდა ფავნელმა ველარაფერი თქვა.

– სულ მოდიოდა, ბატონი მღვდელი... ოღონდ მგონი ის მაინც თქვენს გაუჩინარებას ჯავრობდა...

– ეშმაკისაა... – წაიბურტყუნა ახალგაზრდა ფავნელმა.

– ჩემი ქმარი მოვა და ყველაფერს გიამბობთ... დაბრძანდით, ისე მღელვარედ ვართ... თქვენი სამწუხარო ამბავიც როგორ დაემთხვა...

‘ამათ ეგონათ, რო ციმბირში ჩავძაღლდებოდი,~ – გაიფიქრა ბადუნა ფავნელმა, გამოტრიალდა და უსიტყვოდ გამოვიდა გარეთ.

ქალბატონმა ფორსბერგმა მოახლე გოგოს უბიძგა და სტუმარს მიადევნა. რაღაც წაილაპარაკა გერმანულად და ფანჯარასთან მივიდა, რათა იქედან ემზირა, რას მოიძოქმედებდა ფავნელი.

– ბატონო... – მისძახა გოგომ, – ბატონო...

ფავნელი შედგა და მოიხედა.

– ბატონო, ყველა გაქებს შენ იმ ამბავზე, – თქვა უცებ გოგომ, – თადია... თადიას ის... მე კი ვხვდებოდი, რო ველარ ძლებდა... ტანისამოსია აქ ყველაფერი და... ორი დღე რო არ იყოს გასული... მე ვეძებდი, წამოვედი, შენ რო მასწავლე, ბატონო, ისე ვიარე...

– იცოცხლე... – ამოიხვნეშა ბადუნამ და წამოვიდა, გამოვიდა ფართო და სწორ ქუჩაზე, სადაც უამრავი ყვავილი დაერგოთ.

8.

მე ვბერდები, ეს – არა. აზიზ-ბეის და აჩიკ-ბაშს მგონი ხუთ წელიწადს არ ენახათ ერთმანეთი.

აჩიკ-ბაშს შინდისფერი ვიწრო შარვალი და ცხვირაპრებილი შავი ჩექმა ეცვა. ცხენზე მვირფასი უნაგირი ედგა, ულვაში და თმა კი შეეღება, მაგრამ თმა მაინც უხვად ეყარა თავზე. ისე, როგორც ძველად, მხრებამდე სწვდებოდა ის თავისი ამდენი თმა.

აჩიკ-ბაშს იმ ადგილებში წოწორია სკვამს ეძახდნენ, რაც ლამაზს ნიშნავს და ასე ეძახდნენ ბავშვობიდან, მაგრამ უფრთხოდნენ, არა როგორც მაინცდამაინც ლამაზსა და მოხდენილ კაცს, არამედ კაცს, რომელზეც ამბობენ, ხალხის მოტაცებასა და ოსმალეთში სყიდვაშია გარეულიო.

ეს იყო ადრე, მაგრამ სახელი ხომ რჩება ხოლმე.

აზიზ-ბეის ის გაუხარდა, რომ წოწორია სკვამი მკვდარი არ დაუხვდა.

უმაღ თვითონ მოკვდებოდა, ამას კი იმ ქვეყნისკენ სვლის არაფერი ეტყობოდა. ხანჯალზე ფირუზის თვალი უჩანდა, გაცინებასაც არ ერიდებოდა.

– ვაი, თათარო, – შესძახა წოწორია სკვამმა, როცა ცხენი დაურიდებლად, სულ ახლოს მიაგდო ფეხმორთხმით მჯდარ აზიზ-ბეის.

ის აზიზ-ბეის თათარს ეძახდა, როგორც ყოველი ქართველი ეძახის მუსლიმს.

აზიზ-ბეის წამოდგომა დაეხარა, მაგრამ მაინც წამოდგა.

– სად ჯოჯოხეთიდან გამომეცხადე?! – შესძახა აჩიკ-ბაშმა და მხარში ჰკრა ხელი აზიზ-ბეის, რომელიც კი შებარბაცდა, მაგრამ ფეხზე დარჩა და თავადაც დაუბრუნა ღონიერი მჯილი მხარში.

– შენ თუ იცი, რო რუსები რო შეხვდებიან ერთმანეთს, კაცები, კოცნიან, – თქვა აჩიკ-ბაშმა, – ტუჩებს უმიზნებენ ერთმანეთს.

აზიზ-ბეიმ ხელი ჩაიქნია და თქვა: – აღარ მახსოვს, ეგ როგორ უნდა.

– შევალციებ თუ გინდა და გაგახსენდება, რა გაჭამო, რა დაგალევით ახლა?
მოვატანიებ აქვე...

– უნდა გავბრუნდე, – თქვა აზიზ-ბეიმ და ისევ ჩაჯდა. კენჭებს მოავლო ხელი და
კამათელივით ჩხრიალს მოჰყვა.

– შენ მოსანათლად ხო არ ჩამოხვედი?– ცხენს მიეფერა წოწორია სკვამი და თავადაც
ჩაჯდა აზიზ-ბეის წინ: ისე დააბჯინა თვალები, რომ აზიზ-ბეის ახალგაზრდობა
გაახსენდა.

აჩიკ-ბაშს ტკბილი სამუშაოც ემოვნა და ტკბილადაც იყო. მას, ბებერსა და მაინც
ლამაზს, რუსული პოლკის საკვების მომარაგების საქმე ედო თავს. ხელთ ჰყავდა რვა
ურემი და საქონელს ეზიდებოდა. თანაც, მცირე ვაჭრობასაც მისდევდა პოლკში
ნუგბარით და სხვა რამეებით. სწუხდა მხოლოდ, რომ ომი აქეთ მხარეს ეგრეც ვერ
წამოწყებულყო, რადგან მაშინ საქმეც გაეზრდებოდა და შემოსავალიც. აჩიკ-ბაშს ომი
უნდოდა. ამ ომზე აშენდებოდა.

– აილე დროშა და გამოუძეხი წინ... მედროშე არა ხარ? აქედან მე გამოვუძღვები და
ფულს ვიშოვით, – უთხრა აზიზ-ბეის.

– რას გიხდინა? – ჰკითხა იმან ისე, რომ კვლავაც კენჭებს აჩხრიალებდა ხელში.

– ვერცხლს, სხვადასხვანაირი ფულია, – მიუგო წოწორია სკვამმა.

– მე ოქროს ჩამოვიტან, აჩიკ-ბაშ, – ამოიხვნეშა აზიზ-ბეიმ.

9.

უკვე სადამოვდებოდა, როდესაც ბადუნა ფავნელი მივიდა მეიდანში, ფარვიზას
ჩაიხანაში. ფარვიზა თათარი სანდო კაცი იყო ახალგაზრდა ფავნელისთვის, ჯერ კიდევ
მამამისს იცნობდა და ახლაც მასთან ცოტა ფული ჰქონდა დატოვებული: ცოტა
ვერცხლი, რამდენიმე რუსული ოქრო და ერთიც ქალაქის ფული. ეს ყველაფერი
ძველ ქისაში იდო. ფარვიზა ტკბილად დაუხვდა.

ჩაიხანა სავსე იყო ხალხით, ჩაის სვამდნენ უკვე მიზნელებულში და ერთმანეთს
კარგად ვერ ხედავდნენ. ალბათ არც უნდოდათ ერთმანეთის თვალიერება. მელექსე და
მომღერალი იქ არავინ იყო და იდგა სიჩუმე, არც სანამღლეობი და ფსონი იცემოდა, არც
კამათელი ტრიალებდა.

ასეთ გარინდულობაში მხოლოდ გაიგონებდი როგორ მოხვრეპდნენ ჩაის და მერე
ოსმალური ჭიქის ხმა ლამბაქზე. წკრნ!..

ფარვიზამ გაიხარა ახალგაზრდა ფავნელის ნახვით: ლოცვაც კი წარმოთქვა, მოკლე და
ბუნდოვანი, მერე გაცვეთილ ბალიშზე მიიხმო ბადუნა და თვითონ კი ქისის
მოსატანად გავიდა.

– თადია გაიქცა, – უთხრა ფავნელმა, როცა ფარვიზა დაბრუნდა.

თათარი შეცბა.

– ორი დღის წინათ, – თქვა ფავნელმა დაფიქრებით, – ამაღამვე უნდა წავიდე, ვიპოვო და სოფელში წამოვიყვანო...

ფარვიზამ კიდევ რაღაც ლოცვა წაიბუტბუტა.

– ასე მია, – თქვა თითქოს თავისთვის, – სულ სავა და სავა... გზა უნდა მოუგო... საით სავიდა?

– ისევ იმ მხარეს... მზეს მიყვება, – თქვა ბადუნა ფავნელმა, – ეგ ისწავლა. მზის ჩასვლისკენ მიდის. მზე რომც მაღლა იყოს, იცის, საითაც ჩავა.

ფარვიზამ თავი ჩალუნა და მძიმედ გააქნია.

– მონათრე, – თქვა მერე, – ორი დღე, ორი ღამე... შორეა.

– მზის ამოსვლაზე სადი, ბოლოს მაინც ზღვაში მიხვალ; მზის ჩასვლისკენ სადი, მაინც ზღვაში მიხვალ... აქეთ ზღვა, იქით ზღვა...

ბადუნა ფავნელს არასდროს ენახა ზღვა. ვერც კი წარმოედგინა, როგორი იყო. ტბა, ოღონდ დიდო, ასე თქვა ფარვიზამ. თადია შეაბიჯებდა.

– ორი დღის წასულია, მივიდოდა ზღვამდე? – ჰკითხა უცებ ფავნელმა.

თათარმა თავი გააქნია, თითქოს რაღაცას ითვლიდა, თითებს დასცქეროდა.

– არა, სად ზღვა, სად ჩვენა? ზღვაში როგორ მია?

ბადუნამ ხელი აიქნია.

– დიდია? – ჰკითხა ისევ.

– დიდი, დიდი... – ამოიოხრა თათარმა, – როგორც ცა და კასი. ღმერთი და კასი... მიხველი, დაიწყო ზღვა და არ გათავდა. თვალეში არ გათავდა... როგორც რო ღმერთი. ღმერთი არი. შიში მოაქს, ხმა მოაქს... მოგერევა.

ბადუნამ ქუდი აიღო და მძიმედ წამოდგა.

– ცხენზე უნდა მივიდე, – თქვა წყნარად.

– ფარა დაითვალე, – დარდიანად შეხედა ფარვიზამ.

– აააჰ, – ქისა უბეში გააქანა ახალგაზრდა ფავნელმა.

– ჩქარა სადი, – დაადევნა ფარვიზამ და ბადუნა წამოვიდა ისე, რომ ჩაი არც კი დაუღევიდა.

დაბნელებამდე უნდა წასულიყო, რადგან იცოდა, რომ შეღამებულზე პოლკოვნიკის ხალხი აუცილებლად დაუწყებდა ძებნას.

10.

ქუჩებში უკვე ფარნებს ანთებდნენ, თადია კი მიდიოდა სადღაც. ორი დღე რომ არ ყოფილიყო გასული, ბადუნა ფავნელი სადმე ქართლის ხევხუვებში იპოვიდა, მაგრამ

ორი დღის სავალი, თუნდაც ფეხით, თუნდაც იმგვარად, როგორც თადიას შეეძლო სიარული, ბევრი იყო.

ბადუნამ კარგად იცოდა, როგორ უნდა ეძებნა. რახან თადიას ფული არ ექნებოდა, თუკი სოფელს დაინახავდა, იქ მივიდოდა საჭმელად, ანდა ვინმე მავალეებს შეუამხანაგდებოდა, თუკი იმათი სავალი მის დასავლეთით სავალს დაემთხვეოდა.

საკვირველი კი იყო, რომ თადია ისეთი დაოსტატებული იყო ამგვარ სვლაში, რომ ყოველთვის ზუსტად მიდიოდა. ბადუნას უკვირდა კიდეც, რომ ასე გამოუდიოდა. რომელიმე ექიმი ალბათ დალაგებით იტყოდა ყველაფერს ამის თაობაზე, მაგრამ სად ექიმი და სად ფავნელი აზნაურები? ექიმი მათ იმთავითვე ჭრილობის მოსავლელად თუ სჭირდებოდათ. ანდა თუ არსებობდა ისეთი ექიმი, ვისაც ასეთი რამეები ესმის?

თადიამ არ იცოდა სიტყვა გეოგრაფია, ის ასევე არ იცოდა ბადუნამ, მაგრამ თადია უკვე საუცხოო გეოგრაფი გახლდათ და ბადუნამ ეს იცოდა. ამიტომაც ეშინოდა. მთელი ეს თავგადასავალი და ყაზარმაში ჯდომა მხოლოდ თადიაზე ფიქრში გაატარა და სწორედ ისე მოხდა, როგორც ფიქრობდა. თადიამ ვეღარ მოითმინა და გაიქცა. არც გაემტყუნებოდა. ასეთებს არ ამტყუნებენ.

იყო და ცხოვრობდა სოფელ ფავნისში ერთი ჩვეულებრივი აზნაური, რომლის ქონებასაც შეადგენს ძველი აბჯარი, წყვილი ცხენი და მწევარი და რამდენიმე დღიური სახნავი მიწა, რომელიც მამისაგან ერგო, როგორც ერთ-ერთ ვაჟიშვილს. ჰყავდა ყმა გლეხები, რომლებიც მუშაობდნენ მისთვის და ესვა ცოლი და ორი ვაჟი, რაც სანატრელია იმ დროში, რადგან ერთი მხედრობას გაჰყვება, მეორე კი – ღმერთს, მამული კი განუყოფელი დარჩება და ამით შთამომავლობა გაგრძელდება.

ამ აზნაურს ერქვა ზაალ-ბეგ ფავნელი, ხოლო მისი ცოლი იყო აზნაურთაგანივე და ერქვა მაიკო. ხოლო ვაჟებს დაანათლეს გიორგი და თადეოზი, თუმცა, უფროსს ეძახდნენ ბადუნას, უმცროსს კი თადიას.

ზაალ-ბეგ ფავნელი თითქმის ყოველთვის გვერდით ახლდა ხოლმე თავად ერისთავებს, რომლებსაც ძველთაგანვე ერთგულობდნენ ფავნელები და მათ სახლთუხუცესობაც კი უბოძეს, რაც ოჯახისთვის კარგი რამ იყო, შემოსავლითაც და სახელითაც. მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, რომ უმეტეს დროს ზაალ-ბეგი ერისთავების კარზე იყო და ცოლ-შვილი კი ენატრებოდა: ხან როდის მოჭენდებოდა მათ მოსასიყვარულელად, ხან როდის. ღამითაც ხშირად მოსულა, მაგრამ ამ თანამდებობაზე ყოფნისთვის უარი არ ეგებოდა და ამიტომაც გახლეჩილი იყო შუაზე სახლსა, რომელიც მოურავსა და ცოლს მიაბარა, და ერისთავების კარს შორის.

ის, რაც მოხდა, ხშირი იყო იმ დროში, მაგრამ უფრო გლეხებზე. ზაალ-ბეგ ფავნელს ცოლი მოსტაცეს და მისი ასავალ-ადასავალიც ვერავინ ვერაფრით გაიგო. თავიდან თითქოს ამბობდნენ, ლეკები იყვნენო, რომლებსაც ეხერხებოდათ ასეთი ბოროტი სიძამაცე, რომ დღისით-მზისით სოფელს დასცემოდნენ და რასაც წასწვდებოდნენ, ყველაფერი გაეტაცათ, მაგრამ არაფერზე ეტყობოდა, რომ ლეკები ყოფილიყვნენ და ვიღაცამ დიდი თვალთვალის შემდეგ მოახერხა ეს საშინელი საქმე.

მაშინ ადამიანის სატყვეოდ მოტაცება ისეთი ხშირი აღარ იყო, მაგრამ მაინც შემორჩენილიყო და უფრო გლეხებს იტაცებდნენ. აზნაურის ქალის მოტაცება მთელ იქითა საქართველოში გაუგონარი ამბავი იყო.

ამიტომ თავიდან ისიც იფიქრეს, რომ ფავნელის ცოლი სამიჯნუროდ გადაიტაცა ვიღაცამ, შორიდან მოსულმა. ორ წელიწადს ზაალ-ბეგ ფავნელს ადგილი არ დაუტოვებია მთელ იქითა და აქეთა საქართველოში, სოფელი არ გაუცდენია, რომ ამბავი არ ეკითხა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ქალი გატაცებული იყო და სავარაუდოდ გასყიდულიც.

აზნაურის ქალი! აი, აქამდე მისულიყო ეს ქვეყანა.

მომტაცებლებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ერისთავების სახლთუხუცესი შინ არ იყო ხოლმე. მაიკო ლამაზი ქალი იყო, ასე ოცდასამი წლისა, ხოლო ზაალ-ბეგ ფავნელი ოცდაექვსისა, როცა ეს ამბავი მოხდა. მაიკო ლამაზი დედაც იყო.

ზაალ-ბეგ ფავნელმა სამსახური დააგდო და ცოლის ძებნას მიჰყო ხელი, შვილები კი მოურავსა და გლეხის ქალებს მიაბარა.

ორი წლის თავზე ის ხელჩაქნეული საბოლოოდ დაბრუნდა სახლში და კიდევ ორი წლის თავზე გარდაიცვალა.

დარდით, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე.

იმ დროს ბადუნა ფავნელი ცხრა წლისა იყო, თადია ფავნელი კი ექვსისა.

ისინი ერისთავებმა წაიყვანეს, მათ მამულს კი მეურვეობა დაუნიშნეს, რათა წამოზრდილ ბიჭებს სარჩო ჰქონოდათ.

11.

ზღვის ამბავი კი ასე იყო: ზღვა საქართველოს აღმოსავლეთში ერთეულებს ენახათ, საქართველოს დასავლეთში კი ყველას. ამ ორ მხარეს შუა იდო დიდი ქედი, რომელიც ზღვის ჰაერს არ უშვებდა აღმოსავლეთისკენ, ხოლო აღმოსავლეთიდან იქით არ უშვებდა ჯანდისფერ ღრუბლებსა და ველების მოწყენილობას. იდგა ასე შუაში ეს მთაგრეხილი და ყოველ ადამიანს ეგონა, საქართველო ორიაო. დრო და ამბავი ისე მიდიოდა, რომ საქართველო ხან ერთი იყო, ხან – ორი, ხან კიდევ – ათი, მაგრამ რომ დაფიქრდებოდნენ, მაინც ერთი იყო, ოღონდაც ზღვისა მაინც არაფერი იცოდა აღმოსავლეთმა მხარემ.

საქართველო იმდენად ერთი ეჩვენებოდა, რომ თითქოს ამ შუა გამყოფ ქედზე ვიღაცას უშველებელი სარკე დაედგა და ყოველი აღმოსავლეთიდან გამხედი შიგ თავის თავს ხედავდა, ისევე როგორც – დასავლეთიდან გამომხედი.

ამ სარკეში კი სიღრმისა გამო ზღვა არ ჩანდა და თუკი მასში მომზირალი ერთი საქართველო რაღაც მოულოდნელობებს აღმოაჩენდა თავის იერში, კი არ იტყოდა, სხვა არის ვიღაცაო, არამედ: უი, ეს რა მქონიაო და თავის თავ-პირზე დაუწყებდა ძებნას.

ამიტომ ბადუნა ფავნელმა არ იცოდა, რა იყო ზღვა. წიგნშიაც კი არ ენახა და წაკითხვით ხომ არაფერი წაეკითხა მის შესახებ, წმინდა წერილს თუ არ ვიგულისხმებთ. ის ხმელეთის აზნაური იყო, თავგადასავლისთვის შორს წასვლა არც არასდროს უცდია, ეს არის, რომ ქართულ მილიციაში ადრევე ჩაწერილიყო, რაც უფრო მარბიელ ლეკებთან ომს გულისხმობდა რუსების მხარდამხარ.

თავგადასავალი ბადუნა ფავნელს ადგილზე შეეძლო ეპოვა და ამას გრძნობდა კიდეც. ხიფათიანიო, იტყოდნენ ხოლმე ნათლიები მის ბიჭობაში. თადია წყნარია, ის – ხიფათიანიო.

რომელი ფავნელი არ იყო ხიფათიანი უკანასკნელ ათ საუკუნეს: ბადუნას შინ ჰქონდა ფავნელთა მთელი გუჯრები – ჯერ კიდეც იმ დროისა, როცა მეტი შეძლების დიდგვაროვანნი იყვნენ. მათი დალაგებით კითხვა არ გამოსდიოდა, რადგან ძველი ქართული ნაწერი ვერ შეითვისა, მაგრამ ნიმოს მღვდელმა ყველაფერი წაუკითხა და აუხსნა. ჰოდა, იმათგან უძველესი ამ სიტყვებით იწყებოდა: მას ჟამსა ოდეს ბარდავს შევიბენით, ერთი ლომისა მსგავსი ფავნელი მკვდარი დარჩა, ერთი – ცოცხალი, ერთიც ტყვედ იპყრეს.

ეს სიტყვები ზეპირად იცოდა ბადუნა ფავნელმა, რადგან რატომღაც ასე ეგონა, რომ ყველა ფავნელი მასავით თავგადასავლებში იყო გამოხვეული.

ნიმოს მღვდელთან რომ მივიდა ცხენის წამოსაყვანად, დაატყო, რომ მღვდელს ლაპარაკი სურდა და მონანიების გზაც უკვე დასახული ჰქონდა მისთვის, მაგრამ ბადუნა ფავნელმა ისე ჩაიკრა გულში, რომ მისვლა იმწამსვე გამოთხოვება გამოვიდა.

თადია იყო საძებარი. მღვდელი ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა, აღარაფერი უთხრა, მხოლოდ გზა დაულოცა და მისძახა, სოფლად მოვალო, მაგრამ ახალი განსაცდელი კი დალანდა, რადგან ვერანაირი რუსის ქალადი ბადუნას ვერ გააჩერებდა...

ახალგაზრდა ფავნელი კი მიეფერა მის ხელს დანატრულ ცხენს: შუბლზე შუბლითვე ურქინა ოხუნჯობით და ამხედრდა.

წავიდა თფილისის ქუჩაზე, დასავლეთით.

თფილისში იდგა დამწვარი ზეთის სუნი. ეტყობა იმის გამო, რომ ქუჩის ლამფები უკვე აანთეს.

12.

ერისთავების სახლთუხუცესის ცოლი, მაიკო, დღისით მოიტაცეს.

მისი უფროსი ვაჟი, ბადუნა, იმ დროს ვენახებში იყო გლეხებთან და ალბათ თამაშობდა. უფროსი კი იყო, მაგრამ მხოლოდ შვიდი წლისა იქნებოდა.

შინ იყო მხოლოდ თადია, ოთხიოდ წლისა და სწორედ თადიამ დაინახა ყველაფერი. დაინახა და როცა მიხვდა, გამოედევნა კიდეც.

მეტიც, გულსაკლავად ყვებოდნენ გლეხის ქალები, როგორ აელო მამამისის ხანჯალი და გავარდნილიყო გზაზე, სადაც ცხენებისთვისღა მოეკრა თვალი და მიდევნებოდა, სანამ ვინმეს არ დაენახა... სწორედ თადია იყო შინ და თამაშობდა ოთახში, სკამს ცხენობდა: სარკმლიდან მოჰკრა თვალი, როგორ მიდიოდა დედამისი მთელი ეზოს გავლით ჭიშკრისაკენ, ჭიშკართან კი ორი ცხენოსანი იცდიდა. მასპინძელს დამახილი თადიას არ გაუგონია, ძალიან თამაშობდა, დედამ კი ეს ცხენოსნები უთუოდ ქმრის ამხანაგებად ან წარმოგზავნილებად, ანდა უბრალოდ წყლის დაღვევის მოსურნე გამვლელებად მიიღო.

კარგი ცხენები იყო და მგზავრებიც კარგად ჩაცმული ჩანდნენ. უცხენო ადამიანს დედა თავად არ გახედავდა, გოგოს გაგზავნიდა. გოგო კი სადღა იყო გადავარდნილი, ხელი მაინც შეეშალა ხმაურით იმათი განზრახვისთვის. ბოსტანში ყოფილიყო. მოურავს კი ბადუნაც თან წაეყვანა ვენახებში.

თადია სარკმლიდან ხედავდა, როგორ გამოალო დედამ ალაყაფი და როგორ გადმოიზნიქა ცხენიდან ერთ-ერთი მხედარი, თითქოს რაღაცის სათქმელად. თან ხედავდა და თან სკამს ახტუნებდა. მერე მხედარი კიდევ უფრო გადმოიზნიქა ცხენიდან და სრულიად გასაკვირად, დედას ხელები მოავლო. ისე მსუბუქად აიყვანა ხელში, რომ თადიას გაუკვირდა კიდევ, თუმცა ვერ მიხვდა, დედას რას უპირებდნენ. იმწამს იფიქრა, ალბათ ცხენით უნდა წავიდნენ სადმეო. მაგრამ როდის იყო, რომ დედა სტუმრებს ცხენზე უჯდებოდა? სანამ ამას ფიქრობდა, დაინახა, რომ დედას თითქოს არ უნდოდა გაჯირითება, ხოლო მეორე მხედარმა ცხენდაცხენვე დაუარა თავს და იმ პირველს დედის გაკავებაში შეელოდა, ნაბადიც კი ჩამოიგდო მხრიდან და დააფარა დედას. დააფარა თუ არა, გააქანეს და თადიას უცებ გაახსენდა გლეხის ბაბოთაგან ასჯერ განაგონი და დედისგან კიდევ მეტჯერ განაფრთხილები: დაბლა, ტყისპირებისკენ მარტო არ წახვიდე, გამოცვივდებიან ლეკები ტყიდან და წაგიყვანენ ორმოში ჩასაგდებადო.

და თადიამ შესძახა, ხოლო რა, ვინ იცის? როგორღაც მისწვდა კედელზე დაკიდულ ხანჯალს და გამოიქცა. თავქვე დაეშვა კიბიდან და გამოვარდა ეზოში, იქედან კი გამოღებულ ალაყაფში. გამოვარდა საურმე გზაზე, დაინახა მიმქუსლავი მხედრები და გაარჩია, რომ ის, ვინც ნაბადშია, დედაა და გაიქცა თავდავიწყებით იქამდე, სანამ შეიძლო. ხედავდა მხედრებს, რომლებიც სულ უფრო პატარავდებოდნენ და უახლოვდებოდნენ ტყისპირს და ხედავდა მზეს, რომელიც უკვე გადახრილიყო დასავლისკენ. მერე გამოედევნენ. გლეხებმა დაინახეს. ის კი კიოდა და მზისკენ იშვერდა ხელს, ძლივს ეჭირა ხელში ხანჯალი, რომელზეც მეორე დღემდე ვერ შეაშვებინეს ხელი, რადგან შიში ჰქონდათ, ზედ არ წამოეგოსო. ან როგორ არ წამოეგო? ხოლო მეორე საღამოს ის კვლავ გამოვიდა ჭიშკრის წინ, გახედა მზეს და იქეთ წავიდა.

ამის შემდეგ თადია გარბოდა. გარბოდა სულ ერთი მიმართულებით. იქეთ, საითაც გადაიხრებოდა და ჩავიდოდა მზე.

ისინი დაიზარდნენ, ერთად იყვნენ. თადია გიჟი არ იყო. სულაც არ იყო გიჟი. თანდათან გაქცევასაც უკლო. ოღონდ უკლო შედარებით. საულვაშე რომ შეიქნა, მთლად შეამცირა, მაგრამ ვერ ამოიკვეთა: საშიში იყო გაზაფხული. სწორედ რომ გაზაფხულზე თადია გასწევდა ხოლმე თავის ლაშქრობას და ყაზარმებში გამოკეტილ ბადუნასაც ამის ეშინოდა.

საიდან აღარ ამოუყვანია ბადუნას თადია, საიდან აღარ დაუბრუნებია. არც კი გასწყრომია. როგორ გაუწყრები, როცა საღი არ არის? თადია ხომ არ ლაპარაკობდა. მუნჯად იყო და კარგა ხანიც არავის ეთხოვა მისთვის, დაილაპარაკეო.

მერე ბადუნა ქართულ რაზმში ჩაეწერა. ამიტომ ხშირად მოუხდებოდა წასვლა. მოუხდა თფილისში როგორმე ფეხის მოდგმა, სადაც მათი ნათლიები ისევ ეხმარებოდნენ. მაგრამ სოფელში თადია ვერ დაიტოვებოდა. აბა, სად ივლი და სად შეამოწმებ, თუ არ გადაჩეხილა და არ დაკარგულა სადმე? ფავნელის მამულის შემოსავლის ნახევარზე მეტი თადიას ხმარდებოდა, იმიტომ, რომ სწორედ

ერისთავებმა იპოვეს თფილისში ფორსბერგის პანსიონი და გერმანელებს ასეთი ადამიანის შენახვა სთხოვეს. ფორსბერგები დათანხმდნენ, საძნელო არაფერი იყო: თადია ეზოდან არ უნდა გაგეშვა, სხვაფრივ ის არაფერს დააშავებდა. თანაც, დღე არ გაივლიდა, ბადუნას არ შეეველო, თუკი რაზმად არ იყო. კვირა არ მოილეოდა, მღვდელს არ მოენახულებინა და ნათლიებიც ყურადღებით იყვნენ.

და ახლა, ამ ტუსალობაში, სულ ბოლოსკენ, თადია კვლავ გაიქცა დედის მოსამებნად.

ერისთავებს უნდოდათ, რომ საცოლე შეერჩიათ ბადუნა ფავნელისთვის, უნდოდათ რომ მისთვის უმცროსი ოფიცრის ჩინი ეშოვათ რუსეთის ჯარში... იმათ ბევრი რამ უნდოდათ, მაგრამ თფილისმა არია ყველაფერი. თფილისი არ გამოდგა პატარა სოფელი, სადაც აზნაურის ძველი სახლი და კობტად ჩარიგებული ვენახებია. რა ღირს აზნაურის სახლი? სამი პატარა ოთახი მეორე სართულზე, ხის აივანი და ძველი იარაღი, სახარება, რომელსაც მხოლოდ ქალები კითხულობენ და სამზარეულო და მსახურთა კუთხე პირველ სართულზე.

თფილისში კი ბევრად მეტი ოთახი იყო, განსაკუთრებით, როცა წვერი კობტად გაგიპარსავს და ულვაში ასე გიხდება.

თადია კი გაიქცა.

და წავიდა ახალგაზრდა ფავნელი ძმის სამებნელად.

ფორსბერგებსაც ვერ გაეგოთ: დილით აღარ დაგვხვდაო, თადია დილით არსად წავიდოდა მზის გადახრის მომლოდინე. საშიში კი ეს იყო, რომ ან არ ჩაჩხილიყო სადმე, ან ვინმეს არ წაეხდინა უსუსურობის და სიმუნჯის გამო.

13.

აზიზ-ბეიმ თოკი ახსნა პალოს და თავის კაცებს შეუძახა რაღაც. რა, წოწორია სკვამმა ვერ გაიგო. რაღაც მგონი ოსმალურად, მაგრამ წოწორია სკვამს მივიწყებოდა ოსმალური. ასეთ იერზე კი იყო აზიზ-ბეის თვალში, რომ მხნედ და ჭაბუკურად გამოიყურებოდა, მაგრამ ისიც ბერდებოდა. ხუმრობა კი აღარ იყო, თითქმის ორმოცდაათი წლისა იქნებოდა თავისი დათვლით, ხოლო ზუსტი არ იცოდა, რადგან მისი დაბადების ქალაქი მაშინ დაკარგულიყო, როცა მის დაბადების ალაგს ეკლესია გადამწვარიყო. ამიტომ არ იცოდა, რამდენი წლისა იყო სინამდვილეში, ისევე როგორც ბევრმა იმ დროში და იმ ადგილებში. ორმოცდაათისა უნდა ყოფილიყო, ხოლო აზიზ-ბეი კი კიდევ მეტისა. ბებრები არ იყვნენ?

აზიზ-ბეის ან აღარ ახსოვდა, ვინ იყო წოწორია სკვამი, ანდა ისე გამოჩერჩეტებულიყო, რომ ვიღაც სხვა ეგონა. აჩიკ-ბაშს კი ეძახდა, მაგრამ წოწორია სკვამმა დაატყო, რომ სრულიადაც აღარ იცოდა აქაურობის რამე და რაღაც ძველი დროის საქმით მჭევრმეტყველებდა.

აზიზ-ბეის ერთ-ერთმა კაცმა ნავიდან მოწნული გალია ამოაწოდა. აზიზ-ბეიმ გალიის პატარა კარი გამოხსნა და შიგ ხელი შეაცურა. მერე იქედან ღრუბლისფერი მტრედი გამოათრია და წოწორია სკვამს გაუწოდა.

წოწორია სკვამმა მტრედი ჩამოართვა, მიეფერა და უთხრა: – ცარიელი გამოვაფრინო?

– საგზალი არ ექნება? – ჰკითხა აზიზ-ბეიმ, – ნიშნები ძველია.

– მოვა – წამოდი. არ მოვა – იცადე...

აზიზ-ბეიმ თავი გააქნია. ძნელი ლაპარაკი ექნებოდა ბათომში ფაშასთან, ეგებ იმის რისხვაც ზედ გადმოსდებოდა. აჩიკ-ბაშმა მთლად სასაცილოდ აიგდო ბათომის ფაშას სურვილები და ამბები და ვერც იმის სირთულეს ჩახვდა, რომ აზიზ-ბეი ეგებ მედროშეობიდანც კი გამოეპანლურებინათ ამ სიბერეში და გასამრჯელოს გარეშე დაეგდოთ ბათომში.

– აქ წამოდი... მოურავად დაგიყენებ, – შესცინა აჩიკ-ბაშმა.

მაგრამ აზიზ-ბეი მაინც კმაყოფილი იყო. იმდენჯერ უხსენა ოქრო აჩიკ-ბაშს, რომ ბოლოს იმ უკანასკნელმა თქვა, მივიხედ-მოვიხედავ და რახან ისე გამოვიდა, რომ ორ სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, რამენაირად ხმას მოგაწვდენო. აზიზ-ბეი ამისთვის მზად იყო. ნავში მტრედების გაღია ედგა. კაი განაწვრთნი მტრედები იყო და წოწორია სკვამს ემცხეთა მათი დანახვა.

მერე კი აზიზ-ბეიმ პატარა, მტკიცედ გამონასკვული ქისა გაუწოდა.

– ფაშამ თქვა, თუ დაიყაბულო, წინდი მიეციო.

წოწორია სკვამმა ქისა გამოართვა აზიზ-ბეის და გაიფიქრა, თუ ოდესმე კიდევ მოადგება ამ ნაპირს ეს ჩემი ძველი მეგობარი, მოვკლავ, ანდა რუსებს ჩავაბარებ და ეს იქნებაო.

მერე კი მუშტი მიჰკრა მხარში. აზიზ-ბეი კინაღამ წყალში გადავარდა, მაგრამ კვლავ შეიმაგრა თავი და თვითონაც მიჰკრა მუშტი ძველ თანამოსაქმეს: – ეგრე ვერ წამაქცევ, – უთხრა ღიმილით, – ჩვენ საქმეში რა ძველდება? არაფერი.

და ნავში გადაფოფხდა.

წოწორია სკვამი ვითომ წყალზე მოქანავე დიდ შავ ნავს უყურებდა, სინამდვილეში კი – ზღვას. მტრედი მუჭში ცახცახებდა: ისინი წავიდნენ, მიედევნენ ტალღებს, წოწორია სკვამი კი გამობრუნდა და ცხენს დაუსტვინა ორჯერ, მოკლედ და გამყვიანად.

წოწორია სკვამმა საშიში რაღაცეები იცოდა.

14.

თფილისიდან შელამებულზე დაძრულმა ბადუნა ფავნელმა იფიქრა, რომ ღამით უნდა მოეგო გზა და სავალი ადგილებიც მოინიშნა გუნებაში.

ბოლო საგუშაგო მან მშვიდად გაიარა: ისე, რომ შავ-თეთრ ზოლებიან ფიცრულში მდგარ ორ რუსის ჯარისკაცს მისთვის არც შემოუხედავს.

მღვდელმა უსაგზლა ჯვრისმამის პური და მწვანილი, კიდევ რამდენიმე ვაშლიც.

როდესაც გეზი მცხეთისკენ აიღო, იმ ჩაბნელებული გზის ამბავი გაახსენდა: აქეთ ყაჩაღობა იცის ცნობილმა არსენამ, განსაკუთრებით თუ მთვრალია, მისგან შარს ვერ დაეხსნებიო. არსენა მოუხელთებელი ყაჩაღი იყო, მაგრამ ბადუნას ყაჩაღების შიში არ

ჰქონდა, რადგან, თუ საბრძოლო იქნებოდა, რომელ ყაჩაღს შეეძლო ხმლის ხმარება მასზე უკეთ? ყაჩაღები ხომ გლეხები იყვნენ. ეს იყო, რომ ბადუნას დამბაჩა ყაზარმებში დაიტოვეს და აღარ მისცეს, რაც ძალიან დასანანი იყო, მაგრამ იქვე აღარ შესდავებია. დამბაჩა მამისეული გახლდათ, სევადიანი და კარგად გამოცდილი. საპირისწამლე კი დაუბრუნეს. ახალი, კარგი დამბაჩის საყიდელი ფული ახლა ახალგაზრდა ფავნელს არ ჰქონდა, თორემ ჩაივლიდა რიგებში და რაიმეს იპოვიდა. სჯეროდა, რომ დამბაჩას, როგორც აზნაურის იარაღს, ასე არ გაასხვისებდნენ და ეგებ ნათლიებისა და ნათესავებისთვის დაებრუნებინათ. საქმე სოფლად მისვლაც იყო: იქ ელაგა დამბაჩები განჯინაში.

ის პოლკოვნიკი ისეთი კაცი ჩანდა, რომ დამბაჩას არ მიითვისებდა.

დიღმის ველს რომ მიუწია, ბადუნა ფავნელმა ცხენების ფლოქვების ხმა გაიგონა მოშორებულიდან. თქარა-თქურით მოდიოდნენ და ათნი მაინც იქნებოდნენ. ეტყობა სადღაც მიიჩქაროდნენ, მაშინ, როცა თვითონ უფრო ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც ფრთხილად მოდიოდა.

ბადუნა ფავნელს მაინც უჭირდა რუსთა მმართველობის წესებში გარკვევა. ხმაურის ზრდისდაკვალად მან ცხენი განზე გადააგდო და მხედართა ჩავლას დაელოდა. მხედრებს კი უცებ მაშხალები გამოუჩნდათ, მოახლოვდნენ თუ არა, წამსვე ააბრიალეს ერთი, ორი, სამი, ოთხი მაშხალა.

კაზაკები ჩანდნენ და ერთი ქულაჯაზე ეპოლეტებდაკრული ქართველიც იმათ წინ მოაცეკვებდა ცხენს. ის ალბათ ოფიცერი იყო, რომელიმე თავადთაგანი.

ამ ცხენმოცეკვავემ მაშხალა ჰაერში დაატრიალა, ცხენი ფავნელისკენ მიაგდო და შეუძახა: – ფავნელი ხარ? ბადუნა ფავნელი ხარ? გეხტის მომკვლელი?

– ვარ, – თავდაც შეანძრია ცხენი ახალგაზრდა ფავნელმა.

– მანველოვი ვარ, პორუჩიკი... უნდა მოატრიალო ცხენი და წამომყვე...

– გამიშვეს...

– ვინც გაგიშვა, ისევ იმან გამომადევნა... რა იღბალია, რო ამ ღამეში გიპოვე და რა იღბალია, რო მე ვიყავი ღამის რაზმის უფროსათ... მოატრიალე ცხენი და წამოდი... შენ პრიდპისანია გქონია სოფელში წასვლის, აქეთ კი წამოსულხარ... აქედან არი შენი სოფლის გზა?

– არა, – უთხრა ფავნელმა, – გზა ყველგან არი. მივბრუნდები...

– უნდა მობრუნდე და პოლკოვნიკი რასაც იტყვის...

– მიგვიანდება, – თქვა ფავნელმა, – ისედაც დამბაჩა დაიტოვეს... რაღა უნდათ?

– ვახ, – მაშხალა შეათამაშა მანველიშვილმა, – ისე არ ქნა, რო ადრე მიხვიდე... ძმაო... გიყურებ... განა არ ვიცი შენი ამბავი? გამეხარდა, რო მე უნდა მიმეყვანე. აქამდე რუსი ეგებ გესროდა და თავსაც გაიმართლებდა, გაიქცაო. ზღობა აქეთ შენზე... წამო, დამიჯერე, ეგრე სჯობს.. იმას ნუ მათქმევინებ გამეყცა-თქო, არ გამეყეცი და... ანდა

ქართველმა ქართველი ვერ იპოვა ამ ქვეყანაშიო. იმათ უნდა გამოარკვიონ, რათ წამოხვედი აქეთ. მეტი არაფერი, გეფიცები ჩვენ ერთობას...

ფავნელმა უსიტყვოდ მოატრიალა ცხენი და უთხრა: – მაშინ გავაჭენოთ, მართლა მიგვიანდება, – მანველოვმა კი რაღაც გადაუძახა კაზაკების იასაულს და იმათაც მსწრაფლ მოაბრუნეს ცხენები, ხოლო მაშხალები მიწაზე დააქვრეს.

– ჩვენ წინ ვიაროთ, – თქვა მანველოვმა და დეზი ჰკრა ცხენს, – მამყე, ფავნელო.

და მათ გამოაჭენეს, ისევ თფილისისკენ.

15.

ზადუნა ფავნელმა არ იცოდა, რომ მას მთელ დღეს დაჰყვებოდა პოლკოვნიკის ორი კაცი და მის ყოველ მისვლა-მოსვლას თვალს ადევნებდა.

პოლკოვნიკმა მაშინვე გადაწყვიტა ძირის ძირამდე ჩაედია ფავნელისთვის, როცა ახალგაზრდა აზნაურისა და პორუჩიკ გეხტის საქმეში პროტექცია და მაღალი გავლენა დატრიალდა.

ასეთი კაცი იყო პოლკოვნიკი ენკელი, კარლ ექსლერიჩი და ვერაფერს გააწყობდი. თავის ოფიცრებს კედლად ედგა და იმათ კუბოებს ხომ ორმაგ კედლად დაუდგებოდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, სხვა მიზეზიც ჰქონდა.

ჰოდა, პოლკოვნიკმა გადაწყვიტა, რომ ჯერ ის შეეტყო, ასრულებს თუ არა მისგანვე ბეჭედდასმულ ქაღალდს გათავისუფლებული და ტოვებს თუ არა თფილისს დროულად, იმ დღესვე და თუ ტოვებს, რა მიმართულებით. პოლკოვნიკს სადამოს ცხრა საათზე ამცნეს, რომ ნახევარი საათის წინ ფავნელმა დატოვა ქალაქის საზღვარი მეხუთე საგუმაგოს გავლით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფავნელი არ მიდიოდა თავისი სოფლისაკენ და პოლკოვნიკის გასაკვირად, იყო მარტო და არა ვინმეს თანხლებით. პოლკოვნიკმა იცოდა, რომ ფავნელს სულიერად ავადმყოფი ძმა გერმანულ პანსიონში ჰყავს მიბარებული და მთელი დღეც გათავისუფლებულს ამის გათვალისწინებით მიეცა.

მაგრამ რახან ფავნელი მარტო იყო და მიდიოდა სულ სხვა მხარეს, თავისი სოფლისკენ კი უნდა წასულიყო, პოლკოვნიკმა დევნა ბრძანა.

როგორც თფილისის გარნიზონის დროებით უფროსს, პოლკოვნიკ ენკელს ბევრი რამ შეეძლო. მათ შორის ისიც, რომ ფავნელის ეს საქციელი ყველგან ეცნობებინა და ხელახალი გამოძიებაც დაეწყო იმის თაობაზე, თუ რატომ წავიდა ფავნელი სხვა მიმართულებით. მიწერილობის დარღვევის დამტკიცება ახალგაზრდა ფავნელს მძიმედ დაუჯდებოდა, თუმცა, მას შეეძლო ეთქვა, რომ თავის სოფელში მიდიოდა, ვინაიდან ნებისმიერ წამს შეიძლება ცხენი მოატრიალო და გეზი იცვალო. ამას არავინ დაიჯერებდა, თუკი პოლკოვნიკი თადიას ამბის გამოჩხრეკას დაიწყებდა, მაგრამ აქავე ყველა დაინახავდა, რომ ზადუნას ძმა უნდა მოემდებნა და მხოლოდ ამის გამო არ შეასრულა მიწერილობა. თუმცა, ამას ვინღა აპატიებდა და მაღალ სამდივნოებში ვინ მოეხმარებოდა, ფავნელმა არ იცოდა.

პორუჩიკმა მანველიშვილმა ის მიიყვანა ისევ ყაზარმებში და შეიყვანა ჰაუპტვახტის საკანში, სადაც, ფავნელს თავი ტუსაღად რომ არ ეგრძნო, თვითონაც ჩამოუჯდა ცივ იატაკზე და ყალიონიც კი გამართა მასთან ერთად.

მას ეგონა, რომ პოლკოვნიკი წამსვე მოითხოვდა ტუსაღის ნახვას, მაგრამ გამოვიდა, რომ მეთაურმა დილამდე არ ინება ფავნელთან გასაუბრება და ბადუნამ მთელი ღამე იმ ჰაუპტვახტის კარდია საკანში გაატარა.

გამთენიას, როცა ქალაქის ხმები მოისმა, პორუჩიკმა მაწონზე და პურზეც კი გაგზავნა ჯარისკაცი.

პოლკოვნიკი კი თავის მგუდავ ხერხს ადგა. როგორც ეტყობოდა, აპირებდა, რომ სიცოცხლე გაემწარებინა მისი პორუჩიკის მკვლელისთვის და თარჯიმნის თანდასწრებით გამოუცხადა, რომ თუკი მშობლიურ სოფელში მიდიოდა, მაშინ ქალაქი მესამე საგუშაგოდან უნდა დაეტოვებინა. თანაც, ახალგაზრდა აზნაურისთვის სრულიად გაუგებარ რუკაზე ატარებდა ფანქარს. ფავნელმა თქვა, რომ არ იცის, საგუშაგოების ნომრები, რაზეც პოლკოვნიკმა გამოუცხადა, რომ მას პორუჩიკისა და კაზაკების თანხლებით ახლა გააცილებენ მის სოფელში და იქედან კი გამოსვლა ეკრძალება, ხოლო აკრძალვის დარღვევა იმწამსვე გამოიწვევს მისი, როგორც დამრღვევის ისევ თფილისის ყაზარმებში მოყვანას, საიდანაც ალბათ სამუდამოდ გაისტუმრებენ კატორღაში.

ღამენათევ პორუჩიკ მანველოვს დაევალა მის ბადრაგად ყოფნა.

პოლკოვნიკის ყველა გამოთვლა იყო სწორი და ფავნელთან შემდგომი ომისთვის სასარგებლო: მანველოვი ქართველი იყო და მასთან ფავნელი ბევრს გაბედავდა: შესაძლოა გზიდანაც კი გაჰქცეოდა, ანდა საერთოდ მოლაპარაკებოდა და იმას კი თავისი კაზაკებისთვის გაქცეულზე სროლა არ დაენებებინა.

სახლში რომც დაეტოვებინათ ფავნელი, ის იმავე საათს დატოვებდა იქაურობას, როცა კაზაკები წავიდოდნენ. რომც დარჩენილიყო, ერთ დღეზე მეტს მაინც არასგზით შეყოვნდებოდა. პოლკოვნიკი კი ორ-სამ დღეში შემმოწმებლის გაგზავნას აპირებდა. ფავნელი იქ არ დაუხვდებოდა, რაც მას რაპორტის და სამდივნოთა შეწუხების საბაზს მისცემდა. პოლკოვნიკი ფავნელს არასგზით აპატიებდა. ის ფიქრობდა, რომ ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება.

იმ დღით, როცა ახალგაზრდა ფავნელი ბადრაგით გაისტუმრა სოფელში, კარლ ექსლერიჩ ენკელმა მისი ძმის თაობაზე ცნობათა მოკრება იწყო და ამბებს არ დაუგვიანია. ან რა იყო დასამალი.

თფილისი ისეთი პატარა იყო, საბურნუთეში ჩაეტეოდა.

16.

ეს ძველი დროის სურათია, რუსების შემოსვლისწინანდელი: სტუმრობა საქართველოს დასავლეთიდან აღმოსავლეთში ხშირი არ იყო. იქეთ და აქეთ ადამიანები ერთმანეთს თითქმის არ ენათესავებოდნენ. ეს უცნაური იყო, მაგრამ როგორ შეიძლება კაცი სარკეში მყოფს დაენათესავოს? ამიტომ ისევ თავის მხარეს უნდა მოძებნოს ვიღაც. სტუმრობა ხშირი არ იყო, მაგრამ მოგზაურობა კი ბევრად მეტი.

იმის ნაცვლად, რომ აღმოსავლეთიდან წასულიყვნენ იქეთ, ზღვისკენ, დასავლეთიდან მოდიოდნენ. აღმოსავლეთში ნადირობა უყვარდათ, დასავლეთში კი აზნაურები მწევრებს ზრდიდნენ და ხროვა-ხროვად მოჰყავდათ აქეთ. აღმოსავლეთში ეს მწევრები მოსწონდათ, ყიდულობდნენ კიდეც. თუ ფული დააკლდებოდათ ან დაენანებოდათ, ადამიანებს ცვლიდნენ მწევრებში. რა თქმა უნდა, მყიდველები თავადები იყვნენ, ადამიანები კი ბევრი ჰყავდათ. რაღა ფული ეხადათ, ააბარებდნენ გლესს და გააყოლებდნენ დასავლეთიდან მოსულ აზნაურს. მაინც სარკე იყო, რა იქეთ ყოფილიყავი, რა აქეთ.

დასავლეთში კარგი ცხენოსნობა იცოდნენ. ჯირითი, სხვანაირი ხმალობა და სროლა. ერთმანეთში თუ იომებდნენ, გამოჩნდებოდა, რომ დასავლელი ბევრით ვერაფრით მოუგებს აღმოსავლელს, მაგრამ მისი ყოველი მოქმედება უფრო შთამბეჭდავია. დასავლელები უფრო ხმელნი და მოქნილნი იყვნენ, აღმოსავლელნი – უფრო მოქმედნი. დასავლეთში საჭმელი ჭირდა, აღმოსავლეთში – ეყარა. დასავლეთში ხელობა არ იყო, აღმოსავლეთში – უამრავი. დასავლეთში საჭმელი გემრიელი იყო, აღმოსავლეთში – ბევრი. დასავლელ აზნაურს ისე ეცვა, რომ სიბნელეშიც ანათებდა, აღმოსავლელს კი ისე ეცვა, რომ დღისითაც ვერ შეამჩნევდი.

და მაინც, ეს სარკე იყო.

დასავლეთის ბოლოს ზღვა იდო. სარკესაც ხომ არა აქვს ბოლო?

ბოლო იმას აქვს, ვინც სარკეში ჩანს.

დასავლეთისთვის აღმოსავლეთი სულაც არ იყო სარკე. დასავლეთს თავისი თავი ისედაც მოსწონდა: იერი ჰქონდა ასეთი. აღმოსავლეთს კი სარკე უყვარდა, ბევრ ისეთ რამეს აღმოაჩენდა საკუთარ თავში, რაც მანამდე არ იცოდა. სარკის გარეშე კი აბა რას იზამ? დასავლეთს მხრებზე ეყარა მადლიანი კულულები, აღმოსავლეთი თავს იპარსავდა სამართებლით, მაგრამ სარკეში რომ ჩაიხედავდა, ამბობდა, რა ლამაზი ვარ, ნახეთ, როგორ მშვენიერს ქოჩორა თმა და აწკეპილი უღვაშიო. დასავლეთს რომ სარკეში ჩაეხედა, იტყოდა, რას ვგავარ, თავს უნდა მივხედოო. მაგრამ აღმოსავლეთი ვერ ხედავდა ზღვას. ზღვა იყო საიდუმლოება და უცნაურობა. გაეგონა მის შესახებ. ზღვა სარკეში არ ჩანდა. დასავლეთი უსასრულო იყო.

მთაზე რამდენიმე დუქანი იდგა. ზუსტად იქ, სადაც ვითომდა სარკე უნდა მდგარიყო. იქ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. აღმოსავლეთში სარკეში იცქირებოდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში მისი ნდობა არ ჰქონდათ, სარკე კაი, მაგრამ რა იცი, ეგებ იტყუებო. ამიტომაც, მატყუარებს ეძახდნენ, ამბობდნენ, სწორად და გამართულად სიარული არ შეუძლიათ, იგრიხებიან და ნაბიჯს ბლანდავენო. იმათ კი მაიჩნდათ, რომ მოხდენილნი იყვნენ.

დასავლეთიდან აღმოსავლეთში მოვიდა ხელობა: ხალხის მოტაცება და გაყიდვა.

ეს კარგად გამოუდიოდათ: ტყუილი, მოქნილობა, სისხარტე, კოხტად დალაგებული გეგმები.

სარკე იყო, როგორც სარკეში ჩამხედავი კაცი გაუცვლის ხოლმე თავის გამოსახულებას რაღაცას, ისევე ესენიც უცვლიდნენ ერთმანეთს ბევრად მეტს, ვიდრე მწევრებსა და გლეხებს.

დასავლეთი მთიანი იყო, მიხლართულ-მოხლართული, ჩატკბილებული, ჩაგემრიელებული, მოულოდნელი მოსახვევებით და საშიში ბილიკებით. აღმოსავლეთი გაშლილი იყო, ველიანი, უფრო ხევხუვიანი, იოლად სასუნთქი და იოლად სასიარულო. ორივე იყო ნაომარი, დანაჩეხი, ნაწვალევი, მაგრამ ცოცხალი. რით არ იყო სარკის ამბავი?

17.

ფოთი იყო ადგილი, სადაც სულ მალე ისტორია იზობოქრებდა და დიდი ნავსადგური იხმაურებდა. ეს იყო ადგილი, სადაც მივიდოდა პირველი რკინიგზა თფილისიდან: გაჭრიდნენ იმ შუა წამომართულ მთას, გაიყვანდნენ გვირაბს და ამ გვირაბში მიმქროლავი მატარებლის ამბავი, უეცრად ჩამოწოლილი ქშენია და ჩქარი სიბნელის ამბავი, დარჩებოდა ქართულ რომანებსა და ლექსებში.

მაგრამ იქამდე დიდი დრო უნდა გასულიყო, მგონი ორმოცდაათი წელიწადი, ან უფრო მეტი. წინ დათვლა ჭირს და უკან ვინღა დაითვლის.

იმ დროს კი, 1827 წლის გაზაფხულზე, ეს ადგილი იყო დუქნების რიგი, აღმოჩენილი ზღვასა და უცნაურ, თითქოს უპირო, მაგრამ ზღვაზე განუზომლად პატარა ტბას შორის. ფიცრული დუქნების რიგს, სიცხეში მოხდილი და გვერდით მოდებული ქუდივით ჰქონდა სოფელი, თუმცა, იქაურებს ვერ გადაეწყვიტათ, ზღვაში ეთევზავათ თუ ტბაში. მათგან ამ ორთა შედარება მოულოდნელიც კი იყო ხოლმე, გრძნობდნენ, რომ ტბას ჰქონდა ნაპირი და კიდე და ცხენდაცხენაც შემოივლიდი, თუმცა ნაპირები უმეტესად უგზო იყო. უცნაურობა კი ეს გახლდათ, რომ ტბა ზღვას ჰგავდა, თითქოს მისი შვილი იყო, ოღონდ რაღაც ძალით მისგან მოშორებული. ტბამ საშიშარი აღელვება იცოდა, მგონი უფრო საშიშარი, ვიდრე ზღვამ. საქმე ეს იყო, რომ ერთდროულად აღელდებოდნენ ხოლმე, თითქოს ტბა ცდილობს, ზღვას შეუერთდეს, ზღვა კი თავის სველ ხელებს უწვდისო. ეს საშიშარი იყო: ადამიანი ისე ვერ დადგებოდა, რომ ან ერთი მხრიდან არ დასველებულიყო, ან მეორედან, ხოლო იყო ადგილი, სადაც ორივე მხრიდან დასველდებოდი ამ ლელვის დროს, ამიტომ სოფელი რაღაცნაირად მოხდენილად გაწეულიყო განზე, რათა ამას მორიდებოდა. ცა ასეთ დროს ოხერი იცოდა, ჩამომძიმებული, დედამიწისკენ ჩამოწეული, თითქოს სურს, კარგად დაათვალიეროს ამათი თავგანწირული მცდელობა და დაუნდობლობა და ამიტომ თვალებიც ისე მოუჭუტავს, ისე ჩამოახლოვებია, რომ ცოტა გაწყდა, ეს ბობოქარი წყლები მასაც უწევნო. სხვაფრივ, ეს კარგი ადგილი იყო, თუ კოლოებს არ ჩავთვლით. კოლო რაღა მოსატანია, როცა ადამიანები ორ წყალთა შუა ცხოვრობენ.

როდესაც რუსული პოლკის საბინაოდ ადგილს არჩევდნენ, ასე გადაწყვიტეს: ზღვასთან სიახლოვე სჯობს ტბასთან და ჭაობებთან დგომას, ვინაიდან ჯარისკაცებს კოლო-ბუხები ნაკლებად შეაწუხებსო.

აქაურები გააკვირვა რუსულმა პოლკმა. იმ ახალმა ქუჩამაც, რომელიც უცებ აშენდა ოფიცერთა ოჯახებისთვის. ესეც ხის სახლები იყო, ოღონდ ერთსართულიანი, პატარა და თან დიდი. აქაურები მიეჩვივნენ საყვირის ხმას, წელი წამოიდგეს თევზისა და რძის გაყიდვით და მიეჩვივნენ მთვრალი ჯარისკაცების ყურებას ნამალავად. აქ გაჩნდა გარმონის ხმა და სხვა ათასი რამ. ასევე, საჭირო შეიქნა არყის ხდა.

18.

წოწორია სკვამი სოფლის ბოლოს ცხოვრობდა. სახლი ზემოთ ხის ჰქონდა, ქვემოთ – ქვითკირისა. შინაგანად, არ იყო ზღვის კაცი. არც თევზაობა უყვარდა, არც ნავი და ტალღა. არ იყო აქაური. ეს ადგილი კარგა ხნის წინათ იყიდა. არც ჰყავდა აქეთ ვინმე ნათესავი და ახლობელი. ერთი არცთუ მდიდარი აზნაურის ნაბოლარა იყო, რომელსაც ქონების გაყოფის დროს მხოლოდ მათრახი და სამი ცალი ნალი თუ ერგება, თორემ სახლ-კარი და ცხენი, თავის თოფ-იარაღით უფროს ძმებს ერგებათ. წამოვიდა და ხან სად იმსახურა, ხან – სად. რა საქმე არ აკეთა და როგორ. აქაური წესი და ცხოვრება თავისი სანაქებო იერის გამოყენების საშუალებას მხოლოდ ერთ რამეში თუ მისცემდა, ვინმე თავადთან დამდგარიყო და ემსახურა მასთან რაიმე თანამდებობაზე, ამაღლაში კი თავისი გარეგნობის გამო ყოველთვის მოხვდებოდა. მეფეების ან მთავრების ამაღამდე ვერ მივიდა და აირჩია ის ხელობა, რომელსაც მაშინ ხშირად ირჩევდნენ მისნაირები – ტყვეთა სყიდვა. მეფეთაგან დევნილი, ეპისკოპოსთაგან შერისხული, მაგრამ შემოსავლიანი და სახიფათო საქმე. მის დროებაში კარგა ხნის აკრძალული, ფიცდადებული და სასტიკი სასჯელით დამაშინებელი ეს ხელობა წოწორია სკვამს ნამდვილი სიმამაცისკენ უბიძგებდა, რაც გამოსდიოდა კიდეც, თუმცა, სიმამაცეზე უფრო ჭკუა სჭირდებოდა.

შედეგი ამ მრავალწლიანი საქმისა მისთვის ის იყო, რომ ჰყავდა ოჯახი, ჰქონდა მიწა და ცხოვრობდა წყნარად, ისე რომ, სამი ქოთანნი ოქრო-ვერცხლი დაფლულიც ჰქონდა საჭირო ადგილას.

აზიზ-ბეის რომ მოშორდა, უკან დაბრუნდა, ცხენიდან ჩამოქვეითებული შევიდა რუსების ქუჩაზე, სადაც ყველა იცნობდა იქაურებში გამორჩეულ უკვე ჭარმაგ კაცს, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც, პოლკის გალავანს იქეთ შედიოდა თავისი ფორნებით.

ცხენი მოჰყავდა და ისე მოდიოდა. უყურებდა ყვავილებში ჩაფლულ ბაღებს, დაფოთლილ ხეებსა და ნაირგვარ სუროებში გახლართულ პატარა სახლებს, სადაც გემრიელი სიგრილეები და მოხერხებული ჩრდილები შეიგრძნობოდა.

წოწორია სკვამმა იცოდა, ვინ სად ცხოვრობდა.

ცალ ხელში ცხენის აღვირი ეჭირა, მეორეში მთლად შემშინებული მტრედი. არ იცოდა, ამ მტრედისთვის რა ექნა. ალბათ უნდა დაეკლა. აღარ აპირებდა აზიზ-ბეის საქმეში გარეგას. სიმშვიდემ მიჩვევა იცის. მაგრამ რატომ წამოვიდა ამ ქუჩაზე?

აზიზ-ბეიმ რომ ქალის მოტაცება შესთავაზა, წოწორია სკვამი წამსვე აქეთ, რუსების ქუჩისკენ გამოაქანა ფიქრმა. უბრალოდ გამოაქანა, ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე. სხვა აქეთ არც არაფერი იყო და ალბათ ამიტომ. ერთი ფიქრი ისე შემოლიტინდა, თითქოს კაცს ამაზე ადრეც ეფიქრაო და ასეც იყო, გაუფიქრია ხოლმე. განა მართო გამორჩენა იყო მისი ფიქრი? სხვა დარდიც ჰქონდა.

და მაშინ რატომ ჩამოიარა ამ ქუჩაზე? შეეძლო ნაპირ-ნაპირ მისულიყო შინ.

იმ ძველი, შეთვალთვლების ჩვევის გამო? ეს თვისება წოწორია სკვამს ადრიდანვე გასჩენოდა. რა იყო მომტაცებლის ხელობა? თვალი და თვალთვალი, დაკვირვება, დამახსოვრება და ცოდნა. ჰოდა, მაინცდამაინც აქეთ წამოვიდა.

მან ნელა გაიარა ქუჩა და მერე, ცხენის ფერებ-ფერებით გაუყვა სახლისაკენ მტრედით ხელდამშვენებული. სადილობის დრო იყო.

19.

სინამდვილეში ეკიპაჟში სამნი ისხდნენ.

ეს პოლკოვნიკმა კარლ ექსლერიჩ ენკელმა კარგად და თავიდანვე იცოდა. მაგრამ მეტი არაფერი. მეტი ვერაფერი გაიგო.

პოლკოვნიკი ქართველებს არ ენდობოდა.

ამიტომ გადაწყვიტა ასე. სწრაფად და საზრიანად. მას შეეშინდა, თუმცა, ამ შემთხვევაში საშიში არაფერი იყო. მაგრამ ის ქართველებს არ ენდობოდა და უფრთხოდა კიდეც მათ.

მთელი გამოძიება, მთელი ეს სამი თვე იმ ზამთრიდან ისე გამოვიდა, რომ პოლკოვნიკი ერთხელაც ვერ დაელაპარაკა გულახდილად ტუსაღს. მისი აზრით, ახალგაზრდა ფავნელი გულახდილობის სურვილს საერთოდ არ ამჟღავნებდა. მისი გულახდილ საუბარზე გამოწვევა კი, თარჯიმნის თანდასწრებით, არასწორი იყო. პოლკოვნიკი ყველანაირად ცდილობდა, რომ ფავნელი თფილისის გუბერნიას მაინც გაშორებოდა და თუ ციმბირში არა, სადმე აქედან შორს მაინც გადაესახლებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ზემდგომთა დელიკატურმა სურვილებმა ხომ საერთოდ დააბნია და მის ეჭვებს წყალი შეუყენა. ამის მიუხედავად, მაინც მტკიცედ სჯეროდა იმისა, რომ მართალი იყო, მაგრამ რას იზამ, როცა საკუთარი შვილიც კი შეურაცხყოფას დაგაბრალებს?

ამან კიდეც უფრო დაარწმუნა პოლკოვნიკი, რომ საქმე უბრალო, შემთხვევით შეტაკებას არ ეხებოდა.

ეკიპაჟს სამხედრო მეეტლე მართავდა და მას ერთი დენშჩიკიც ახლდა. ეკიპაჟში სამნი ისხდნენ მაგრამ სინამდვილეში ორნი: ერთი, მოახლე გოგო, არ ითვლებოდა. იმ ორიდან კი ერთი გენერალ-გუბერნატორის დისწული იყო და მეორე – პოლკოვნიკ ენკელის ასული ეკატერინა ენკელი. ორივენი ოცი წლისანი და თფილისში სალონებსა და მეჯლისებზე დამეგობრებულები. ისინი მამათა ნებართვით სტუმრად მიდიოდნენ ქალაქგარეთ, რომელიღაც თავადის ასულს და მის ძმებს მიეწვიათ.

რატომ გაჩერდა ეკიპაჟი მოედანზე, ძნელი სათქმელი იყო. მეეტლე ამბობდა, რომ კი არ გაჩერდა, შეყოვნდა, რადგან ხალხის ბრბოს გვერდი ვედარ აუქცია.

ისიც ზუსტად გამოურკვეველი დარჩა, პორუჩიკმა გეხტმა გენერალ-გუბერნატორის ეკიპაჟი იცნო, შიგ ქალიშვილები დალანდა და ამიტომ დაიწყო თავისი წარმოდგენა, თუ საშაქარლამოს რბევა უკვე დაწყებული ჰქონდა.

გენერალ-გუბერნატორმა ქალიშვილებთან ლაპარაკი პოლკოვნიკს არ ურჩია, უთხრა კი მხოლოდ ის, რომ მისი დისწული შეაშფოთა დანახულმა სცენამ, რადგან იცნო გეხტი და მისი ამ საქციელის დანახვა სულაც არ მოუნდა, ამიტომ, მოახლეს სთხოვა, რომ მეეტლისთვის დაძვრა ებრძანებინა. ზუსტად იგივე უთხრა პოლკოვნიკს საკუთარმა ქალიშვილმა, რაც ალბათ, საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ

პოლკოვნიკმა ვერ მოისვენა, ქალიშვილი შერისხა და სტუმრობიდან ეკატერინას დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა დამამცირებელი დაკითხვის წამოწყებას, რასაც არათუ ქალიშვილი, მის ცოლიც კი ეწინააღმდეგებოდა.

საქმე ის იყო, რომ პოლკოვნიკს სჯეროდა: გეხტი სწორედ მისი ქალიშვილის დასანახად ჩაუქობდა და არა გენერალ-გუბერნატორის დისწულისა. პოლკოვნიკი ადრეც ეჭვობდა, რომ გეხტი მის ქალიშვილს ეკურკურებოდა და საკმაოდ უწყინარი ოფიცრული რომანის გაბმას ცდილობდა მასთან. მაგრამ ასეთები მრავლად იყვნენ. თანაც, პოლკოვნიკს მიაჩნდა, რომ მისი ქალიშვილი ლამაზი ქალწული იყო, შეუდარებლად სასურველი და უკეთილესი, გულუბრყვილო და გამოუცდელი, ვიდრე გენერალ-გუბერნატორის ულამაზო და გაქექილი დისწული, რომელიც პირიქით, ცდილობდა ახალგაზრდა ოფიცერთა ქსელებში გამოხლართვას.

პოლკოვნიკს აქამდე არასოდეს ენახა ბადუნა ფავნელი და ეს ამბავი რომ არ ყოფილიყო და ქართველთა რაიმენაირი ნდობა რომ ჰქონოდა, მოეწონებოდა კიდევ. მისი პასუხები კი აბრაზებდა, მაგრამ ხიბლავდა სისადავით და მრავალმნიშვნელობით. რახან გაიგო, რომ ბადუნა ფავნელი ქართული რაზმების წევრი იყო და ომისაც რაღაც გაეგებოდა, იფიქრა, რომ ამ უკანასკნელს გეხტი უნდა სცნობოდა. ახალგაზრდა აზნაური ამ ნაცნობობას უარყოფდა. თქვა, რომ სამხედრო ფორმიანი კაცი ყველა ერთმანეთს ჰგავსო, რამაც კიდევ უფრო ჩააფიქრა პოლკოვნიკი და იმის კვლევა დაიწყო, შეიძლებოდა თუ არა, ფავნელს სადმე ენახა მისი ქალიშვილი, გულში ჩავარდნოდა და ეს ორთაბრძოლაც ამ მიზეზით მომხდარიყო.

პოლკოვნიკმა ვერც ქალიშვილს ჰკითხა რამე და ვერც ფავნელს. შეუძლებელი იყო ეკითხა, ჩემს ქალიშვილს ხომ არ იცნობდიო: ეს ყოველგვარი ღირსების დაბლა იქნებოდა. თანაც, ფავნელი ოფიცერი არ იყო, რომ მასთან ღირსების ლაპარაკი გამოსვლოდა, ისევე, როგორც უბრალო, გულახდილი ლაპარაკი.

ზემდგომი პროტექციის ამბავი რომ იგრძნო, პოლკოვნიკმა, პროტექტორთა ვინაობაც დაადგინა: ერისთავები ცნობილი და გავლენიანი ოჯახი იყო. თავადაც იცნობდა, ოჯახითაც ყოფილა მიწვეული. ამის შემდეგ პოლკოვნიკს ვერავინ გადაარწმუნებდა, რომ მისი ქალიშვილი და ბადუნა ფავნელი ერთმანეთს არ იცნობდნენ. მართალია ბადუნა ფავნელი რუსულად ვერ ლაპარაკობდა და მით უმეტეს, ვერც ფრანგულად, მაგრამ რად უნდა მიჯნურობას ენები? თვალებიც ეყოფა, კოხტა ულვაშიც და ქართველების მატყუარა, ვითომ ასეთი ღრმა და მეოცნებე თვალებიც.

პოლკოვნიკი კარლ ექსლერიჩ ენკელი არ იყო უკანდახეული და მშიშარა კაცი. მრავალ ქალაქში შესულიყო ომით, თვით პარიზშიაც, საზეიმო მარშით ჯერ კიდევ როდის, ნაპოლეონ ბონაპარტეს დროს. მაგრამ ამ მიგნებამ შეაცბუნა. მან იცოდა, რომ აქ არა მხოლოდ იოლად იტაცებენ ადამიანებს, არამედ შეყვარებულის მოტაცება სრულიად ჩვეულებრივი ამბავია.

ბადუნა ფავნელი იქვე ჰყავდა, ყაზარმაში გამოკეტილი. რას გაიგებ ქართველებისას? და პოლკოვნიკმა გადაწყვიტა რომ ცოლ-შვილი გაეხიზნა, თავისი ძველი მეგობრის, პოლკოვნიკ პასესთვის ესტუმრებინა.

– წახვალთ, ადგილს გამოიცვლით, – უთხრა ცოლს, – ზაფხულამდე იქ იქნებით, – და გაამგზავრა ოთხი ჯარისკაცის და ორი კაზაკის თანხლებით.

ახლა კი ბადუნა ფავნელი გაათავისუფლეს. პოლკოვნიკს უნდოდა, რომ ცოლ-შვილი ქალაქში დაებრუნებინა, ხოლო ეს გაუგებარი ახალგაზრდა აზნაური სოფელში ყოფილიყო დაბმული. მაგრამ სად დააბამ ამ ორგულ ხალხს?

20.

ბადუნა ფავნელს სოფელი გახარებული დაუხვდა, თუმცა, გაკვირვებული კაზაკების გამოჩენით.

ეზო იყო დახვეტილი და უტყვი. მოურავმა და გოგომ სუფრა გაშალეს, პორუჩიკი მანველოვი მოხარშულ ხორცს დააძღა და ორი ხელადა ღვინოც გამოცალა. ეზარებოდა ცხენზე შეჯდომა. ბადუნა იჯდა, მწვანის კიდეს აწვალებდა თითებით და ელოდებოდა, როდის წავიდოდნენ.

მაღლა ავიდა და ოთახები მოათვალიერა. დიდი ხნის აუშლელი ლოგინები. ძველი, გემრიელი საბნები. სურა, რომელიც ტახტის თავთან ედგა ხოლმე დედას და იმის შემდეგ, არც ვინმეს ჩაუსხამს შიგ წყალი.

– ფავნელო, გამიხარდა შენი გაცნობა და ისევ მომინდება შენი პურ-ღვინო, – გადაეხვია პორუჩიკი, – სიფრთხილე არ დაკარგო... – ამხედრდა და კაზაკებს დაუყვირა რაღაც რუსულად.

– თადია ხო კარგათ, ბატონო? – მხრებზე უსვამდა ხელებს ძველი მოურავი. მათი დაბადება ახსოვდა.

– თადია, დაიკარგა... – უთხრა ბადუნამ, – ცხენს მიჭმიე?

მოურავი აირია.

– მე ახლა წავალ და თუ ასეთი რუსები ისევ გამოჩნდნენ, ვენახებშია-თქო, უთხარი... როცა გამოჩნდებიან... ყოველთვის ასე უთხარი....

– შენ იცი, ბატონო. საქმეს მივყვებით... ყველაფერს...

ბადუნამ მხარზე ხელი დაჰკრა მოურავს და მხარზევე გაუჩერდა ის ხელი. ალბათ დარჩენა თუ მოუნდა ამ სოფლის სიჩუმეში, თუნდაც ათი წლით.

მერე ბადუნა ფავნელი ისევ ავიდა მაღალ ოთახებში, გამოაცოცა ერთი ძველი განჯინა და იქ, შალში გამოხვეული ორი ცალი დამბაჩა ამოარჩია, მერე პატარა ხურჯინში ჩადო ტომსიკით გვარიანი ოდენობის თოფის წამალი და აივანზე გამოსულმა ჩასძახა მოურავს: – საგზალი...

– მზადაა, – მოესმა ქვემოდან.

მერე კედლიდან ჩამოხსნა ძველი გრძელი თოფი, უყურა ერთხანს და ისევ უკან ჩამოკიდა. მეორე თოფი, არა მამისეული, თავისი სახმარი, ერისთავებთან იყო ქალაქში, იქ კი არ მისულა.

ასე ჩამოვიდა და წავიდა თავლისკენ, სადაც ცხენი უფრო კაზაკების დასანახად შეიყვანეს.

მოურავი უკან მოსდევდა, ხურჯინს ეპოტინებოდა რათა შიგ ტილოში გამოხვეული პურები და ხორცი ჩაეწყო.

მან ხურჯინი ცხენს გადაჰკიდა, მოურავმა კი თოკით გადანასკული ძველი ნაბადი მოიტანა და ისიც უნაგირზე დააბეს.

– ლეკი და თათარი გაცილოს, – უთხრა მოურავმა ამხედრებულს, ცხენს მიეფერა თუ მის ფეხს, ძნელი გასარჩევი იყო.

– იხარე, – მიუგო ფავნელმა, – თუ დაინახო ან რამე გაიგონო...

– კი, კი...

და ბადუნა ფავნელი გაუყვა გზას, ისევ საღამოს პირზე, სოფლის გზას მორიდებული: ტყისპირებისკენ, ჭალის ჩავლით. ზუსტად ის გზა იყო, თადიამ რომ პირველად გაირბინა ოდესღაც. ზუსტად ისე ეკიდა მზე და ეტყობა, ზუსტად იქით მიქროდნენ ის მხედრებიც. როდის, რამდენი წლის წინათ.

თფილისი დაბლა რჩებოდა მხარმარცხნივ. თუ თფილისიდან წავიდოდა, მაშინ ამ მიმართულებით უნდა ევლო. და ასე წავიდა.

21.

მოტაცება და გაკოჭვა ჯერ კიდევ არ არის მთავარი, არც მოტაცებულის დადუმება.

მთავარი მოტაცებულის საჭირო ადგილას უჩუმრად მიყვანაა. თანაც, მოტაცებული ერთი იშვიათად არის ხოლმე. ხელობა სახიფათოა. ერთი გზის თითო მოტაცებულით რამდენჯერმე გავლა კიდევ უფრო სახიფათოა. ამიტომ, თუ ათიოდე კაცს არ მოაგროვებ, საჭირო ადგილას წასვლას აზრი არა აქვს. თუ, რა თქმა უნდა, მოტაცებული განსაკუთრებული ვინმე არ გახლავს და სწორედ რომ მისი მოტაცება არ გქონია დაკვეთილი. ასეთი რამ კი ძალიან იშვიათია: ლამაზ ქალსა და თითისტოლა ბიჭს, მომავალ მამულუქს ან იანიჩარს მომტაცებლები არ დააცალკევებენ. მერე რა, რომ მათ, ათს მეტი ძალა აქვთ, ვიდრე მათ მომტაცებელსა და გამცილებელ სამ კაცს.

უცნაურობა ამ ამბავში ის იყო, რომ არასდროს არავის უთქვამს, გატაცებულნი და ტყვედ გასასყიდნი აჯანყდნენ, ერთნი კიდევ დაიხოცნენ, მეორენი კი დაეხსნენ გამტაცებლებს და ადამიანებით მოვაჭრეებს და შინ დაბრუნდნენო.

ასეთი რამ არ ყოფილა.

შინაურები ვითარცა მიცვალებულს, ისე გლოვობდნენ მოტაცებულს, მაგრამ იტყოდნენ ხოლმე, ვინ იცის, ეგებ უკეთ არის კიდევ იმ შორეულ ადგილას, სადაც მოხვდაო. იყვნენ კიდევ უკეთ ალბათ ბევრნი. თუ უკეთ ყოფნის მნიშვნელობას არ ჩავუღრმავდებით.

იქ, სადაც ხვდებოდნენ, წყნარი და მორჩილი, ჩვეულებრივი გლეხური ცხოვრება აღარ იყო. საკვირველად ეს ჩანდა ხოლმე, რომ ისინი აღარასდროს ბრუნდებოდნენ. თუნდაც წლების შემდეგ, როცა შეეძლოთ გამოქცეულიყვნენ, რადგან იმ შორეულ მხარეებში ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. დრო და ცხოვრება ერეოდა მონატრებას, თუ იყო რაღაც კიდევ სხვა, ვერავინ იტყვის. ისინი აღარ ბრუნდებოდნენ.

ეს არდაბრუნება, არგამოჩენა, დაკარგვა, ვითომ მოულოდნელი რამ იყო. ტყვეთა მსყიდველები არ იტაცებდნენ ჩვილ ბავშვებს, რომელთაც არ ჰქონდათ მეხსიერება. ისინი იტაცებდნენ მოზრდილებს, ჭაბუკებს, ჯანმრთელ და საზრიან ადამიანებს. ამით მათი ხელობა უფრო რთულდებოდა, მაგრამ სწორედ ასეთები უნდა გაეყიდათ, თუ ჩვილს ან კეთილშობილი წარმოშობისას ვინმე საგანგებოდ არ მოითხოვდა. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ახსოვდათ თავიანთი სოფელი, თავიანთი ენა, თავიანთი მშობლები, ხშირად ცოლ-შვილიც კი და მაინც ისინი არ ჩანდნენ. მგონი მხოლოდ ერთი, დამასკოს გამგებლად ქცეული უგზავნიდა წერილებს ქართველ მეფეს და მშობლების ყმობიდან გათავისუფლებას სთხოვდა.

მოტაცება გადარეცხვა იყო. რაღაცნაირი ცვლილება, რომელიც თითქოს ყველაფერს შლიდა. ის ერთგვარად თმენაც იყო, მაგრამ ცვლილება ისეთი მკვეთრი გამოდიოდა, რომ ადამიანი სწრაფად და მოულოდნელად იცვლებოდა. მოტაცებულთა შორის ქალებიც ერივნენ, ოღონდ განუზომლად ცოტანი იყვნენ. მოთხოვნა კაცებზე იყო. კაცი კი თუნდ მამა-პაპით, საუკუნეებით ცხოვრობდეს ერთ ადგილას, არაფერი იცოდეს სამყაროსი, მაინც ხეტიალა და მაინც სიახლის მაძებარი. ტყვედ გაყიდულს სთავაზობდნენ ახალ, სრულიად მოულოდნელ სამყაროს. ისეთსავე ერთადერთს, როგორც მისი ძველი სამყარო იყო და ის ებმებოდა მასში.

ადამიანმა არ იცოდა ენა, არ იცოდა წესები, იყო სხვა რჯულისა და ყოველივე ამას იცვლიდა. სიახლე თვალს სტაცებდა ტყვეებს და სჯობნიდა მონატრებას.

ტყვეთა მსყიდველთა ერთადერთი სირცხვილი იყო ის, რომ ქრისტიანს სამუსლიმომი ყიდდნენ.

მეტი არაფერი.

ისინი ხუმრობდნენ კიდევ, მეც ფული ავიღე და ისიც ბედსა ვწიეო.

22.

გზები. იდუმალი გზები. გზები, რომლებიც მიწას არ ამჩნევია. გზები, რომლებსაც ვერ დაარქმევ სახელს. შინაურობაში ამ გზებს თვით ცნობილი ტყვეთა მსყიდველების სახელები ერქვა. ასე იტყოდნენ ხოლმე თავიანთ საქმეში, იმის გზით წავიყვანეო, ან ამის გზით ვიარეო.

ეს გზები უჩინარი გზები იყო.

საქართველოში, ქედს იქითაც და ქედს აქეთაც, ყველაფერი გზა იყო. გავლა ყველგან შეიძლებოდა, მთავარია, უხიფათო ყოფილიყო. იყო ნავალი, ნათელი და ცნობილი გზებიც, სიმოკლისთვის, მაგრამ იყო სავალიც კაცის სურვილზე და საჭიროებაზე. გზებს დუქნები კრავდა: ფუნდუკები, ღამის სათევი უხიფათო ადგილები, ანდა უბრალოდ სოფლები, სადაც ყოველ კართან შეგეძლო ღამის გათევა. ოღონდ კი ამ ფუნდუკებთან ანდა სოფლებთან როგორ მივიდოდა კაცი, მისი ასარჩევი იყო.

იმ დროში, ძველ ქართულ დროში, გზებზე გუშაგები არ ყოფილან.

რუსები კი მოვიდნენ და მიხვდნენ, რომ გზების გარეშე ამ ქვეყანას ვერაფერს გაუგებენ და ვერ მოუხერხებენ. ასე იყო რომაელთა დროიდან. და მათ დაიწყეს გზების არჩევა

და გაყვანა. მათ ფუნდუკები გამოაცოცხლეს და ჩადგეს საბაჟოები და საგუშაგოები. მათ დაიწყეს დიდი გზის შენება, უდიდესი გზისა, ჩრდილოეთში, მთებში რომ ადიოდა და მუშებად ქართველი გლეხები იყვნენ. გზებზე სადგურები გაჩნდა, ისევე როგორც რუსეთში: სულს მოითქვამდი, ცხენებს გამოცვლიდი, ღამეს გაათევდი. გაჩნდა საშიკრიკე ჩამოსახდომები, სულ სხვანაირი, ვიდრე ქართველებს ჰქონდათ ძველად. გზებმა თითქოს დააპატარავა ქვეყანა. გაზარდა და თან დააპატარავა. მაგრამ იქ, სიღრმეებში, უხილავობებში, დარჩა ძველი გზები, ჩვეულებრივიც და ტყვეთა სატარებელიც.

ისინი დარჩა და უფრო ძნელი სავალი კი შეიქნა, რადგან შამხნარმა გადაუარა, მაგრამ მაინც გზები იყო, ძველი გზები, რომლებიც უამრავმა ხალხმა იცოდა და ეს ხალხი მაინც ჯიუტად დადიოდა ამ გზებზე, რატომღაც ერიდებოდა ამ ფართო შარებს და საგუშაგოებს.

ამიტომაც, იმ დროის საქართველოში არსებობდნენ ხილული და უხილავი მგზავრები. უცხო მდევარს ყოველთვის უჭირდა. სადევნი რუსული გზით არასდროს გაიქცეოდა და მაშინ მოიკითხავდნენ ხოლმე ქართველებს, იმათ, ვინც გზა იცოდა. პოლკოვნიკი კარლ ექსლერიჩ ენკელი კი ქართველებს არ ენდობოდა. არაფრის დიდებით, მით უმეტეს ასეთ საქმეში.

ამიტომ მან მეორე დღესვე შეადგინა რაზმი და სოფელ ფავნისში გაგზავნა, იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მყოფობს იქ შინაპატიმრობამისჯილი ახალგაზრდა აზნაური.

მეთაურად პორუჩიკი მანველოვი აღარ ყოფილა, სულ სხვას დაავალა.

23.

წოწორია სკვამმა აივანზე ფქვილის გირვანქიანი საწყაო გამოატანინა ცოლს, ფრთხილად დასვა მტრედი და საწყაო სწრაფად დააფარა.

ცოლი გაკვირვებული უყურებდა.

– მტრედია, – თქვა სკვამმა, – ვინმეს დაუძახე, გალია მოგვიქსოვოს, ან თუ აქ ვინმეს გალია... ბიჭო, ბიჭო... – ჩასძახა დაბლა, – გალია იპოვე სადმე, გალია...

ცოლი გაკვირვებული უყურებდა.

– დაიჭირე? – ჰკითხა ბოლოს.

– შემხვდა. შევჭამოთ რამე, ა?

ცოლმა გამოიტანა პატარა ტაბლა და წინ დაუდგა აივანზე, სამფეხა სკამზე ჩამომჯდარ წოწორია სკვამს.

– რუსი იყო მოსული. სალდათი, უფროსობა ეძახისო. მეტი ვერ გავიგე, – უთხრა ცოლმა.

წოწორია სკვამმა არაფერი თქვა, მხოლოდ უცებ წამოდგა და აივანზე სიარულს მოჰყვა.

– ბურდღუნები სადაა? – ასე ეს აზნაური შვილიშვილებს ეძახდა.

წოწორია სკვამისთვის ღმერთს ერთი შვილი მიეცა, აწ ჯერაც ოცი წლის, ადრევე დაქორწინებული და ადრევე დაქვრივებული, რომელიც არასგზით ხელახლა დაქორწინებას არ თანხმდებოდა და დიდხნობით დაიარებოდა საშოვრებზე: ნაირგვარ საქმეს ავლებდა ხელს. გულს აყოლებსო, ასე ფიქრობდა წოწორია სკვამი, თან ჩემსავით დაუდგომელი გამოვიდაო.

ამიტომ, მისი ორივე შვილიშვილი ბების ხელში იზრდებოდა. წოწორია სკვამი ამით ხარობდა. მიმხვდარიყო, რომ ეს არის სიხარული. ბავშვებს რაღაც წარმოუდგენელ, ღვთაებრივ არსებებად აღიქვამდა და უნდოდა ისინი შეეჭამა ხოლმე. უქსოვდა ბადეებს, ასწავლიდა სროლას და ცხენზე ჯდომას, დაატრევდა ტბის და ზღვის ნაპირებზე, რუსული პოლკიდან ნაირგვარი უცხო ნივთები, ჯარისკაცების ნაკეთები სათამაშოები მოჰქონდა, საწოლს თავადვე უსწორებდა და ხელ-პირსაც თავადვე აბანინებდა. იმათ თვალეში თუ ხედავდა ნაპერწკალს იმ კაცისას, ვისაც აზიზ-ბეი აჩიკ-ბაშს ეძახდა.

– გავარდნენ სათამაშოდ, – უთხრა ცოლმა.

– ა, მე კიდე ტკბილები მოვიტანე, – უბიდან ბაღდადურში გახვეული რაღაცა ამოიღო წოწორია სკვამმა, ტაბლაზე მიდო და ისევ ბოლთის ცემას მოყვა.

– მოხდა რამე? – ჰკითხა ცოლმა.

– რა უნდა მოხდეს, გაიხედავ, ზღვაა, – წაიბურტყუნა წოწორია სკვამმა და თქვა, – წავალ მაშინ მე რუსებისას და რო მოვალ, ვჭამოთ რაღაცა.

– გეჭამა ჯერ.

წოწორია სკვამმა ხელი აიქნია და კიბეს ჩაუყვა.

– ვინ გაცლის... ეგ იყოს მანდ და გალია, გალია მოიტანე, ბიჭო...

– კი, კი... – მოისმა ქვემოდან, – გვაქ ერთი გალია..

– უჩემოთ არ ჩასვა... ბურდღუნებს გეეხარდებათ, – ის უკვე ამხედრებულიყო. აღარ დაელოდა მსახურს, რომელიც ჭიშკრის გასაღებად მოცუხცუხებდა და ცხენი დაბალ ლობეს გადაატარა – რავარი მსახურობა იცი, ა? – ჩაიცინა და გააჭენა.

პოლკის საგუშაგოზე ჩამოქვეითდა, რაც ეჯავრებოდა. ერთი გაიხედა ზღვისკენ და დამტვრეული რუსულით უთხრა გუშაგს, მეძახდნენო.

გუშაგები იცნობდნენ. ყველა იცნობდა წოწორია სკვამს. ალაყაფი გამოხსნეს, შეიყვანეს და მოცდა უბრძანეს. ოთხი გრძელი სახლი იყო ამ პოლკში და დანარჩენი კი კიდეც უფრო გრძელი ხის ყაზარმები. კაი ხნის აშენებული იყო ყველაფერი.

ხელცარიელი არ უნდა მოვსულიყავიო, ახლადა გაიფიქრა წოწორია სკვამმა, ძღვენს დაჩვეული ჰყავდა ოფიცრები: მიუტანდა ტიკით ღვინოს, შინ ნახად არაყს, სხვასაც. ისე, როგორც ქართველებმა იციან. ხელცარიელობა აზიზ-ბეის გამოჩენას მიაბრალა და გამყოლს გაჰყვა. გამყოლმა ხის გრძელ სახლში შეიყვანა, სადაც ერთი ვარჯიშობა იყო გახურებული, იდგა ხის ღონიერი ჯოხების ერთმანეთზე ხეთქების ხმა და ხმა ხალისიანი შეძახილებისა. ოფიცრები ხმალში ვარჯიშობდნენ. ისეთი სამოსი ეცვათ,

ქალებს რომ აცვიათ ჩვენში, ოღონდ მარტო ქმრები რომ ხედავენ. გავდა კი ქალების ღამის სამოსს.

წოწორია სკვამი ამათ უმეტესობას იცნობდა, ოღონდ თავის ხელობისა გამო საქმე უფრო ინტენდანტებთან ეჭირა, ოღონდ აქ ინტენდანტები არ იყვნენ.

წოწორია სკვამი ერთხანს იდგა, მაგრამ ჯოხებით მოხმალავე ოფიცრებმა თითქოს ვერც შეამჩნიესო და ეს იყო სწორედ ის, რაც არ უყვარდა ამ კაცს.

ის შეუმჩნეველი არ იყო. იყო შესამჩნევი და შეუმჩნეველი ფიქრებით.

ასე იდგა და ბრაზობდა თავისთვის. ხმალიც არ მოსწონდა ამათი, შეცდომებს პოულობდა. თავისებურად, რა თქმა უნდა, იმათ ხმალობის სხვა ხერხები იცოდნენ.

24.

ახალგაზრდა აზნაური ბადუნა ფავნელი ღამის გზაზეც აზნაური იყო. მიდიოდა თვალგამჭრიახად და ზუსტად. რამდენჯერ გამოსდევნებია ძმას და რამდენჯერ უპოვია იგი. ნადირობისა და გემის ნიჭს პატარაობიდანვე ამჩნევდნენ. ძამას რომ ეცოცხლა მის საბოლოოდ წამოზრდამდე, მეტს ასწავლიდა ამ საქმეში – ნადირობასა და დევნაში – ვინაიდან აზნაურის ცხოვრება ესეც იყო: გეში, დევნა და ფიქრი, ხოლო როცა გარემოება მოითხოვდა – მალვაც.

ამის არსწავლა არ იქნებოდა, იმიტომ, რომ ქვეყანა იყო ასეთი, ვინ იცის, რამდენ ას წელიწადს სულ ომში გაბმული.

რაც ისწავლა ბადუნა ფავნელმა, თავადვე ისწავლა. სოფელში კაცების მოსმენითა და დაკვირვებით და კარგადაც ისწავლა. ნადირობა არ უყვარდა: ძველებური ნადირობანი აღარც არსებობდა, სოფლის ჭალებზე იხვების გადმოფრენის ლოდინი, ანდა ყანებში მწყერზე ან კურდღელზე წასვლა კი დიდად არც მოსწონდა. ერჩივნა სხვები გაეგზავნა.

უმცროსი ძმა თადია ერთადერთი იყო, ვიზეც ნადირობდა ხოლმე და ყოველთვის გამოსდიოდა, პატარაობიდანვე.

თადიას დევნა იოლი იყო, ეგებ უფრო იოლიც, ვიდრე ტყეში ნადირის ან ირმის გამორეკვა. თადიას ერთი გზა ჰქონდა, ოღონდ კი, უნდა გეფიქრა მის გზაზე, მის შეცდომებსა თუ სისწორეებზე. თუ ეს ფიქრი იცოდი, მის წამოწევას აღარაფერი უნდოდა. თადიას არასდროს უნადირია, მაგრამ ესეც ცხადი იყო: გემისა და სვლისა მანაც ბევრი რამ იცოდა. მიდიოდა ყოველთვის იმ სიზუსტით დასავლეთისკენ, რა სიზუსტეც კი შეუძლია ადამიანს, რომელსაც არაფერი გაეგება არც რუკებისა, არც კომპასებისა, არც ვარსკვლავების განლაგებისა. იცის მხოლოდ ის, თუ საიდან საით მიიზღაზნება მზე მის თავზე.

ბადუნა ფავნელმა თადიას ხერხები იცოდა. ძნელი სათქმელი იყო, თადია მხოლოდ დედის საძებრად გარბოდა ხოლმე, თუ თანდათან ძმასთან შეჯიბრის ეშხშიაც შევიდა. ბადუნა ფავნელს ბევრი ეფიქრა ამაზე, მაგრამ საბოლოოდ, მაინც არ ჩაუთვლია, რომ მთავარი თადიას ფიქრები იყო. მთავარი თადიას პოვნა გახლდათ.

სადმე არ ჩაჩეხილიყო, ვინმეს არ გაეტანჯა, გზა არ დაბნეოდა და ტყეებში დაკარგული სიკვდილს არ შეჰყროდა.

ბადუნა ფავნელმა სვლა-გეზი სწორად გამოთვალა და ფიქრობდა, რომ სწორად მიდიოდა. ასეც იყო, ოღონდ, დაკარგული დრო უნდა ამოეხაპა საიდანღაც.

თადია ფეხით მიდიოდა, ის კი ცხენით. თადია ჩაიმუხლებდა, ან წაიძინებდა, ან კიდევ შეეკონდებოდა. ის კი ამ სხვაობის მოსაგებად არც ჩაიმუხლებდა და არც წაუძინებდა, სანამ არ მიხვდებოდა, რომ უკვე ახლოში უტრიალებდა ძმას.

ძველად ისე არასდროს ყოფილა, რომ ბადუნას დღე წაეგო. ყველაზე მეტი – ნახევარი დღე. სოფელში საერთოდ იოლად პოულობდნენ ხოლმე, ბიჭობაში იმდენი არც გონება ჰქონდა და არც გამოცდილება.

ბადუნა ფავნელი გრძნობდა, რომ ამჯერად მისი ძმა განსაკუთრებულად მიდიოდა. მაგრამ სვლა თვითონაც სწორი და განსაკუთრებული ჰქონდა. თადია ფავნელი დედას ეძებდა, ბადუნა ფავნელი – ძმას.

25.

ძველად ისე იყო, როგორც ყველგან: საცოლის პოვნას დრო სჭირდებოდა. შეყვარებები, გულის მონადირეები და ამას მოყოლილი გვირგვინის ფსკვნანი ძნელად, იშვიათად და საჩვენებლად, დიდხანს აღტაცებით სალაპარაკოდ იყო.

დანარჩენი გარიგებებით, უჩუმარი შეთვლიერებებით და დიდი მოლაპარაკებებით ხდებოდა. თვით გლეხთა შორისაც კი. გლეხს გლეხი სარძლო უნდა ეძებნა, აზნაურს აზნაური, თავადს თავადი. გლეხებში გამიჯნურება ასჯერ ხშირი იყო, ვიდრე იმათში. გლეხები ბევრნი იყვნენ და ახლო-ახლო ცხოვრობდნენ: იოლი იყო.

აზნაური სოფლად ერთი, ჰა, ორი იყო, სად გამიჯნურდებოდა? მიჯნურობა აზნაურებში უფრო გადაყრით გამოდიოდა. მოხვდებოდა სადმე ჭაბუკი აზნაური და დაადგამდა თვალს რომელიმე ქალწულ აზნაურის ქალს. იმასაც ალბათ გულში ჩაუვარდებოდა და საუცხოოც ეს იქნებოდა, თუ მშობლები მოილაპარაკებდნენ, მზითევსა და სხვა ამბავზე შეთანხმდებოდნენ, გაარიგებდნენ საქმეს და ქორწილსაც გადაიხდიდნენ. მაგრამ ასე შემთხვევით შეთვლიერება უფრო იშვიათი იყო. იყო ხოლმე გაუმჯღავნებელი წასვლა შესათვლიერებლად და მთელს ამ ამბავში შუა იდგა საგანგებო ხელობის კაცი, მაჭანკალი, რომელიც აგვარებდა ამ საქმეს და ქორწინებაში ჩატრიალებული ფულიდან თავის წილს იღებდა.

სიყვარული, გადარევა, წადილი და ასეთი რამეები ქორწინებას ძნელად მოახერხებდა. მაჭანკალი დადიოდა იმ ძველ გზებზე, დაჰქონდა ამბები, წინადადებები, შეთანხმების პირობები, სთავაზობდა და განიხილავდა, აწყობდა შეხვედრებს მშობელთა შორის და ქალ-ვაჟის იდუმალ გადანახულებას, რათა ქორწილამდე ერთმანეთი შეეთვლიერებინათ.

ასეთი ცხოვრება იყო, ამბავი უნდა მოეტანათ.

ეგებ ახალგაზრდა აზნაურს სულ სხვა, შემთხვევით ნანახი ქალი ჩავარდნოდა გულს, მაგრამ მასზე დაქორწინება ვერასგზით შეძლებდა: მამა სულ სხვა ქალს ურჩევდა

გარიგების პირობათა გამო, მისი სასურველი კი თურმე ადრევე ყოფილიყო დანიშნული: ცხოვრება სხვას კარნახობდა და მიჰქონდა კიდეც ეს სხვა მასთან. ასევე ქალსაც, ეგებ გამოუთქმელად, უმძაფრესი სიყვარულით სულ სხვა აზნაური მოსწონებოდა და იმასაც გულში ჩავარდნოდა, ეგებ ხვდებოდნენ კიდეც ერთმანეთს უწყინარ საიდუმლო შეხვედრებზე, მაგრამ ოჯახი და ცხოვრების პირობა სულს სხვას გადაუწყვეტდა. იდუმალი მიჯნური რომც გამოჩენილიყო, ძალიან იშვიათად მოხდებოდა, რომ ოჯახს თავის არჩეულზე წინ დაეყენებინა. რომც არ ყოფილიყო ჯერ ვინმე არჩეული, მაინც უფრო დაიწუნებდნენ: მისი ქონებისას გამოიკითხავდნენ და იმასაც დაამატებდნენ, ახალგაზრდა კაცი რომ ასე მალულად გაუმიჯნურდება ქალს, კაცს რომ არ მოგზავნის და ქალის ოჯახს არ ამცნობს, თქვენი შვილი ცოლად მწადიაო, იმ კაცისგან რას უნდა მოელოდე კარგსო. მერე სხვას მოსძებნის, სხვაგან ირბენს და ასეო.

აზნაურებს ქალთან ნამყოფობა არ უჭირდათ და არც უკვირდათ: გლეხის ქალებზე იყვნენ გაწაფულნი სალოგინე საქმეში. ასეთი რამეები მოხდებოდა ხოლმე, მაგრამ ოჯახი კი სხვა იყო.

იყო კიდეც ასეთი რამე, რასაც ცოლის წაგვრას დაუძახებდნენ ხოლმე. ისე გადარეულად შეუყვარდებოდა ვიღაცას სხვისი ცოლი, ჰა, თუ თავადი ყოფილიყო, ჰა თუ აზნაური, რომ დაეცემოდა და მოიტაცებდა და წაიყვანდა შორს, შორს, დასავლეთში, დასავლეთიდან კი აღმოსავლეთში, იტყოდნენ ცოლი წაგვარაო.

ამგვარი რამ დიდ სირცხვილად ითვლებოდა, ასევე დანაშაულადაც. კაცი თავს ვერ მოერეოდა, გაიტაცებდა სხვის ცოლს და შეინახავდა თავს მასთან ერთად სადღაც-სადღაც, სანამ მოლაპარაკებებს არ წამოიწყებდა მისი ქმრის ოჯახთან და ეკლესიასთან, რომელიც სასტიკად ამტყუნებდა ხოლმე. ზოგჯერ მეფემდეც კი მიდიოდა ასეთი საქმე, კაცის გვარს და შეძლებას გააჩნდა.

ქალები კი დუმდნენ ხოლმე. ძირითადად დუმდნენ. ეს დუმილი რას ნიშნავდა, არავინ იცის: თანხმობას, უარყოფას თუ მორჩილებას, ანდა დაუმორჩილებლობას.

დუმილი ქორწინებებშიც იყო: რაღაცნაირი, ფრთხილი, მომლოდინე დუმილი, რომელიც მოთმენასაც შეიცავდა. მოთმენას და მიჩვევას. მიჩვევას და გამძლებას. გამძლებას და მერე კი იმას, რასაც ცხოვრება ჰქვია ხოლმე.

26.

კაპიტანი აშკოვსკი ძველი გვარის, ოცდაათი წლის კაცი იყო. წოწორია სკვამს მისი გვარი არასდროს წარმოუთქვამს, ფიქრშიაც კი. მის გონებაში კაპიტანს `ის მაღალი~ ერქვა.

კაპიტანს თეთრი, მომტვრიანებული სავარჯიშო სამოსი ეცვა, გაოფლილიც იყო.

სავარჯიშო ორთაბრძოლა სანამ არ გაათავა, სავარჯიშოს კარებში გაჩერებული წოწორია სკვამისკენ მგონი არც გამოუხედავს.

მერე ჩქარა წამოვიდა მისკენ, გახშირებული სუნთქვით და ღიმილით.

– აბა, ჩვენო მეგობარო, როგორა ხართ?

წოწორია სკვამმა სრულიად სხვარიგი ღიმილი შეაგება და თავი დაუკრა. კაპიტანმა მხარზე მოუთათუნა ხელი, თითქოს გაამხნევაო, მაგრამ ხელი აღარ შეუშვია, ასე ხელმოხვეული გამოიყვანა გარეთ.

– ერთი თხოვნა გვაქვს, ჩემო მეგობარო, – თქვა ნელა და სიტყვების იმგვარი შერჩევით, რომ აზნაურს ყველაფერი გაეგო, – ვიცით, რომ აქ ყველანი პატივს გცემენ. ჩვენგანაც სრული პატივისცემაა თქვენდამი. თქვენ ყველაფერი იცით აქაურობის და ადამიანები გენდობიან. ხელქვეითები გყავთ, – კაპიტანი აშკოვსკი ყოვნდებოდა და თვალეში უყურებდა წოწორია სკვამს, თუ ესმის, რასაც ვეუბნებიო.

წოწორია დინჯად უქნევდა თავს, სიტყვებსაც უკვირდებოდა.

– კარგი ხალხი ხართ, – უთხრა თავისი რუსულით, – ამიტომ ვმუშაობ თქვენთან.

– ჩვენც ამიტომ ვმუშაობთ თქვენთან, – თავი დაუქნია აშკოვსკიმ, – შენ ჩვენიც ბევრი რამ იცი. ბევრმა არ იცის, როგორია ყაზარმები. რამდენი ჯარისკაცია... ვინ დაელაპარაკება პოლკოვნიკს ამ სოფლიდან? მხოლოდ თქვენ... ამიტომ ჩვენც გვაქვს რაღაც თხოვნა. პატარა და სულ უბრალო.

წოწორია თავს უქნევდა, როდისღა ამოთქვამს ამ თავის თხოვნასო.

– ჩვენ ყველანაირად შეგიწყობთ ხელს, თქვენ კი, თავადო, – ეს ნამეტანი მოუვიდა კაპიტანს, მაგრამ იფიქრა, ამით ამ კაცს უფრო მოვიჩემიანებო – ვითარება ასეთია, თავადო, რომ ურჯულოს ვეომებით, რაც თქვენც იცით. ჩვენი საერთო მტერია, ასე არ არის? საქმე ისეა, რომ ეგებ ფრონტის ხაზმა აქეთაც გადმოიწიოს და მაშინ ასე თავისუფლად კი ვეღარ ვივლით... ჩვენ ჩვენი საგუშაგოები გვაქვს, მაგრამ მოხალისეთა რაზმეულის შექმნაც დაგვჭირდება. უფროსობამ იფიქრა, რომ თქვენ გთხოვოთ ამ რაზმეულის მეთაურობა. სამოხალისო საქმეა, მაგრამ ხელფასიანი...

წოწორია სკვამმა ყველაფერი გაიგო. რაც მას ეხებოდა, უცებ იგებდა ხოლმე რაღაც მანქანებით.

თითქოს თქმა დააპირა, მაგრამ კაპიტანმა აღარ აცალა: – მაგრამ მანამდე, ჩემო მეგობარო, ეს რაზმეული უხილავად უნდა შეიქმნას. აქეთ საზღვარზე ვითარება ისეთია, რომ ძალიან გვჭირდება დახმარება. თქვენ აქაური ხართ, უცხო ადვილად ამჩნევთ. ვთქვათ, გამოჩნდა ვინმე, ან ჩამოხდა სოფელში. უცხო კაცი, გაურკვეველი. ის ნამდვილად ოსმალების ჯაშუში იქნება... ხომ გესმით? მას კარგი არაფერი ენდომება... ჩვენ გვინდა გთხოვოთ, რომ თქვენ ამ საქმესაც უთავოთ. გაენდოთ სანდო და საჭირო ხალხს, რათა შეგვატყობინონ. ხვალიდან საგუშაგო სოფელშიც იქნება, ჩვენს ქუჩაზე. იქ ყოველთვის ორი ჯარისკაცი იდგება მარქაფი ცხენით. აქეთ რომ არ გამოიჩქაროთ შეტყობინებით, შეგიძლიათ იმათ ამცნოთ... ასეთი დახმარება უკვალოდ არ ჩაივლის. ჩვენც დაგეხმარებით. მადლობა ისეთი იქნება როგორიც რუსეთის არმიას შეეფერება... მიმიხვდით, თავადო? უცხო კაცი...

წოწორია სკვამმა თავი დაუქნია, ყველაფერს მიგიხვდით, ნელ-ნელა გამოეხსნა კაპიტან აშკოვსკის მოხვეულ ხელს და უთხრა: – თათრებს ყოველთვის ვებრძოდით ჩვენ... ყველაფერს გავაკეთებ...

– აი, ნამდვილი კეთილშობილი პასუხი, – შესცინა აშკოვსკიმ, – თქვენზე ბევრი მსმენია ჩვენი ინტენდანტებისგან და ყოველი სიტყვა ორგზის მართალი გამოდგა...

– ჩემო კარგო, განსაკუთრებით ახალგაზრდა კაცს, ან რამდენიმე ახალგაზრდა კაცს უნდა მივაქციოთ ყურადღება... შეიძლება გადაცმულებიც კი იყვნენ, ვაჭრებად, ან მლოცველებად, ანდა უბრალოდ მაწანწალებად. ჯამუშის საქმე ასეთია...

წოწორია სკვამმა თავი დაუქნია.

– მაშ თქვენი იმედი გვაქვს ამ საქმეში... თქვენი იმედიც, – თავი დაუკრა ოფიცერმა და ხელი გაუწოდა. აზნაურმაც ჩამოართვა, – ამ ორ-სამ დღეში მომინახულეთ... დავსხდეთ, ვისაუბროთ..

– ორ დღეში ურმები მოვა, – თქვა წოწორია სკვამმა.

– სწორედ კარგი დროა, – იყო პასუხი.

27.

გამთენიისას ბადუნამ იცოდა, რომ მისმა ძმამ წინა დილით ჩაიარა სოფელ ბოდინეთის სახნავებთან.

სხვა ვინ იქნებოდა.

გლეხებმა თქვეს, რომ სახნავებს შუა ჩამოიარა კარგად ჩაცმულმა ტანთხელმა აზნაურმა, რომელსაც მათ წესისამებრ სალამი უთხრეს, მან კი მხოლოდ შემოხედა და გაზომილი ნაბიჯით გააგრძელა გზა. აზნაური უხანჯლოდ იყო, ეხურა შავი ბატონის ახალი ყალმუხის ქუდი და ეცვა ნაქარგი ნაცრისფერი ქულაჯა. ის დიდხანს მიდიოდა სახნავებში, რამაც გლეხები გააკვირვა, ვინაიდან კაცი ამ მხარის არ იყო და თანაც კარგად ჩაცმული, რომ ფეხით მოდიოდა, საკვირველი იყო. გლეხებს ისიც კი უფიქრიათ, ყაჩაღები ხომ არ დაუხვდნენ და ხომ არ გაძარცვეს: ცხენი და თოფ-იარაღი აართვესო. თუმცა, ესეც არ იყო ჭკვიანი ფიქრი: რომელი თავმომწონე და რაიმეს შემძლე ჭაბუკი აზნაური დაანებებს რამეს თუნდაც ათ ყაჩაღს? მაგრამ რახან მან სალამზე პასუხი არ თქვა და თავისი გზით, ძალიან ჩაფიქრებული მიდიოდა, გლეხებმა სწორედ ასე იფიქრეს, ყაჩაღებთან შეტაკებაში წამხდარა და ამიტომ გულჯავრიანი მოაბიჯებდნენ, ვინაიდან იცოდნენ, რომ გადაღმა, გზის პირზე უყვარდა ხოლმე ჩამოჯდომა ერთ ცნობილ ყაჩაღს, ბატონისგან გაქცეულ გლეხს, გოგია ნუკრამეს, რომლის სახელიც მაშინ შორს იყო გავარდნილი.

გლეხებმა მდუმარე ჭაბუკის აგებულება და აზნაურული ღირსება კი დააფასეს, მაგრამ ისიც იფიქრეს, გოგია მაინც აჯობებდაო და ჩაკითხვას ხომ ვერ გაუბედავდნენ. მხოლოდ ეს გაუკვირდათ, რომ რაღაცნაირად, მაინც უცნაურად მიდიოდა, ტყისკენ ეჭირა გეზი. ტყე რად უნდოდა? იქეთ კაი გზა მიდიოდა, ხალხიც მრავლად იყო იმ გზაზე.

სწორედ თადია იყო, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო.

მას იარაღი არასდროს ჰქონია, არ მიაჩვიეს ბიჭობიდან, იმ ამბის მერე, როცა ხანჯალს დასტაცა ხელი და დედის მომტაცებლებს გამოედევნა.

სწორედ რომ თადია იყო. ეს კი აფიქრებინებდა ბადუნა ფავნელს, რომ საღამოს ეგებ დასწეოდა კიდეც ძმას, თუ გზაში რაიმე შეცდომა არ მოუხდებოდა. ბადუნამ კარგად იცოდა აქაური ადგილები, სუმბათაშვილების მიწები. ამიტომ გლეხებთან ჩამოხდომას და დასვენებას გზის გაგრძელება არჩია. სასიხარულო ის იყო, რომ ძმას უცებ მოუგო დღე. საქმეს ისიც შველოდა, რომ თადია ამჯერად თფილისიდან გაქცეულიყო და ეტყობოდა, მაინც გასჭირვებოდა უჩვევ ადგილებში გავლა. ალბათ ბევრს ფიქრობდა ან ნელა მიდიოდა. ასე რომ, ბადუნა ფავნელს იმედი უძლიერდებოდა: ძმა მთებში არ გაიბლანდებოდა და ტყე-ტყე სიარულში არ ჩაიკარგებოდა სადმე: მანამდე დაიჭერდა. და მან ცხენდაცხენ დალია წყალი გლეხებისგან მიწოდებული ხელადიდან და გზა განაგრძო.

გლეხები მისმა გამოჩენამ არანაკლებ გააკვირვა, ვიდრე წინა დღით მდუმარე აზნაურის ჩავლამ. მერე კარგა ხანს ილაპარაკეს ამის თაობაზე, ისიც კი იფიქრეს, რამე ავი საქმისთვის ხო არ დაეძებდა ეს იმასო, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრეს.

ბადუნა ფავნელმა კი იცოდა, რომ ცხენის დასვენება მოუწევდა ადრე თუ გვიან და სადმე უნდა ამოესუნთქა. ოღონდაც, წინამდებარე სურათი რომ მოიზომა, მიხვდა, რომ თუკი დასვენება უნდა, ნასამხრევს უნდა დაისვენოს, ისე, რომ სულ ცოტათი გადაუხვიოს უგზო გზას და გავიდეს რუსების გზაზე, რაც არაფერში სჭირდება. მაგრამ ცხენის გამო აუცილებლად უნდა გაჩერდეს ფეთიანთ ტრახტირთან, სადაც მანამდეც არაერთხელ მოხვედრილა სულ სხვა საქმეთა გამო. ბადუნა ფავნელმა ისიც კი გაიფიქრა, რომ ტრახტირში შევლა საქმისთვისაც გამოადგებოდა: იქ ბევრი გამვლელ-გამომვლელია და ეგებ ვინმეს თადია დანახულიც კი ჰყავდესო, რაც კიდეც უფრო გამიადვილებს მის წამოწევასო და განაგრძო გზა კარგ ამინდში, ტყისპირიდან ახლოს, ვინაიდან ტყე იქეთ იყო, სადაც ჩადის მზე.

28.

პოლკოვნიკმა ზუსტად იცოდა, რომ ბადუნა ფავნელი სოფლად აღარ დაუხვდებოდა მის რაზმს, მაგრამ ყოველივე დარწმუნებას და დაჯერებას მოითხოვდა.

შეღამებულზე შეიტყო, რომ მთელ სოფელს მოსა-ლოდნელი მოხერხებულობით ეწვალეზინა რაზმეული. მოურავის უფროსობით ეტარებინათ ადგილიდან ადგილზე და ყველა ეუბნებოდა, ფეხად გაგასწროთ, ამ წუთას აქ იყო და ვინ იცის, ეგებ შინაც დაბრუნდაო. მოურავი უხსნიდა მათ, რომ სოფელს მონატრებულმა ბადუნა ფავნელმა ყველა ნაცნობი ადგილი, მამული და გლეხის სახლი უნდა დაიაროს, ასეთია წესი, რახანლა თავისი მიწებისა და ქონების მდგომარეობა უნდა გადაამოწმოსო. ოფიცერი თანდათან ხვდებოდა ძებნის სრულ უაზრობას, მერე კი ცხენს მათრახი გადაჰკრა და თფილისისკენ გამოაჭენა, რადგან მიხვდა, რომ დილიდან აცუცურაკებდნენ. სხვა ვითარება ყოფილიყო, მათრახს იმ ვირეშმაკა მოხუცსაც გადაუჭერდა, მაგრამ ოფიცერმა იცოდა, რომ ეს მოხუცი იმ ახალგაზრდა აზნაურის ხელქვეითი იყო, რომელმაც სამიოდ თვის წინათ პორუჩიკი გეხტი მოკლა და გადაწყვიტა, რომ ფავნელი იმაზე მეტად სახიფათო ადამიანია, ვიდრე ბევრს წარმოუდგენიაო. საბუთად მისი გაუჩინარებაც კმაროდა.

აღღებებულმა, მაგრამ ამ ამბისთვის მანც მზად მყოფმა პოლკოვნიკმა სანთლები ახლოს მოიწია და რაპორტი შეადგინა გენერალ-გუბერნატორის სახელზე, ფავნელი გაიქცა და თქვენს სასწრაფო განკარგულებას ველოდებიო.

აღარ დაახანა და თუმცა, უკვე ღამე იყო და ეგებ გენერალ გუბერნატორის სამდივნოში არც ვინმე ყოფილიყო, შიკრიკს დაავალა, რომ ასეთ შემთხვევაში რეზიდენციაში მიეტანა წერილი. პოლკოვნიკმა იცოდა, რომ გენერალ-გუბერნატორი დილაამდე არც კი ჩახედავდა ამ წერილს და უკეთეს შემთხვევაში ბრძანება ნაშუადღევს მოუვიდოდა, მაგრამ თვითონ ყველაფრის წესისამებრ ასრულებას აპირებდა და ამიტომაც ამცნო გენერალ-გუბერნატორს ასე საჩქაროდ ახალგაზრდა ფავნელის გაუჩინარების ამბავი, თორემ რაც უნდა გაეკეთებინა, ის ისედაც მოფიქრებული ჰქონდა და ამაღამვე წამოიწყებდა.

მორიგე შიკრიკად იყო ახალგაზრდა კორნეტი ავალოვი, იგივე ავალიშვილი. პოლკოვნიკმა ეს ადრიდანვე იცოდა, რადგან მორიგეობის სიას ჩახედა. ამიტომ, სანამ ავალოვი გენერალ-გუბერნატორისას გაგზავნა, კაპიტანს უხმო და სთხოვა, ვინმე მისთვის უფრო სანდო ახალგაზრდა გამოეძახა, თუნდაც ის ქალაქში ყოფილიყო და თუნდაც მძინარი, ან მთვრალი. იმავდროულად პოლკოვნიკმა წერილი დაწერა პოლკოვნიკ პასეს სახელზე, სადაც გაათმაგებულ სიფრთხილეს სთხოვდა მისიანების მოვლაში, ვინაიდან ის ადამიანი, ვინც მისი ქალიშვილის გამო მკვლელობა მოახდინა, ხელიდან დაძვრენოდა.

პოლკოვნიკმა პასემ იმთავითვე იცოდა ყველაფერი და ამიტომ პოლკოვნიკ ენკელის წერილი გრძელი არ იყო, სთხოვდა მხოლოდ ვითარების შეტყობინებას. კაპიტანმა მოიყვანა ოდნავ მღელვარე კორნეტი ერდელოვსკი, რომელსაც პოლკოვნიკმა პირისპირ აუხსნა ბრძანების არსი და ბრძანებასთან ერთად სთხოვა, ისე ეჭყენებინა, როგორც არასდროს: მხოლოდ საგუშაგოებზე შეჩერებულიყო და იქ გადაამჯდარიყო ახალ ცხენზე, რათა წერილი რაც შეიძლებოდა სწრაფად მისულიყო პოლკოვნიკ პასეს პოლკში. ამასთან, ერდელოვსკის დაევალა, ყოველ საგუშაგოზე დაეგდო ცნობა, რომ გაქცეულია საშიში დამნაშავე ფავნელი, ახოვანი და ახალგაზრდა, ქართულად ჩაცმული.

რა თქმა უნდა, ფავნელის დევნას და საგუშაგოთაგან ნამდვილ ყურადღებას უფრო მაღლიდან წამოსული ბრძანება უნდოდა, მაგრამ პოლკოვნიკმა ენკელმა იცოდა, რომ ამ ბრძანებასაც მოიპოვებდა, მანამდე კი დროის დაკარგვა არ უნდოდა.

შიკრიკს კი დაუყოვნებლივ გამგზავრება უბრძანა, რაც ნამდვილად სამნელო საქმე იყო, მაგრამ ვითარცა შვილს, ისე მიმართა და შეაგულიანა, პირჯვარიც კი გადასახა.

შემდეგ პოლკოვნიკმა ისევ კაპიტანი გამოიძახა და მას კაზაკთა ათეულის შედგენა უბრძანა, რათა სისხამიდანვე ეძებნათ ახალგაზრდა ფავნელი. ამ ათეულის მეთაურობა თვით კაპიტან მიროვს დაავალა, რომლისთვისაც ამაღამვე უნდა ეცნობებინათ ეს ამბავი და პოლკოვნიკთანაც მოეყვანათ. ხოლო მის თანაშემწედ პოლკოვნიკმა პორუჩიკი მანველოვი გაამწესა, რომელსაც თუმც არ ენდობოდა, მაგრამ ქართულის სალაპარაკოდ სჭირდებოდა. მანველოვისთვისაც ეს საუკეთესო გამოცდა იქნებოდა, რადგან შეეძლო ერთგულება დაემტკიცებინა.

ამ საქმეებს რომ მორჩა, პოლკოვნიკმა ენკელმა სახატე სანთლები ანთო და ლოცვას მოჰყვა. თან იმას ფიქრობდა, რომ მიროვისთვის, სამი კაცი კიდევ უნდა გაეყოლებინა, რათა ხსენებულ კაპიტანს ყოველდღიურად ეგზავნა ანგარიშები მისთვის, ხოლო თუ ძებნა გაეწელებოდა, კაზაკებისთვის მოეკლო ხალხი და ისე ეცნობებინა ყველაფერი.

თფილისი ისეთი ქალაქი იყო, რომ ვერაფერი დაიმალებოდა დიდხანს ან დიდად, ხოლო თუ რამის შეტყობა გინდოდა, სულ თავისუფლად შეიტყობდი. პოლკოვნიკმა უკვე კარგად იცოდა თადია ფავნელის ამბავი, ყველაფერი გამოეკითხა მისგან ბადუნასთვის ადევნებულ ხალხს. ეს ორი დღე სრულიად საკმარისი იყო ამის გასაგებად. ფავნელების თავგადასავალმა შეაცბუნა, მაგრამ თავისი გასაჭირი კიდევ უფრო ავად მოეჩვენა. ისევ ქალი, ისევ მოტაცება, ისევ რაღაც გაუგებარი, ადამიანებისთვის არცთუ ჩვეული ამბები.

პოლკოვნიკმა ლოცვა განაგრძო.

29.

აზიზ-ბეის მტრედები ყოველთვის ჰყავდა: ძველ დროშიც, როცა ტყვეთა სყიდვის ხელობას მისდევდა და ახლაც, როცა ისინი დიდად არ სჭირდებოდა.

მის ხელობაში უმტრედოდ რა გამოვიდოდა. ერთი დრო იყო, აზიზ-ბეის მემტრედე ბიჭი, გულიმაც ჰყავდა, ძალიან ძველ დროს. გულიმა ახლა უკვე კაცი იქნებოდა, ეს ამბავი კი ბარე ოცდახუთი წლის წინათაც თუ იყო, როცა აზიზ-ბეი ერთმა ტრაპიზონელმა დაარწმუნა, ისეთ ხელობას მისდევ, შინ მომბრუნებელი მტრედები აუცილებლად გჭირდებაო.

საქმე მართლაც ნამდვილი და შემოსავლიანი იყო და ერთი პატარა სამტრედე არაფრად უღირდა, ოღონდ მაშინვე ეს იყო, რომ მტრედების ამბავში საერთოდ ვერ ერკვეოდა. სწორედ ფრინველების ბაზარზე მისულმა იპოვნა გულიმა, რომელმაც არ დაიზარა და დაჰპირდა, მცირე ფასად იმდენ კარგ მტრედს გაგიზრდი, რამდენიც მოგიინდებაო.

თავიდან ორით დაიწყეს, მაგრამ აზიზ-ბეიმ დაატყო, რომ ზაფხულობით ორი არ ეყოფოდა და ექვსი მტრედი იყოლია. გულიმა კარგად იჩვევდა მტრედებს, თუმცა, ეს ხელობა აზიზ-ბეიმაც მალე ისწავლა. სასწავლი არც არაფერი იყო: მტრედს სამტრედე უნდა სცოდნოდა და იქ დაბრუნდებოდა, იქ კი გულიმა იჯდა და საჭირო კაცს შეატყობინებდა, მტრედი მოვიდაო. ხოლო მტრედის მოსვლა რასაც ნიშნავდა, იმ ძველ დროში აზიზ-ბეის კაცებმა იცოდნენ: მოვიდა თეთრი მტრედი – ამას, მოვიდა ღვინისფერი – იმას, მოვიდა ღრუბლისფერი – სხვას და მოვიდა შავი – კიდევ ალბათ უარესს. მტრედებით გამოვსებული გალია აზიზ-ბეის თან დაჰქონდა ხოლმე, როცა გზებს გადადიოდა და ტყვეთა სყიდვის მოლაპარაკებაზე დადიოდა. ძალიანაც მოსწონდა ეს ამბავი, მტრედისთვის წერილი არასდროს შეუბამს ფეხზე. ანდა რა წერილი? აზიზ-ბეიმ წერა ძლივს იცოდა, არც წერდა რამეს და რა კაცის მსყიდველის საქმეა წერა, თან ისე წვრილად, რომ მტრედის კლანჭს შემოეტიოს. მტრედის ფეხისთვის ძაფები არსებობს, ფერად-ფერადი ძაფები: ამბავს გააჩნია და ძაფის ფერს. ასევე იმას, რომელ ფეხზე აქვს მობმული რა ფერის ძაფი როგორი ფერის მტრედს, ანდა ორივე ფეხზე თუ აქვს მობმული, რა ფერის ძაფები. სამტრედე ძაფების ენაც კარგად

იცოდა აზიზ-ბეიმ და თავის კაცებსაც კობტად ასწავლა რამდენიმე ფერი, ამიტომ მტრედს კარგად იცნობდა.

ძნელად მოიძებნებოდა მტრედზე უჭკუო ვინმე დედამიწის ზურგზე, მაგრამ ამბავი კი ზუსტად მიჰქონდა: შეიფრთხილებდა და ვინ უნდა გააჩეროს?

მერამო. ეს ხიფათი იყო, მერა და ქორი შეებდღვნება ჰაერში და გაწიწკნის ხოლმეო, თუმცა, ასე ყოველ შიკრიკს ვიღაც ელოდება გზაში: ის, ვისიც არაფერი იცის. და ყოველ ადამიანს კი არ ელოდება რაიმე ისეთი, რასაც არ მოელის? გზაც ამას ნიშნავს.

ძველი გზების ბევრი იცოდა აზიზ-ბეიმ, ყველაფერი ზუსტად ახსოვდა, მაგრამ არსებობდა კი უკვე ის ძველი გზები? ეგებ გადაევილო ზემოდან ბუჩქსა და ბარდებს და ანდა სულაც ჩუმი საფარნი და საგუშაგონი გაჩენილიყო ამ ომიანობის დროს? ამიტომაც, აზიზ-ბეიმ ზღვა ამჯობინა, ასე მოცურდა აჩიკ-ბაშის სანახავად, ზღვისაც იცოდა. რამდენი რამე იცოდა აზიზ-ბეიმ და სულ უვარგისად დარჩენილი ამ სხვა დროებაში.

ხოლო მტრედი, რომელიც აჩიკ-ბაშს დაუტოვა, იყო ღრუბლისფერი, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ საქმე გაკეთებულია. არც ძაფები მიუცია, არც რამე, ისედაც იცოდა, მტრედი თუ მოვიდოდა, უნდა დაძრულიყო. ისევ ზღვით. ოღონდ, თუ არ მოვიდოდა, ნიშნავდა, რომ აზიზ-ბეის რაღაც სხვა უნდა ეცადა, ვინაიდან მედროშედაც კი აღარავინ გაიხსენებდა.

აზიზ-ბეი ზღვიდან არც მთლად შორს, მეჩეთის გვერდით ცხოვრობდა. ნაშუადღევადან ხშირად იჯდა ხოლმე მეჩეთის ეზოს გალავანთან, იქ სადაც ხნოვანი, უსაქმური ხალხი იკრიბებოდა. იქ იჯდა ხოლმე კედელთან, ნელ და მთვლემარე მუსაიფში ჩაბმული. დრო ისე გადიოდა, თითქოს ნავი ირწევა წყნარ ზღვაზე. დრო არ გადიოდა და ერთ ნაშუადღევს აზიზ-ბეიმ მტრედი დაინახა. მტრედი მინარეთის კენწეროზე იჯდა.

აზიზ-ბეიმ მთელი თავისი თვალები მოძებნა და სხვათათვის შეუმჩნევლად მიაბჯინა მტრედს. ის იყო ღრუბლისფერი. თუ ის არ იყო? მზე ხელს უშლიდა აზიზ-ბეის. იქავე, გვერდით იყო მისი სახლი და ძველი სამტრედე, სადაც ახლა ორი სხვა მტრედილა დარჩენილიყო.

აზიზ-ბეის თვალი უნდა მიედევნებინა, საით გაფრინდებოდა მტრედი. თუ მისი ეზოსკენ, მაშინ აჩიკ-ბაშის გამოგზავნილი იქნებოდა და აქ ჯდომის დრო აღარ იყო.

ეგებ დაღლილი იყო და მინარეთზე იმიტომაც ჩამოჯდა? ანდა სულის მოსათქმელად. ეგებ ყველაზე მაღალი ადგილიდან უნდა მოათვალიეროს მიდამო?

აზიზ-ბეი მტრედს უყურებდა ნამალავად.

30.

იქნებოდა სადილობის დრო, როცა ახალგაზრდა ფავნელი მისგანვე გამოთვლილ სავალ გზას გადმოსცდა და გადმოუხვია ნამდვილი გზისკენ, სადაც დიდი ხანია იდგა ფეთიას ტრახტირი.

ეს ადგილი ხომ ნაცნობი იყო ბადუნა ფავნელისთვის და გზაზე გადმოსულმა ერთხელაც სთხოვა დაქანცულ ცხენს, მალე მისულიყო იქ. ცხენმა გაუგონა და ფეთიას ტრახტირიც გამოჩნდა. მის წინ ება ერთადერთი ჯორი, რამაც მიახვედრა ფავნელი, რომ უხიფათოდ ჩაიმუხლებდა იქ და ცხენსაც დაასვენებდა.

ფეთიას ტრახტირში იყო მხოლოდ ფეთია, მომხმარე ბიჭი და იმ ჯორის პატრონი ერთი მეწვრილმანე სომეხი, რომელსაც თავისი ბოხჩები შიგნით შემოეტანა და მაგიდასთან დამჯდარს გვერდით მოეწყო, ისე რომ, სანამ ჩანახში პურს ალბობდა, მალიმალ გადახედავდა ხოლმე, ვინმემ არ გააცოცოსო. თავად ფეთია ხალისით გამოეგება ფავნელს, 'აქეთ კნიაზოს~ ძახილით გაუძღვა ბუხრისპირა ტაბლასთან, სომეხი კი წამოდგა და მაჯით პირის წმენდით უთხრა სალამი. ფეთია დატრიალდა: ხელადა ჩამოუდგა, ბიჭი კი ცხენთან გააგდო, მიხედეო. თვითონ გამოარბენინა პური და მოხარშული ხორცი, ჯამით მწვანილი და დაფით ყველი, ჩანახიც იქნებო, დაურთო და თავადვე ჩამოუსხა ღვინო.

ფეთია ცნობილი კაცი იყო ამ ადგილებში, ადრე თფილისშიც ჰქონოდა დუქანი, ოღონდ რატომღაც გამორიდებოდა იქაურობას და რატომ, მისი საზრიანი თვალები არ იტყოდნენ. ფეთიას ჰქონდა გრძელი ულვაში და საჭმელთან მოტრიალე კაცის ხელები.

როცა ჩანახიც მოიტანა ჯამით, ფავნელმა ხმადაბლა ჰკითხა იმ სიჩუმეში: – მუნჯი არ გინახავს აქეთ წამოსული?

ფეთიამ მეწვრილმანეს გახედა და თავი გააქნია.

– აქეთ? არა... ბატონო... არა...

და წავიდა თავის საქმეზე.

– ფეთია, – მოესმა უცებ ფავნელს და ახლად გაიხედა ტრახტირის ბნელი კუთხისკენ, სადაც თურმე კიდევ იჯდა ერთი კაცი, რომელიც აქამდე არ შეუმჩნევია.

– ა, გენაცვალე, – მიუვიდა ფეთია.

– ღვინო მოიტა, – გაიგონა ფავნელმა და ირიბი გახედვით შეათვალიერა კაცი, რომელსაც შავი ულვაში და გლეხური ქუდი დაუნახა. სანახევროდ შემალული იყო ნაბადში და ვინ იცის დამბაჩა თუ ჰქონდა იმ ნაბდის ქვეშ. მან მეწვრილმანეს გამოხედა და ფეთიას უთხრა, – პატრონი რო სჭამს, ცხენსაც უნდა...

ფეთიამ თითქოს ვერ გაიგო, რას ეუბნება ეს კაციო, მაგრამ რატომღაც, ღვინის მოსატანად კი არ წავიდა, ტრახტირის წინაკარი გააღო და გარეთ გავიდა.

მალევე დაბრუნდა უკან და იმ უცნობ კაცს ღვინო ჩამოუდგა. ის კიდევ აღარ ჰქამდა, უკვე ყალიონი გაემართა და აბოლებდა. ერთხანს ასე იყო, მერე კი თითქოს მობეზრდა თუთუნის ბოლებო, წამოდგა და ისე, რომ ნაბადი არ მოუშორებია, ბუხართან მოვიდა.

იქ ჩაიმუხლა და ყალიონის გამობერტყვა დაიწყო. ფავნელმა დაინახა, როგორ გააპარა თვალი კაცმა მეწვრილმანისკენ, მას კი ძლივს გასაგონად უთხრა: – უკან გამოდი.

ფავენილი გააკვირვა ამ ამბავმა, მაგრამ შეიცადა, სანამ კაცი წამოდგებოდა და იტყოდა, ხელი დამაბანე, ბიჭო, და უკანა კარით არ გავიდოდა გარეთ.

ბადუნა ფავენილმა ერთხანს შეიცადა, მერე კი ისე, რომ მეწვრილმანესკენ არც გაუხედავს, წამოდგა, ხელადას წამოავლო ხელი და იმავე კარით გარეთ გავიდა.

თავისი ცხენი, რომელიც ტრახტირის წინ დატოვა, უკან დაუხვდა მიბმული, თივაც მიეცათ. არც ის კაცი და არც ფეთია არსად ჩანდნენ.

– ჰეი, ვინა ხარ? – მოესმა უკნიდან და მოიხედა.

ისევე ის ნაბადში გამოხვეული კაცი იდგა.

– შენა? – ჰკითხა ფავენილმა უკანდაუხვევლად.

– ცხენი წინ აღარ დააბა... – თქვა კაცმა, – ჩამვლელი წინიდან უყურებს. რო იცნოს?

– მერე რა?

კაცმა რაღაცნაირად, ეშმაკურად ჩაიღიმა. ნახშირივით შავი თმა და ულვაში ჰქონდა, ისეთივე თვალებიც, მბრწყინავი.

– მე ვნახე, მუნჯი რო ფეხით მიდიოდა... მუნჯი იყო, არ დამელაპარაკა. კიდევ ვნახე, რო მთელი მწყობრი ჯარი ეძებს ვილაცას. დადის აღმა-დაღმა. აქაც რო მოვიდეს, აბა, ორნი ვართ. საფარი არ არი და არაფერი. ვერ გავწვდებით...

ფავენილმა მხრები აიჩეჩა.

– ვინ ხარ? – ჰკითხა ისევე კაცმა.

ბადუნამ ამოიოხრა და მიუგო: – ფავენილი ვარ, აზნაური...

ბადუნა ვერ მიხვდა, თუკი რაიმე იფიქრა კაცმა მის ნათქვამზე.

– შენ ვინა ხარ?

– გოგია ნუკრამე, გაგიგონია? გავარდნილი ვარ, მეშვიდე წელიწადია... ეგ სალდათები შენ გეძებენ. მე ვიფიქრე, რო მე მეძებენ, მაგრამ არა... შენ... ახლა ვიცი. რუსის აფიცერი შენ არ მოკალი ქალაქში?

31.

პოლკოვნიკმა ენკელმა კაპიტანი მიროვი ტყუილად კი არ შეარჩია რაზმის უფროსად. კაპიტანთან ხუმრობა არ გავიდოდა, ქიცმაცური ლაპარაკი ხომ საერთოდ. ამიტომ პორუჩიკ მანველოვს თავისი ქართული ორპირიანობა არ გაუვიდოდა.

აბა, კაპიტანი მიროვი ყოფილიყო იქ, მოედანზე, თუკი შესძლებდა ახალგაზრდა აზნაური მის აღმოსავლური სახმალო ფანდებით წაქცევას. ვერასგზოთ: ასე სჯეროდა პოლკოვნიკს. ამ ოფიცერმა ხმალი იცოდა, როგორც მუსიკოსმა იცის თავისი ფლეიტა: რაღაცნაირად შიგშეზრდილად. კავალერისტის ძველებური ღირსებით გაჯერებული კაცი გახლდათ და ორთაბრძოლაც უყვარდა. მოუთმენელი იყო, მაგრამ მკაცრიც და ოფიცრად დაბადებული. ალბათ გაუკვირდა კიდევ, პოლკოვნიკმა რომ ასეთ საქმეზე

გამწესა. პოლკში ხუმრობდნენ, მიროვი მხოლოდ იარაღიან ადამიანს ხედავსო. უიარაღო მას თითქოს არ აინტერესებდა, ქინქლა ეგონა. ამის მიუხედავად, აქ მთელი ექვსი წელიწადი ისე გაეტარებინა, რომ ომსგარეთა არაფერი გადახდენოდა თავს. ეს იმით თუ აიხსნებოდა, რომ მას ყველა ერიდებოდა. ალბათ ქართველებიც გრძობდნენ, რომ ამ კაცთან შარს მისგან შორს ყოფნა სჯობს. კაპიტანი მიროვი არც მექალთანე იყო, არც ბანქოს მოთამაშე და არც სმა უყვარდა. რატომღაც კითხულობდა ფრანგულ წიგნებს. ერთ-ერთი საპოლკო ანეკდოტი მის შესახებ ისიც იყო, რომ შეკითხვაზე, სად არის მიროვიო, პასუხობდნენ, ბაირონთან ჩაეძინაო.

პორუჩიკმა მანველოვმა არაფერი იცოდა ბაირონისა, ის ღიღინებდა ხოლმე ჭიანჭურს, ერთი მაგრად დაუკარო და ამ მიროვსაც საერთოდაც იშვიათად თუ დალაპარაკებოდა. ვითარცა უმცროსი ოფიცერი ყველანაირ წესს იცავდა, მაგრამ წესებს გარეთ მანველოვი ქართველი თავადიშვილი იყო და იმისას ველარაფერს გაიგებდი: ვერც ნაბიჯს, ვერც სულთქმას, ვერც ნამდვილ ფიქრებს. მხოლოდ მისი ქმედებით უნდა გემსჯელა, სინამდვილეში რა ეწადა. ხმალი მანაც დიდებული იცოდა, მოსდგამდა და პოლკოვნიკმა ენკელმა ესეც იფიქრა, მანველოვი, თუმც ამ საქმეში ჩემთვის სანდო არ არის, მაგრამ ერთი რომ ქართულად ლაპარაკი ძალუმს და ბევრს რასმეს გაიგებს და მეორეც, ახალგაზრდა ფავნელს პატიოსნად უბადრაგა ორჯერ და მესამედაც ეგებ გამოუვიდეს, ჭუდბედი ეტყობაო. თანაც, ყველამ იცოდა, რომ მანველოვმა ლაშქრობაში თავი გამოიჩინა.

32.

როდესაც ათ კაზაკადევნებული კაპიტანი მიროვი თავისი მკაცრად თეთრი თვალებით და მოღიღინე, მაგრამ ჩაფიქრებული მანველოვი ფეთიას ტრახტირთან გამოჩნდნენ, ეგებ საქმე უკვე წაგებული იყო, ოღონდაც ამათ ამისა არაფერი იცოდნენ.

ფეთია გარევე გამოეგება სტუმრებს და სომხის მეწვრილმანეც უკან გამოჰყვია.

– რა გქვია, ბიჭო? – გადმოსძახა მანველოვმა მედუქნეს, – წყალი მაინც მისმიე სალდათებს.

– ფეთია ვარ, შენი ჭირიმე, მიუგო ფეთიამ, – ღვინოს მოგართმევთ, ბატონო...

– დალევთ? – ჰკითხა რუსულად პორუჩიკმა კაპიტანს.

– არა, წყალი მოიტანოს..

– წყალი, ბიჭო, წყალი... – ფეთია ეგებ მამადაც ერგებოდა მანველოვს, მაგრამ თავადისგან ეს ბიჭო მოსახვედრი იყო.

– აეს არი ფეთიას ტრახტირი? – ისე იკითხა მანველოვმა, რომ ნამდვილად ჩამოხტომა მოუნდა, – შენა ხარ ფეთია?

– მე, მე...

– შენ ვინა ხარ? – სომეხს მოუბრუნდა მანველოვი.

– ვაჭარი ვარ, თქვენი პატივისცემით, – მიუგო სომეხმა, რომელიც ალბათ ღელავდა.

ფეთიამ და ბიჭმა ხელადებით გამოარბენინეს ცივ-ცივი წყალი და კაზაკებს ააწოდეს, კაპიტანს კი ხის ტოლჩით მოართვეს.

– ბიჭო, ფეთია, რუსთ ხელმწიფის სამსახური არ დაგეკარგება... აქეთ არ გინახავს ვინმე, ეგეთი ბეჭბტყელი, თავადიშვილი... ცხენით რო ჩამოვევლოს...

– არა ბატონო...

– ანდა მუნჯი რო ყოფილიყოს, ასეთი მეორე?

– მუნჯი? – კეფა მოიქექა ფეთიამ, – ჩვენსა არ შემოსულა და ისე იმის სიმუნჯეს როგორ შევიტყობდი?

– სიტყვა-პასუხში ნაცადი ხარ, – ჩაიცინა მანველოვმა, – ამოვივლი, რამე დამახვედრე. ეგრე მიშვებ თავადიშვილს?

– არ ინებე კნიაზო და, – ხელები გაშალა ფეთიამ.

– არ იცის, – მიუბრუნდა მანველოვი მიროვს, – სადილობას გვირჩევს...

– არა, – თქვა მიროვმა, – საგუშაგოზე ვისადილებთ. წამო, ერთი ტყისკენ ვნახოთ. გზაზე იმდენი ცხენის კვალია...

ესა სთქვა მიროვმა და ცხენი დაძრა.

– მშვიდობა, – დაადევნა ფეთიამ და უმაღლ მოუბრუნდა მეწვრილმანეს, – ჯორი შეკაზმე, კარაპეტ, ჯორი და სხვა მხარეს წადი... იქით წადი.

სომეხს არაფერი უთქვამს, მხოლოდ მხედრებს გაადევნა თვალი და ახედა მზეს.

– რაღა იქით მიდის, ვაი... – თქვა დანანებით.

– იცის, სად წავიდეს, – პირჯვარი გადაიწერა ფეთიამ, – ეძებს...

33.

წოწორია სკვამი თავისი სახლის აივანზე იჯდა და ზედ გადმოჩრდილებული თუთის ხის ტოტზე შებმულ მოწნულ გალიას უყურებდა.

საღამოვდებოდა.

შორიდან ვერმოდლწეულივით მოდიოდა ზღვის ხმა.

– კატა მიახტება მაგას მასე, – უთხრა ცოლმა.

– ბურდლუნებს ასე მოწონთ, – თქვა წოწორია სკვამმა და ყალიონი მოიმარჯვა.

– შეაშინებს კატა, გარედან დაუწყებს ცემას და გაუსკდება იმას გული შიგნით, – თქვა ისევ ცოლმა, – ღამე არ დატოვო, მოვხსნათ, ცოდვას ფრინველი...

– მოვხსნათ, ხო, – თქვა წოწორია სკვამმა, – მაინც გული გაუსკდება ესე იგი. იცის, რო ვერ შემოვა კატა და მაინც ვერ გაუძლებს. ა? ასეა ფრინველი?

– ასეა, – თქვა ცოლმა და ჩამოჯდა გრძელ სკამზე, – ასე გამიგონია.

– დაგპირდი და ვერ აგისრულე, – თქვა უცებ წოწორია სკვამმა, – დრომ წამახდინა. ამ მტრედევით გამოვიდა. ვიცი, რო ვერ შემოვა ვერავინ და მისკდება გული.

ხოლო ცოლმა არაფერი თქვა, არც ამოიოხრა, მხოლოდ ჩაღუნა თავი და უმოძრაოდ და უხმოდ ატირდა. ასე ტიროდა ხოლმე, ვერც შეატყობდი, რომ ტიროდა. მხოლოდ თავს ჩაღუნავდა და ხანდახან ვერ მოერეოდა, გაექცეოდა რამხელა ძალით დაჭერილი ნიკაპი.

წოწორია სკვამი ყალივნის ნაღვერდალს ჩასცქეროდა ერთხანს, მერე კი თქვა: – ბურღუნებებს რა ძინავთ... რა მოქანცული არიან... აჭენავეს დღეს ცხენი. პატარა მაინც რა მოქნილობის არი...

აქ შეყოვნდა, რადგან მიხვდა, რომ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა და უცებ ცოლს უთხრა: – ამას ჩემი სიკვდილი ჭირდება, მეტი არაფერი... მე სანამ ვარ, არ გამოვა არანაირი გზა. არანაირი მიხვედრა. მე აღარ ვიქნები და გამოვა ყველაფერი. ოქრო რო დაყარო, ამოსასვლელში, – ყალივნის ტარი გაიშვირა კიბის თავისკენ წოწორია სკვამმა, – და მიაფარო ნაბადი, ისე ივლის მთელი სიცოცხლე ხალხი, ერთს არ იტყვის, ოქრო ხო არ არი ქვეშო. მოაცილებ ნაბადს და გამოჩნდება. ეს არი... მეტი არაფერი. ესენი წამომაზღვევია... გაზდი მარტო? ჩემი სიკვდილი ჭირდება ამ საქმეს და არ მივყავარ არანაირათ ღმერთს. ღმერთს უთქვია ეშმაკისთვის, მოკიდე ხელი სკვამსო და ეშმაკს უთქვია, უნდა ვტანჯო ერთხანს კიდეო... აბა? – ჩაიხითხითა წოწორია სკვამმა. წამოდგა, ყალიონი მიაბერტყა აივნის სვეტს, ქამარში გაირჭო და პირჯვარი გადაიწერა, – ჯვარი აქაურობას...

მერე მოტრიალდა, თავჩარგულ ცოლს თავზე ხელი გადაუსვა და თქვა: – თუ იტყვის, აბა, ეს ჩემი ქალი, არ მოკვდე წოწორია სკვამიო. რო ბერდება ქალი, ავიწყდება ყველაფერი და მარტო რჩება შვილები...

წოწორია სკვამმა ახალუხი შეისწორა და ოთახში შევიდა.

იქედან ქულაჯამოსხმული და ხანჯალშემორტყმული გამოვიდა, დამბახას იტენიდა წელში ზურგს უკან.

– სადღა მიდიხარ ამ დაბნელებულზე... არაფერი მოგეწიოს, – თქვა ცოლმა ჩუმად.

– სადაა მასე, რო მოგეწიოს, როცა გინდა. უნდა ეძებო და მაინც არ არი, – ხელი აიქნია წოწორია სკვამმა, – რუსების საქმეზე მივდივარ... ასეთი პირი უჩანს, ომი დაიწყება აქეთაც... ბურღუნებებს რა ძინავთ... ხო, ხო, არიან ჩათბილულები...

და წოწორია სკვამი კიბეს ჩაუყვა.

რუსების ქუჩისკენ მიდიოდა.

რის ომი, რა ომი. სულ სხვა საქმეზე მიდიოდა.

34.

თადია ახლოს იყო, მაგრამ სადღა?

იმდღევანდელმა ამბავმა ყველაფერი არია. ბადუნა ფავნელს არც ეგონა, რომ ასე ნაბიჯში ედგებოდა რუსის ჯარი. ჯარია, როცა ერთზე ათია, სხვა არც არაფერია ჯარი. ბადუნამ იცნო პორუჩიკი მანველოვი. ამიტომ მიხვდა, რომ პოლკოვნიკი აღარ მოეშვებოდა და ძირის ძირამდე სდევდა.

ეს არ აშფოთებდა. პირისპირ მოსვლას ვინღა დააცლიდა მანველოვს და იმ ხალხს. აგე, უკვე ტყეში იყო და საფრიდან უთვალთვალეზდა მათ. ხედავდა, როგორ გაჩერდნენ ფეთიას ტრახტირთან და როგორ გამოაგრძელეს გზა აქეთ, პირდაპირ ტყისკენ. იმ ადგილისკენ, სადაც ისა და გოგია ნუკრამე ჩამალულიყვნენ.

ერთი იყო, რომ ცხენს არ დაეჭიხვინა და ჩაივლიდნენ. თუნდაც ახლო ჩაევლოთ, იპოვი ნემსს? ასეა საქართველოს ტყეც. იქ თუ კაცს იპოვი და ის კაცი ბრმა ყოფილა, არ სცოდნია, საით ევლო. ჩაივლიდნენ, წავიდოდნენ, თუმც კი ახლოში იყვნენ.

გოგიას თან ჰქონდა გრძელი თოფი, რომელსაც ნაბადში მალავდა, ოღონდაც იქ სროლაზე არ იყო, იქ იყო გატარებაზე.

ყაჩაღმა ბევრი რამ იცოდა ბადუნა ფავნელისა. მისგან ქალაქად ჩადენილი დიდ სასახელო საქმედ მიაჩნდა და ტკბილად მოსწონებოდა ახალგაზრდა აზნაური. ფავნელს გაეგონა, ნუკრამეზე მისი ბატონის სისხლი იდო, ოღონდაც ის ამორჩევით მარცვავდა და თანაც სიმდიდრეს არ უყურებდა, უნდა სცოდნოდა, როგორი კაცია გასაძარცვი.

ფავნელების ოჯახური ამბისა არაფერი იცოდა გოგიამ, მაგრამ თადია კი ენახა სწორედ ტყეში და დამიზნებოდა კიდევ, მაგრამ რახან უცნაურობა შეეტყო, აღარც ესროლა და მცირედითაც არ შეეწუხებინა. ახლა პირდებოდა ბადუნას, დაბნელებამდე თუ არ დაგაწიო შენს ძმას, გოგია ნუკრამე აღარ დამიძახო, სუმბათაანთ ფეხსალაგის მწმენდავი ყირო ვიყო.

ასე იყვნენ ჩასაფრებულნი და ჩურჩულებდნენ რაღაცას. ეს ნამდვილი იყო, რომ ნუკრამემ გადაარჩინა ბადუნა ფავნელი, მაგრამ ბადუნა მაინც იმას ფიქრობდა, თადია შორს არ წამივიდეს, რახან გოგია ნუკრამის აწერილი ტყეში ჩქარი ნაბიჯით მიმავალი სწორედ თადია იყო. ბადუნას ერთი სული ჰქონდა, რომ რაზმეულს დროით ჩაევლო. როცა შენი მდევარი წინა გყავს, საშიში რაღაა?

ბადუნამ იცნო პორუჩიკი მანველოვი, გოგიასაც უთხრა, აგე, მაგას ვიცნობო. მოსწონდა მანველოვი, პატიოსნებაში გამოუთქმელობით და ხალისით, ისიც კი იფიქრა, როგორ დაგვალაგა აქეთ-იქით ცხოვრებამ, ხომ შეიძლებოდა, სულაც, ახლა ის წოლილიყო ჩემს გვერდით საფარშიო.

სალამოს პირზე, როცა მანველოვი უკან მობრუნდა ფეთიას ტრახტირში, სადაც უკვე რამდენიმე მგზავრი ჩამომხდარიყო, ბადუნა ფავნელიცა და გოგიაც უკვე შორს იყვნენ. კაზაკები დაბნეულნი და დაღლილნი ჩანდნენ.

მანველოვმა სამელნე, კალამი და ქალაღდის ფურცელი ამოალაგა მიროვის ჩანთიდან, ფეთიას ჭრაქი დაადგმევინა წინ და დაწერა რუსულის დახვეწილად წერის უცოდინრობის გამო მოკლე-მოკლე წინადადებებით: კაპ. მიროვი მოკლულია. პირდაპირ ტყვია მოხვდა თავში. მკვლელი უცნობია. დევნას ვაგრძელებ, ველი დანარჩენ განკარგულებებს.

ეს წერილი გრძივ გაკეცა, ლუქი მიადნო ჭრაქს, დაბეჭდა და შიკრიკს მისცა სასწრაფოდ თფილისს გასაქუსლად. მეორე შიკრიკი კი წერილით გაგზავნა წინ მდებარე საგუშაგოზე, რათა იქედან თუნდაც ღამით მოსულიყო ფორანი, რომ კაპიტანი მიროვი ღირსეულად წაესვენებინათ ქალაქს.

რით არ იყო ტიალი დღე. პორუჩიკი ცხენზე შეტორტმანდა, კაპიტანს კი ტყვიამ ღამის შუაზე გაუხეთქა თავი. ყველანი საჩქაროდ დაქვეითდნენ და თოფები და დამბაჩები მოიმარჯვეს. კვამლი საიდან ავარდაო, ამის გამოცნობას ცდილობდა პორუჩიკი მანველოვი. ანდა, რამსიშორიდან ისროლაო. წახობდნენ ტყისკენ. ცხენიდან გადმოკიდებული მიროვი ისეთი სანახავი იყო, როგორც ახლად დაკლული ცხვარი, საყასბოში გასატყავებლად დაკიდული.

ახ, ღმერთო!

პორუჩიკ მანველოვს ასეთი ნამალავი ნასროლი არც ოდესმე ენახა. ტყეს მიადგნენ ცხენებსმოფარებულნი. იფარებდნენ ცხენებს, ისინი კი ურჩობდნენ და სიჩუმე იყო.

აღარავის გაუსროლია. არც ხმა, არც ნადენტარის სუნი. კვამლი სადღა იქნებოდა, თავიდანაც არ ჩანდა.

– უფროსი უნდა წაუქციო, – თქვა გოგია ნუკრამემ ჩურჩულით, – ეხლა ვეღარ გამოგედევნებიან. გასწი, გაიქე... ამათი ენა მე ვიცი.

ბადუნა ფავნელი გაოგნებული უყურებდა. თუკი შეიძლება პირქვე დამხობილ კაცს გაოგნება ეტყობოდეს.

– გაიქე მეთქი, ბატონო... შენი ძმა მოძებნე. მე ჩემი ანგარიშები მაქ ამათთან, – უჩურჩულა გოგიამ.

რას გაუგებ გლახს, მით უფრო, ყაჩაღად გასულს.

მიროვი კი ერთ ძველ ფარდაგში გამოხვეული ფეთიას დუქნის უკანა ეზოში ესვენა: სწორედ იქ, სადაც შუადღით გოგია ნუკრამე ბადუნას გამოელაპარაკა.

– წადი და თუ ვერ ნახე, სურამში მოდი, ურიების უბანში, – მჯილი წაჰკრა გოგიამ.

35.

ეს კობტა და ყვავილნარში ჩაფლული ქუჩა იყო, რუსების ქუჩა იმ სოფლად, მომავალ ქალაქად. კობტა სახლები იდგა, ისეთები, როგორებსაც აშენებდნენ ხოლმე ძველად ოფიცრებისთვის. ნათელი სახლები იყო, თუმცა აქაურებისგან შიგნით არავინ მოხვედრილიყო როდისმე, მხოლოდ დილაობით ჩამოივლიდნენ გლეხები, რომლებიც ოფიცრების ოჯახებს რძეს, მაწონსა და ხილეულს მოუზიდავდნენ ხოლმე.

ეს იყო წყნარი და სისუფთავით მსუნთქავი ადგილი, რომელიც აგერ ღამის თხუთმეტი წელიწადი იყო მშვენდებოდა. ოფიცრები იცვლებოდნენ, ერთი ოჯახის ადგილს სხვა იჭერდა და ბაღებს და ყვავილნარს კი მხოლოდ თუ ემატებოდა და არ აკლდებოდა. მათ თავიანთი რუსივე მოახლეები და მეზობლები ჰყავდათ და ქუჩის ბოლოში, პატარა ხის სახლში, რომელიც კარგა ხანია ოფიცერთა კლუბად იყო ცნობილი, დიდი ბილიარდიც კი ედგათ.

პოლკის მეთაურის სახლი ყველაზე დიდი იყო. ეტყობა, როცა აგეგმარებდნენ, მაშინვე ასე გადაწყვიტეს. სახლი ასევე ერთსართულიანი იყო და ასევე ხისა, მაგრამ რაღაცნაირად, ქვითკირის ნახევარსართულზე შემომდგარი, ძალიან ლამაზი, მოჩრდილული ხის აივნით და უკანა მხარესაც ზამთრის ბაღის მსგავსი სახლზევე მიდგმული ფანჯატურით.

ამ სახლს ყველაზე დიდი ეზო და ბაღი ჰქონდა და მისი სხვენიდან ზღვა მოჩანდა. ალბათ ამის გამო თუ იყო, რომ ორი ოთახი სხვენშიც მოეწყობო. უტკბილესი, გემრიელად ნაცხოვრები სახლი იყო, ყველა წინამორბედი პოლკის უფროსის ოჯახს ეძნელებოდა აქაურობის მიტოვება.

ეზოში ასევე ოროთახიანი სასტუმრო სახლიც იდგა: უკანა მხარეს მეზღვის ფიცრული, ხოლო წინკართან საგუმავო. დიდხანს ეს ერთადერთი საგუმავო იყო მთელ ამ ქუჩაზე, მაგრამ ამ გაზაფხულიდან ამჟამინდელმა პოლკის უფროსმა, პოლკოვნიკმა პასემ, საგუმავოების ქუჩის თავსა და ბოლოში ჩაყენებაც ბრძანა.

პოლკოვნიკის სახლის ერთ გვერდზე ცხოვრობდა საპოლკო ექიმი ისტომინი, მეორე გვერდზე კი ბინად იდგა ორი ახალგაზრდა პორუჩიკი.

პოლკოვნიკი ხშირად პატიჟებდა ხოლმე სადილად ბერბიჭა ექიმს, პოლკიდანვე წამოიყვანდა ხოლმე, რადგან სადილად ყოველთვის შინ მოდიოდა. მისი სახლი ისეთი იყო, რომ თუ კარგად მოჩხრეკდი ოთახებს, ერთ სტუმარს მაინც, აუცილებლად გადააწყდებოდი. ამ ჯერზეც რა გასაკვირია და ასე იყო: ზამთრიდან მოყოლებული ძველი მეგობრის, პოლკოვნიკ ენკელის ცოლ-შვილი სტუმრობდა. თავად პასეს მეუღლე, ქალბატონი პასე, ასევე ძველი ამხანაგი იყო ქალბატონ ენკელისა და კიდევ უხაროდა, როცა ძველი მეგობრები თვეობით რჩებოდნენ მათთან. ზამთარი რომ არა, ამ ადგილას თავიდან ბოლომდე სააგარაკო სული სუფევდა. წიგნებში ამოკითხული პალმები აქ ადრევე გაეხარებინათ, ვინ იცის, საიდან იყო მოტანილი კიდევ ათასი სხვა რამ.

და რა სჯობია სააგარაკო სულს, როცა გაზაფხული უკვე მოსულა? პოლკოვნიკი პასე ოჯახს არასდროს ანებებდა ზღვაში ნავით გასვლას, სანამ ზაფხული კარგად არ მოვიდოდა. სამაგიეროდ, ტბისპირებზე სეირნობა შეეძლოთ როცა მოუნდებოდათ: იქაც იყო სადარაჯო. ოფიცრებს იქ ადრიდანვე ჰქონდათ გამართული სანადირო სახლის მსგავსი რაღაც, მეთევზეთა კლუბიც შეიძლებოდა დარქმეოდა.

პოლკოვნიკ პასეს ტბაში ნავით შეცურვა ასევე აკრძალა თავისიანებისთვის, აქ სამხრეთია, ამინდი უცებ იცვლება და ვინ იცის, ნავს რა მოსწიოს უცებ ამოვარდნილმა ქარაშოტმა და მისგან აზვირთებულმა წყალმაო.

პოლკოვნიკ პასეს უფროსი ვაჟი ოფიცერი იყო, ოღონდ ჩრდილოეთში, უმცროსი კი იქავე შესულიყო კორპუსში.

36.

პოლკოვნიკმა პასემ იცოდა ენკელთა სტუმრობის ნამდვილი არსი, რადგან ძველმა მეგობარმა არაფერი დაუმალა წერილში, მაგრამ ეს ამბავი ცოლისთვისაც კი არ უამბუნია თავიდან ბოლომდე, უთხრა მხოლოდ, რომ პოლკოვნიკს სურდა თფილისისთვის მოერიდებინა ქალიშვილი, რომელსაც არასასურველმა ადამიანმა

დაადგა თვალიო. მაგრამ რად უნდოდა ამ ამბავს პოლკოვნიკ პასეს თავშეკავებულობა, ქალბატონმა ენკელმა ყველაფერი ჩაუკაკლა ქალბატონ პასეს და თავისი ეჭვებიც გააცნო, ჩემს ქმარს მგონი ეს ისტორია ეჩვენება, რადგან ქართველების ნდობა არა აქვსო.

ამაზე ქალბატონი პასე ქართველების ქებას იწყებდა. არა, კი უწუნებდა რაღაცეებს, მაგრამ მაინც ძალიან მოსწონდა იმათი კეთილშობილება. სხვანაირი მოქცევა კი აქვთ, ჩვენთვის ცოტა უცნაური და მიუღებელი კია, მაგრამ რაღაცნაირი რაინდობა მოსდგამთ, რაც, არ იქნება, არ გხიბლავდესო. ქალბატონი ენკელი სულ სხვა წარმოდგენისა იყო ქართველ დიდგვაროვნებზე, მძიმე საფიქრალად თავისი ზღვისპირას გადმოხვეწაც ეყოფოდა, მაგრამ მაინც ეგონა, რომ მისი ქმარი ამეტებდა, ვინაიდან ქალიშვილთან არაერთგზის მოუწია საუბარმა იმ ვიღაც გადარეული აზნაურის შესახებ, რომელსაც პორუჩიკი გეხტი მოეკლა თფილისის მთავარ მოედანზე, მაგრამ ეკატერინა ენკელს წარმოდგენა არ ჰქონდა ვისზე ელაპარაკებოდნენ. იმდენად არაფრისმთქმელად უყურებდა დედას, რომელიც ცდილობდა, რაიმე ამოეგლიჯა ქალიშვილისთვის ამ ამბის თაობაზე, რომ ქალბატონ ენკელს სჯეროდა თავისი ქალიშვილისა, მაგრამ მას თავისი მეუღლისაც სჯეროდა და ამიტომ ფიქრობდა, ეკატერინამ ბევრი რამ არც კი იცისო. რას გაიგებდა, ვინ როგორ ემიჯნურებოდა, პორუჩიკი გეხტი კი მოკლული იყო და ამ უბედურების ახსნა ეგრეც ვერავინ შესძლო.

პოლკოვნიკ პასეს კი უკვე დაეყენებინა გუშაგები რუსების ქუჩის თავსა და ბოლოში და თუ ამას ისიც დაემატება, რომ საგუშაგო მის სახლთან ისედაც იდგა, პოლკოვნიკ ენკელს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო, მაგრამ მისმა ბოლო წერილმა მაინც გვარიანად შეაშფოთა პოლკოვნიკი პასე. აქამდე ნამდვილად ვერ გრძნობდა, რომ საშიშროება ამ ხარისხისა შეიძლებოდა ყოფილიყო. პოლკოვნიკი ენკელი საჩქარო უსტარით იწერებოდა, რომ გადასახლებული აზნაური ფავნელი გაიქცა იმ საბაბით, თითქოს თავის ავადმყოფ ძმას ეძებს, სინამდვილეში კი უეჭველად შეუტყვია, სად არის ეკატერინა და მის მოტაცებას აპირებსო. მარტო არაფრით იქნება, თან მისნაირი ველური ნაპირალები თუ ახლავან და გემუდარები, გაფრთხილდი, პოლკს ვერ ვტოვებ, თორემ მანდეთ გამოვიჩქარებდიო. იმასაც სთხოვდა, რომ ამ წერილის შესახებ არაფერი ეამბა დედა-შვილისთვის.

პოლკოვნიკი პასე შეშფოთდა, მაგრამ მაინც სამხედრო იყო და იფიქრა, რაც გასაკეთებელია, გავაკეთებ და მერე კი გამოჩნდებაო. ამიტომ სულმოუთქმელ შიკრიკს დასამშვიდებელი წერილი უსაგზლა, თავად კი კაპიტანი აშკოვსკი გამოიძახა და საკმაოდ მოხდენილად, საქმის არსის სანახევროდაც კი გაუმჟღავნებლად უთხრა, რომ მეტი ყურადღება გამოეჩინათ მიდამოში უცხო ადამიანების მიმართ.

– ადგილობრივნი მოიხმარეთ, ხომ არის მათში ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხალხი? – ჰკითხა აშკოვსკის.

– კი, რა თქმა უნდა, თქვენო...

– არ ვიცი, შტაბიდან ასე გვამცნობენ, – თქვა პოლკოვნიკმა, – ჩვენ რამე ცვლილება ხომ არ შეგვიძინეია ოსმალთა მხრიდან?

- არა, არაფერი... ყაჩაღები ყოველთვის არიან, მაგრამ ახლა არ ვიცი სად გადაიკარგნენ,
- ჩაიციან ამკოვსკიმ.

- უცხო ხალხს მივადევნოთ თვალი. ვთქვათ, ბაზრობის დღეს, ან რაიმე
დღესასწაულზე... - თქვა პოლკოვნიკმა პასემ.

მანვე საგანრიგო სამსახურს უბრძანა, თავის სახლთან ერთი ჯარისკაცი მიემატებინათ
სადარაჯოსთვის და სადამოს რატომღაც უკანა ეზოში წამოიწყო სეირნობა:
ჩათვალიერა ღობე, უკანა კარი და ფანჯატურსაც რამდენჯერმე შემოუარა, მერე კი
ცოლს უთხრა: - აქ მარტოდ ნუ დაჯდებით ხოლმე, ვთქვათ გვიან ღამით.

- გვიან ღამით აქ რა გვინდა? - გაიკვირვა ცოლმა, - ისედაც ყველაფერს გვიკრძალავ
და... აქ როდის ვსხედვართ ხოლმე გვიან ღამით?..

- არ ვიცი, არ ვიცი, - თქვა პასემ.

- რამე მოხდა ცუდი?

- არაფერი... წინ მტრული სამეფოა, - თქვა პოლკოვნიკმა, - ზაფხული მოდის. გზები
იხსნება მთებში... მაინც...

37.

პოლკოვნიკი ენკელი კი თფილისში ყაზარმებს შუა სცემდა ბოლთას გვიან ღამით. შინ
წასვლა მიავიწყდა კიდეც. დარწმუნებული იყო, რომ კაპიტანი მიროვი, რომელიც
ფეთიას დუქნიდან უახლოეს საგუშაგოზე გადაესვენებინათ და იქედან უპირებდნენ
თფილისს წამოსვენებას, შეიქნა მსხვერპლი მის მიერ წამოწყებული საქმისა.

გენერალ-გუბერნატორის სამდივნოდან დასტური სადამოჟამს მოვიდა: სწორედ
ფეხად მოუსწრო პორუჩიკ მანველოვის გამოგზავნილ შიკრიკს და ახლა
პოლკოვნიკისთვის სირთულე ისიც იყო, რომ როგორმე უნდა ეჩვენებინა, მაღალი
ბრძანებისთვის არ დამისწრია და რაზმი თვითნებურად არ გამიგზავნია ახალგაზრდა
ფავნელის დასატუსაღებლად.

ცალკე ეს ფიქრი სტანჯავდა და ცალკე მეორე: ეგებ კაპიტან მიროვის მკვლელობაში,
რომლის დაწვრილებითი სურათიც მისთვის უცნობი იყო, სწორედ ფავნელი
მონაწილეობდა? პოლკოვნიკს უნდოდა ეფიქრა, რომ სწორედ ასე იყო და რახან
უნდოდა, ეს შეხედულება სძალავდა კიდეც.

კაპიტანი მიროვი ცნობილი ოფიცერი იყო, დაწვრილებით უნდა შეედგინა რაპორტი,
მაგრამ ჯერ მანველოვის ზუსტ ახსნა-განმარტებას უნდა დალოდებოდა. რა
სისულელე აღარ იფიქრა პოლკოვნიკმა ენკელმა: ისიც კი წარმოიდგინა, რომ თავად
მანველოვმა მოჰკლა მიროვი, რათა ფავნელს გაეცევაში დახმარებოდა.

მერე პოლკოვნიკმა ორი წერილი დაწერა, ისევ პოლკოვნიკ პასესა და პორუჩიკ
მანველოვის სახელზე და შიკრიკები დაიბარა. ზღვისკენ გაგზავნილი შიკრიკი ჯერ არ
დაბრუნებულიყო. დაბრუნებულიყო კი არა, პოლკოვნიკ ენკელის გამოთვლით,
სწორედ რომ მეორე დილით ჩავიდოდა პოლკოვნიკ პასეს პოლკში და ისიც, თუ
შეუფერხებლად ივლიდა. ამ შიკრიკს პოლკოვნიკმა მეორე მიადევნა: წერილი
ამჯერად უფრო მშფოთვარე იყო და თვით პოლკოვნიკ პასესაც კი დააფრთხოდა,

რადგან აზნაურები, რომლებიც იოლად ჰკლავენ ოფიცრებს, მართლაც საშიში და მოუხელთებელი არიან. მეორე წერილი კი მან იმავე სულმოუთქმელ შიკრიკს გაატანა, ვინც მანველოვმა გამოგზავნა და დაწვრილებით მოსთხოვა მას სასწრაფო აღწერა მომხდარი ამბისა.

ამ აღწერილობაში ეგებ ყოფილიყო საშუალება იმისა, რომ პოლკოვნიკს ასე თუ ისე გამართული რაპორტი შეედგინა გენერლის სახელზე: სამ თვეში ორი სასახელო ოფიცრის მკვლელობა უკვე გაუგონარი ამბავი იყო და მას, როგორც პოლკის მეთაურს, უეჭველად დაწვრილებით მოსთხოვდნენ ყოველივეს აღწერას და დასაბუთებას.

მიუხედავად ამ რთული სურათისა, პოლკოვნიკი ენკელი მაინც სხვას ჯავრობდა: ის გრძნობდა, რომ ახალგაზრდა ფავნელი რაღაც ეშმაკეული ძალით მართული მაინც მოახერხებდა მთელი გზის გავლას და სწორედ იქ მივიდოდა, სადაც პოლკოვნიკმა ცოლშვილი გახიზნა. და განა ასეთი კაცი უკან დაიხევს რაიმეს წინაშე? ახალგაზრდა ფავნელი რომ უკანდაუხეველი იყო, პოლკოვნიკმა კარგად იცოდა. რაღაცნაირი, უტყვი უკანდაუხეველობა ჰქონდა, რაც სწორედაც რომ აფრთხობდა პოლკოვნიკს. აფრთხობდა ამ გამოცდილ, ყველგან ნაომარ სამხედროს და მას არაფრით უნდოდა, რომ ფავნელი მის ქალიშვილს მისწვდომოდა. განა ისეთი ასაკისა და ფიქრების ქალწული, როგორიც ეკატერინა გახლდათ, რაიმეთი წინ აღუდგებოდა ასეთი შინაგანი ძალებისა და მოთმენის ადამიანს? ვერანაირად. ის მთლიანად მიენდობოდა ფავნელს. პოლკოვნიკი დარწმუნებული იყო. ამიტომ იმასაც ფიქრობდა, რომ ამ წყეული რაპორტით ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, რომ თავადვე გაექუსლა დასავლეთისკენ და ეს საქმე ბოლოს და ბოლოს დაემთავრებინა.

პოლკოვნიკმა ენკელმა ასე გაიფიქრა, რომ თავი გადაუდებელი საჭიროებით ემართლებინა: ჩაწერდა, რომ რახან საშიში დამნაშავე გაიქცა, მან სასწრაფოდ შეადგინა მზვერავი რაზმი, რომელსაც ფავნელის დევნა სულაც არ ჰქონდა პირდაპირ მიზნად, უბრალოდ ბრძანების მოსვლამდე არემარე უნდა დაეზვერა და მერე, ბრძანების მოსვლის შემდეგ, თავს ახალგაზრდა აზნაურის დევნაც უნდა ედო.

ეს კარგი იყო, მაგრამ მიროვი მაინც ძალიან ცნობილი ოფიცერი გახლდათ.

რაღა მიროვი უსარდლე ამ ათეულსო, რომ ეკითხათ? განა მიროვს ეკადრებოდა ასეთი უბრალო ამოცანა? საქმეც ეს იყო, რომ პოლკოვნიკს სწორედ მიროვი სჭირდებოდა. იცოდა, რომ მიროვი დაიჭერდა ფავნელს. ანდა, დაჭერა არც იყო მთავარი: მოერეოდა.

ახლა მიროვი მოკლული იწვა სადღაც და სადღა იყო ის ვერავი ახალგაზრდა ფავნელი?

38.

თადია არ ჩანდა. არც მისი ამბის მცნობი შემოყრია ვინმე ბადუნა ფავნელს, რომელიც ისევ ჯავრობდა გოგია ნუკრამქსთან შეყრით დაკარგული დროის გამო. ანდა იმის მერე ვინღა უნდა შეხვედროდა: გზაზე სავალი რომც ჰქონოდა, ფავნელი გზას მაინც მოერიდებოდა, რადგან თუ გოგია ვერა, ის კარგად მიხვდა, რა მოახდინა ყაჩაღის სულელურმა გასროლამ. სულ ცოტა დრო უნდოდა და ამას ყოველ საგუშაგოზე შეიტყობდნენ, ყოველი ოფიცერი და ჯარისკაცი მკვლელის ძიებით აღენტებოდა და ვინ იყო მკვლეელი? თავად რომც არ გარეულიყო ამ ამბავში, ხვდებოდა, რომ ყოველი

სამხედრო მისი მდევარი იყო, ყოველ გამვლელს ახლა სხვანაირი ყურადღებით შეხედავდნენ. თანაც, უკვე ნამდვილად იცოდა, რომ პოლკოვნიკმა სწორედ მას დაადევნა ის ხალხი, შიგ რომ პორუჩიკი მანველოვი ერია.

ამიტომ ის მხოლოდ ტყე-ტყე მიდიოდა, როგორც ყაჩაღი. უკვე სულ სხვანაირი სიფრთხილით, ტყისპირებიდან გადახედავდა სერებს დაბლა ჩაფენილ სოფლებს, უყურებდა მზეს და ცხენს ამშვიდებდა. ღამით სიარული უჯობდა კოცონის დანთებას და ამიტომ, ეცადა, რომ იმ ღამეს თავისი სავალისთვის დიდად არ გადაეხვია, სწორედ ღამით გამოვიდა ტყიდან, მაგრამ არა ისე, რომ უცაბედობის შემთხვევაში ტყე არ მოხმარებოდა.

მთვარიანი ღამე იყო, ეს შველოდა.

გამთენიისას დაინახა ოთხურმიანი ალალი, რომელიც მაღლა მთებისკენ მიუყვებოდა. ადგილი უცნობი იყო მისთვის, სრულიად უცნობი, მაგრამ არა უგრძნობი. წინ იყო მთაგრეხილი და იქ კი უნდა დატრიალებულიყო ისე, რომ თადიას კვალი ხელახლა აეღო.

ალაღში გლეხები იყვნენ და ერთიც ვაჭარი კაცი, მარილი მიჰქონდათ დასავლეთში. იმათთან შეამხანაგება და მათ ნაბიჯს აყოლა არ უცდია, ცხენიანი კაცი როგორ გაუძლებს ურმის ახლოში სვლას? ერთი ფრთხილად ჰკითხა, ასეთი და ასეთი ფეხით მოარული ხომ არ გინახავთო და იმათ არ ენახათ. მერე კი იფიქრა, ახლა მოურიდებლობა ჯობიაო და რახან კარგი გზა იყო, დეზი ჰკრა ცხენს.

სურამში სიფრთხილით შევიდა, ჩამოქვეითებული. ადრეც მოხვედრილიყო აქეთ, გამოვლით, წინა დღის ალაგისგან განსხვავებით რაღაცეები ახსოვდა აქაურობისა. წავიდა ებრაელების უბნისკენ, სადაც არ იცოდა ვინ ეძებნა და რატომ, თუმცა კი რახან ებრაელთა უბანი იყო, იქ საგუშაგოს არ ელოდა და არც ვინმე ჯარისკაცს და არასანდოს. ვინ უნდა მოეძებნა? იმ თავქარიანი ყაჩაღის სიტყვებზე მივიდა იქ, იქ დაგახვედრებ ამბავსო.

ამბის საქმე კი ასე იყო: ებრაელები ხომ მეწვრილმანენი იყვნენ და ბევრს დადიოდნენ სოფელ-სოფელ, ყველაფერი ფეხით მოევლოთ და ყველაფერი ზეპირად იცოდნენ. ალბათ გოგია ნუკრადის ანგარიშიც ეს იყო, რომ უთხრა, იქ მიდიო, მაგრამ ვისთან? აქ კი დაფიქრება მართებდა. ამ ერთი ბეწო, ერთმანეთთან თითქოს მხრებით მიწოლილ ეზოებში არც სიჩუმე იყო, არც რაიმე სიმყუდროვე და არც კიდევ ისეთი შინაურულობა, სიტყვას რომ გაგიადვილებს.

ბადუნა ფავნელმა აიარა ქუჩაზე ისე, რომ თან შუკვებშიც იცქირებოდა და ეზოების წინ გამოდგმული ფარდულების აწეულ დარაბებშიც და მერე კი იფიქრა, ის დროა ავმხედრდე და ისევ მზეს გავყვე ჩემი ძმის საძებრადო, რომ უცებ მოესმა წვრილი, მაგრამ ღონიერი ხმა: – ბატონს შემოვევლები.. ბატონის ფეხების ჭირიმე, რა ცხენი, რა ქამარ-ხანჯლები...

გოგია ნუკრადე ხომ ყაჩაღი იყო? იმას ხელის დამცლელი ხომ ენდომებოდა? აბა, იმ ნამარცვს და წართმეულს როგორ აქცევდა ფულად? სწორედ ახლა იფიქრა ბადუნა ფავნელმა, რომ გოგიას აქეთ დაჰქონდა თავისი ნამარცვი და უეჭველად ჰყავდა ვინმე, ვისაც ენდობოდა.

39.

იყო ნავახშმევი, როცა ქვემო უბანში, ერისთავების სახლში, წინასწარ შეუტყობინებლად მივიდა ნიმოს მღვდელი, რომელიც მღელვარებას ვერ ფარავდა და დამხვედრ მსახურს უბრძანებდა, რომ ბატონი ან ქალბატონი მოეხმო სასწრაფოდ.

ბატონს სძინებოდა, დიდ ქაიხოსრო ერისთავს. ქალბატონი კი სანთლების ქნაში ყოფილიყო გართული: ქსოვა მობეზრებოდა და გახსენებოდა, რომ თახჩაში ბლომად მოუგროვდა სასანთლედ საჭირო რამეები: ცვილი, ნათაფლარი, კარგი ძაფები. ჰოდა, დაედო წინ დაფა და ქნიდა სანთლებს.

ემა კიდევ, რომ მოახსენეს, მღვდელი გეახლათო. ვინ მღვდელიო, რომ იკითხა და ნაცნობი სახელი გაიგონა, მთლად მოიხიბლა. ჭეშმარიტად ღმერთს მოუყვანია აქ, რათა მე, საღვთო საქმეში ჩაბმულს, თავზე წამომადგესო.

ნიმოს მღვდელი კი თავის მღელვარებას მუჭებში მალავდა, მისი მოსვლით ნათელმოფენილ კნეინას კი, რომელმაც ბიჭს ვახშმის ხელახლა გაშლა უბრძანა, შესთხოვა, ამ ჯერზე ბევრს ვერ შევყოვნდებო.

მღვდელმა იცოდა, რომ ერისთავებს გვარიან მღელვარებად და თავის ჩახრად დაუჯდათ ახალგაზრდა ფავნელის ყაზარმებიდან გამოხსნა, ისე რომ, ამაზე ლაპარაკიც არ უნდოდათ და კნეინას რომც ნდომებოდა, ძნელად გაბედავდა ქმრის თანდასწრებით. მაგრამ ნიმოს მღვდელი არც ფრთხილი კაცი იყო და არც არმოსათმენის მომთმენი, ამიტომ ტახტზე ჩამოჯდა, მუჭები ერთმანეთს შეატყუპა თავის თვალწინ და დაწვრილებით უამბო ქალს ბადუნა ფავნელის ამბავი. არაფერი გამოუტოვებია, თვით არც მისგან ვიღაცად წოდებული მიროვის დალუპვის ვითარება და საბოლოოდ კი ასე ჩამოქნა: ახლა პოლკოვნიკი ენკელი ცხენზე შეჯდა, თავისი ადიუტანტი და სამიცი სხვა ოფიცერი იახლა ოცეულთან ერთად და გათენებას არ დაელოდა, ისე გაქანდა ქალაქიდან, ხოლო თუ სად, არავინ უწყის, ეჭვი მაქვს კია, და საშინელი ბოროტეული ეჭვი, რომ შეუტყვიათ ჩვენი ბადუნას ადგილსამყოფელი, ვინ იცის თადიასიც და პოლკოვნიკი უთუოდ უვარგის რამეს აპირებს: მოკლას ბადუნა და საქმე ისე წარმოაჩინოს, ვითომდა ის ტყედ გავარდნილი დამნაშავე იყო და თოფით ებრძოდაო.

კნეინა ერისთავი სულ უფრო პირქუში და მშფოთვარე შეიქნა ამ ამბის სმენისას. რატომღაც უნდოდა, რომ ნიმოს მღვდელს მის სანთლებისთვის შეეხედა დაკვირვებით, მერე კი ძლივს ჰკითხა საჩვენებელი ყოჩაღობით, კი მაგრამ, შენ საიდანღა იცი ესე ყოველიო.

– მიამბეს, – იყო პასუხი, – ეს საათია ჩემთან მოვიდა თავადი მანველოვი. ახალგაზრდა კაცია. იქ მსახურობს... იმის სახელი არსად გაახშიანოთ... ნაბრძანები ჰქონდა, სასწრაფოდ წამოეწიოს პოლკოვნიკს. დამალვა უცდია, რომ თავი აერიდებინა ამ საქმისთვის....

მღვდელი ამ სიტყვებზე წამოდგა და გამოეთხოვა კნეინას.

– ესეც არ იქნება სამართლიანი, რომ ის ასე ოცდაათმა სამხედრომ ჩაკლას იმის გამო, რომ ძმას დაემებს... მისი ცოდვისა კი მე ვიცი და არა იმ ვინმე პოლკოვნიკმა... – თქვა

მღვდელმა, – ბატონს შეუძლია რამე შეიტყოს მაინც, ანდა რაღაც სამართალი მოითხოვოს. ამას სჯობდა არ გამოეშვათ... ეს იქნებოდა სამართალი.

მღვდლის ამ სიტყვებს კნეინა უკვე ვეღარა ხვდებოდა, ისეთი აღშფოთებული იყო.

– ღმერთმა დაგლოცოთ, ბოდიში ამ შემოვარდნისთვის, – თქვა ნიმოს მღვდელმა და წავიდა.

ერისთავებს ისევ თავისი ნათლულის საქმეში მოუჩანდათ გახლართვა.

კნეინას საფიქრალი ეს იყო, როგორ გაეღვიძებინა ქმარი? ან რა ფეხზე წამოდგებოდა, ან რა გუნებაზე?

40.

წოწორია სკვამი ნელი ნაბიჯით, უდარდელი იერით მიუყვებოდა რუსების ქუჩას.

ქუჩა ფართო არ იყო, ამიტომ წამოფარებული ხის ტოტების გამო ადგილ-ადგილ გვირაბსაც კი ჰგავდა. მთელ თავის საბრძოლო და საუკეთესო აღკაზმულობაში ჩამჯდარი სკვამი რატომღაც უცხენოდ იყო: ცხენი ქუჩაზე შემოსასვლელ საგუმაგოზე მიება, ჯარისკაცებისთვის ეთხოვა, მიმიხედეთო და ცოტა თუთუნიც მიეცა მათთვის.

ჯარისკაცებს წოწორია სკვამი აქაური თავადი ეგონათ და ბევრჯერ ენახათ პოლკის ქუჩაზე, აბა ვინ იცოდა, რომ ერთი ლატაკი აზნაურიშვილი იყო, რომელმაც თავისი წვალებით მოიპოვა ქონება.

წოწორია სკვამი დინჯად მიდიოდა, არემარეს შეთვალეირებით. პოლკოვნიკის სახლს რომ უწია, მედიდური ნაბიჯით დაიძრა საგუმაგოსკენ და ჯარისკაცებს გააგებინა, მებაღე, ანდა ეგებ თვითონ ხაზეიკაც გამოიყვანეთ, საქმე მაქვს ადრევე შეპირებულიო.

მებაღე გამოვიდა, ევლამპიჩი, ძველი რუსის კაცი, წვერით, წითელ ხალათში. ყოჩაღად მოდიოდა. ისიც იცნობდა წოწორია სკვამს და მის გონებაში განსაკუთრებულ ვინმედ დარჩენილიყო.

აზნაურმა მებაღეს მოახსენა, რომ განთქმული ბაღებიდან საჩუქრად ჩამოუვიდა იქაური საუცხოო ხეხილის ნერგები და თუკი ისინი მოინებებენ, შეუძლია იაფად მიჰყიდოს.

ევლამპიჩი თავისით ვერ გადაწყვეტდა ამ ამბავს და წოწორია სკვამი ეზოში შეიპატიჟა, თავისი ფიცრულისკენ გაუძღვა და გრძელ სკამზე მიუთითა, აქ დამელოდეთო, თავად კი დიდის მოკრძალებით გასწია ქალბატონ პასეს მოსანახულებლად.

წოწორია სკვამს ადგილის მოვლილობა და სილამაზე არც გაჰკვირვებია: მიმოიხედა, ერთხანს ჩამომჯდარი უცებ წამოდგა და მათრახის ბარდაყზე მოხდენილი და რბილი ცემით მოჰყვა ვითომდა უდარდელ ბოლთას, რომელიც თანდათან დააგრძელა და მისახვევ-მოსახვევებიც გაუჩინა. თანაც თვალი სახლისკენ ეჭირა, ემანდ თვალთვალი არ დამიწყოს ვინმემო. ასე გავიდა უკანა ეზოსკენ და იქაურობა მშვიდად მოათვალიერა, გადმოხურული ფანჩატურის მიდამო დაზვერა და უკანისკენაც წამოვიდა, სახლის კედლებს ახედ-დახედა და მებაღის ფარდულთან დაბრუნდა. იქ

ჩამოხდა და ქამრიდან ყალიონი ამოაძრო, აქაოდა, იმდენ ხანს ვიცდი, რომ გაბოლებასაც მოვასწრებო.

სწორედ ამ დროს დაბრუნდა ევლამპიჩი და წოწორია სკვამს უკანა ეზოში ფანჩატურისკენ გაუძღვა, ქალბატონი თავად მოვა და მოგახსენებს თავის აზრსო.

ეს მთლად უკეთესი იყო. წოწორია სკვამი ჩამოჯდა ფანჩატურში და ყალიონის გამართვას მიჰყო ხელი, ევლამპიჩმა კი ის ბალთა დიდ მცოდნედ მიიღო და უწყო თხრობა თავის ნერგ-ნათესა შესახებ, საიდანაც წოწორია სკვამს უმეტესი ნაწილი არ ესმოდა. მერე ღობეებისკენ წაიყვანა, პატარა ყვავილები და კედელს ამოდევნებული სულ უცხო სუროები აჩვენა, აი, ნახე, გაის ამ დროს რამხელები იყოსო. წოწორია სკვამი თავს უქნევდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე რუსებთან ლაპარაკისას. მერე კი ქალბატონი პასეც მობრძანდა, უკანა მხრიდან გამოვიდა და წოწორია სკვამმა ქართველური სალმით ჩაქინდრა თავი, მანამ, სანამ ქალმა ხმა არ ამოიღო და ისევ ფანჩატურში არ შეიწვია.

ქალბატონი პასე მოსაწყენი ადამიანი გამოდგა, წვრილად გამოიკითხა ნერგების წარმომავლობა და რაობა, ეამა ალუბლისა და ატმისააო, რომ მოხსენდა, თუმცა ეს უკანასკნელნი წოწორია სკვამმა რუსულად ვერაფრით გამოსთქვა, მიახვედრა კია.

მერე ქალბატონმა ბალის შემოვლა გადაწყვიტა, რათა ნერგებისთვის ადგილი ეპოვა, წოწორია სკვამმა კი ურჩია, ეგებ სწორედაც სახლის შორიახლოს, უკანა ფანჯრებთან ჩაირგოს ეს ნერგები, რათა მალე ფანჯრები დაამშვენოსო, პირდაპირ შემოვიდეს ტოტები შინაო, თანაც ფანჯრებში იჭვრიტებოდა, სრულიად შეუმჩნევლად. მერე ქალბატონმა პასემ სახლს შემოუარა, წინა ფანჯრები მოათვალიერა. წინიდან სახლი უფრო მაღალი იყო და ფანჯრებიც მაღალზე ჰქონდა, გვერდით მხარესაც ოთხი ფანჯარა იყო და მათ ძირას კი ყვავილნარი.

დიდხანს იხილავდნენ ამ საკითხს და მერე წოწორია სკვამი კვლავაც ქართული სალმით გამოეთხოვა ქალბატონს, დიდი პატივია ჩემთვის, რომ თავად დამაფასეთო.

ის წამოვიდა ასეთივე ნელი ნაბიჯით, მხოლოდ კი საგუშაგოზე, ჯარისკაცთათვის გასაკვირად, ბიჭივით მოახტა ცხენს და გააჭენა.

ნერგების თადარიგი დილითვე დაექირა, შეპირებული ჰყავდა ერთი გლეხკაცი.

41.

როცა უღელტეხილს გადადიოდა, ბადუნა ფავნელი ფიქრობდა, რომ ძალიან გაუჭირდება თადიას პოვნა.

სიმართლე რომ ითქვას, არ ეგონა, რომ თადია აქეთ გადმოვიდოდა. აქეთის არაფერი იცოდა და არც ევლო. თითქოს ეგონა, რომ აქეთ სხვა ენით უნდა ელაპარაკა. თადიას სვლის ამსიშორობა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ებრაელმა სწორედ ასე ურჩია, თუ კაცი დაძრულია, ის აღარ გაჩერდებაო.

იერთ საბრალო ებრაელი იყო, გამხდარი, ჩამოჩანანაკებული, შავები ემოსა, სულ დაცვეთილები, მაგრამ დაატყობდი, მტკიცედ ნაკემსები. იქავე, ფარდულის დახლზე ნახშირით დაუხატა საქართველო. ისე უცბად და ისე იოლად, რომ ფავნელი გაოცდა.

რა მეგონა ქვეყანა და რანაირი ყოფილაო. ეს გაოცება არ გამოუხატავს, მაგრამ ყურადღებით უსმინა ებრაელს, გოგია ნუკრადის ხელისდამცლელს. გოგიაზე არ ულაპარაკიათ, რალაცნაირად ისე გამოვიდა, რომ ებრაელმა აქამდე არ მიიყვანა.

– უბედურება ერთი წამია, მეტი კი არაფერი, – თქვა ებრაელმა, რომელსაც ძალიან გრძელი გაფარჩხული წვერი ჰქონდა და ქუდქვეშიდანაც მოუჩანდა ასეთივე თმა.

ნახშირით დახატა, სულ იოლად. ამ ამბავში კი გაარკვია, მაგრამ სადავიდარაბო სხვა იყო: თადია, თუ ის თადია იყო, ცხენით ენახათ. ებრაელის ნაცნობი სხვა ებრაელი თურმე ასე იფიცებოდა. ვნახე ასეთი ახალგაზრდა კაცი ბაზრობა დღეს, ცხენზე ამხედრებული და ნამდვილად მუნჯიო. სწორედ აქ ენახათ დღე-ნახევრის წინ, მაგრამ ცხენი საიდან უნდა ჰყოლოდა, ძნელი სათქმელია. ბადუნა ფავნელმა ესეც იფიქრა, ხო არ წაწყდა ჩემი უმცროსი ძმა, ხომ არ მოიპარაო. ამასაც მიხვდა, რომ ებრაელებს ასეთი რამ არ ეშლებათ: ის მუნჯი ნამდვილად თადია იყო. და სდიე ახლა ცხენიან თადიას უცხო მხარეში, თან ისე, რომ შენაც მოგდევენ.

ებრაელმა მაინც სიჩქარე და გზადაგზა კითხვა ურჩია. პირდაპირ კი არ ურჩევდა, რალაცნაირად ირიბად გამოთქვამდა აზრებს, ისე, რომ იმათ ვერ წაუხვიდოდო. თავიდან ბოლომდე ყველაფერი იცოდა ფავნელების ამბისა, გასაკვირლად ბევრი და საიდან, აბა ვინ შეიტყობდა. გოგიას რა უნდა შემოეთვალა, ანდა რა უნდა ეამბნა, რომ ებრაელს ასე ზუსტად სცოდნოდა. კი არაფერი უთქვამს, მაგრამ იმის ნალაპარაკევით მიხვდებოდო, რომ ყველაფერი იცოდა. იჩქარეო, ასე უთხრა და ასეც დაამატა, აწი გასაქცივი აღარაფერია, სულ დასავლეთით უნდა იარო და მერე ზღვასაც მიადგები, მაგრამ ჯობია ზღვამდე იპოვო, ვისაც ეძებო.

ზღვის ხსენებაზე მეიდნელი ფარვიზა გაახსენდა ბადუნა ფავნელს, იმის ნალაპარაკევი ზღვის თაობაზე, ზღვა ღმერთს ჰგავსო, რატომღაც რომ თქვა და ისეც ააღელვა ამ ფიქრმა, ეს მეორე კაცია უკვე, ვისაც ისე გამოსდის ჩემთან თადიაზე ლაპარაკი, რომ თითქოს იცის, ვერ ვიპოვი და ზღვას მივადგებო.

ეს ცუდ ნიშნად ჩათვალა ახალგაზრდა ფავნელმა, მაგრამ ნიშანზე დევნას მაინც არ შეაჩერებდა, უკან მოხედვაც კი არ უნდოდა, რადგან უკან კარგი არაფერი ელოდა, იცოდა, დაეძებდნენ და მოსდევდნენ.

ებრაელმა ჯარის საგუშაგოების ადგილებიც აუხსნა, ოღონდ ბადუნამ ყველა ვერ დაიმახსოვრა და ურჩია, ისეთი მხარეებია იქით, რომ მხრის ცვლა სულ იოლია და პირველს ამას ეცადე, რომ მხარი არ გეცვალოს, სწორზე გაჰყევ, მთაში არ მიხვიდე, მთა იქ ტყიანი და ჩალანდულია და იქიდან გამოლწევას კი ცოდნა უნდაო. ყველა ადგილი ჩამოუთვალა, სადაც ჩამოჯდომა შეეძლო უხიფათოდ, ცხენის დასვენება და ჭმევა და მათგანაც ბევრი ვერ დაიმახსოვრა ბადუნამ, რადგან უკვე ფიქრით იქით იყო, იმ უცოდინარ ადგილას.

ახლა ფიქრობდა, რომ სჯობდა მშიერს და მოქან-

ცულს ევლო იმ დღეს, ვიდრე ფეთიას დუქანში ჩამომხდარიყო. მაშინ არც დამალვა მოუწევდა, არც ის ეცოდინებოდა, რომ მაინცდამაინც რუსების რაზმეული მოსდევს. ბადუნა ფავნელს ახლაც ეგონა, რომ მალევე დაეწეოდა ძმას. ახლაც ძალიან უკვირდა ამ უცხო ადგილების შემხედვარეს და ფიქრობდა, ნუთუ თადიას არაფერი აოცებდა დედამიწის ზურგზე? ნუთუ არ ფრთხილობდა, არ ეშინოდა?

უღელტეხილზე ღამით ვერ იარა ბადუნა ფავნელმა. ერთგან დარჩა ღამის გასათევად, ერთ გლახკაცთან, რომელსაც საქონელი გადმოერეკა და არ ესწავლებოდა, როგორ შეინახოს კაცი, რომელსაც ალბათ მოსდევენ. რომელ გლახკაცს ესწავლება ესა?

უზარმაზარი სურათი იყო: როცა ერთი მთის წვერს უწია და იქედან გადახედა უცნობ ქვეყანას, ბადუნა ფავნელმა იფიქრა, რომ მას ვერასოდეს იპოვიდნენ, ვინაიდან ასეთი პატარა იყო ამხელა მიწაზე.

გზა გვერდზე დარჩა, გზის გაყოლებაზე მიდიოდა, მთისძირზე.

42.

წოწორია სკვამმა დიდის ხალისით მიიტანა ნერგები მეორე დღეს. ამჯერად ამხედრებულმა ჩაიარა რუსების ქუჩაზე, გვერდით კი მსახური მოჰყვებოდა ზურგზე მოკიდებული ოთხი ნერგით.

ქალბატონი პასე ამჯერად აღარ გამოსულა, ევლამპიჩმა მიიღო და ნერგებიც ტკბილად ჩამოართვა. მეზაღემ ამ ნერგების ფასი იცოდა და წინა დღით არ ულაპარაკიათ, მაგრამ ახლა ძალიანაც გაუკვირდა, რომ ამ აზნაურმა ფულის აღება საერთოდ გადაიფიქრა, რას ამბობ, მომწონს თქვენი ქუჩა, მომწონს ეს ეზო და ამიტომაც საჩუქარი იყოსო. ესეც არ იკმარა და ცხენს გადაკიდებული ხურჯინიდან დიდი უფერო ბოთლი ამოაძვრინა. ლიტრიანი იქნებოდა, აი, სწორედ ამ ნერგების მსგავსი ხეხილისგან გამოხდილი ჩემი შინაური არაყი პირადად შენო. ევლამპიჩმა საჩუქარი სამეფო გაქანებისად ჩათვალა და მოსთხოვა წოწორია სკვამს, რომ ერთად გაესინჯათ. როგორმე სხვა დროსო, უთხრა წოწორია სკვამმა, მაგრამ ევლამპიჩმა არ დაიშალა, ცხენი მსახურ ბიჭს მიაბარეს და მეზაღის ფიცრულში განმარტოვდნენ. იქ კეთილმა მოხუცმა ამოიღო და დაჭრა თავისი ბასრი საბაღე დანით გემრიელად შეკმაზული ქონი, ცოტაოდენი ხახვი და სხვა რამ უბრალო საკვები. მხოლოდ სამიო, ვითარცა სამეზაო, შესთხოვა წოწორია სკვამმა და მესამე რომ გამოცალეს, პოლკოვნიკის ცოლის ქება დაიწყო, ფრიად მოწონებული მყავსო. ევლამპიჩი იმით იყო გახარებული, რომ ასეთი ღირსების ადამიანთან სვამდა და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წოწორია სკვამი კმაყოფილი გამოვიდა იმ ფიცრულიდან, შეათვალა კიდევ ერთხელ სახლი, ევლამპიჩს მხარზე ხელი დაჰკრა და წამოვიდა სიტყვებით, მიმსახურე, თუკი რაიმე დაგჭირდეს, ისედაც გეცოდინება, ამ ადგილებში უჩემოდ ბევრი არაფერი ხდება, თვით კაპიტანი ამკოვსკიც კი დახმარებას მე მთხოვსო.

მერე ბიჭი შინ გამოუშვა წოწორია სკვამმა და თავად ზღვისპირისკენ წავიდა. დიდხანს იჯდა იქ, პირით ზღვისკენ და კენჭებსა და ქვებს ალაგებდა აქეთ-იქით დინჯად. ისე ექცეოდა ამათ, რომ კაცი იფიქრებდა, ჭადრაკს თამაშობსო. ჭადრაკის არაფერი იცოდა წოწორია სკვამმა, კენჭები და ქვები კი სჭირდებოდა. მერე ცას უყურებდა, ამინდი უნდოდა. იფიქრა, გაზაფხულია, მოვარდნა იცის ხოლმეო. მერე კი ცხენს დაუძახა და სანაპიროს ჩაუყვა, ზედ ტალღის პირზე მიაჭენებდა და ათვალა იერებდა. აქ თავისთვის უცხოს ველარაფერს იპოვიდა, მაგრამ რა იცი, რა იფიქრო, როცა ნაცნობ რაღაცას კიდევ ერთხელ შეხედავ.

მერე პირდაპირ სახლისკენ გამოაჭენა.

ცოლმა მაშინ დაინახა, როცა აივანზე იჯდა და მუხლებზე ედო მისი საქსოვ-საკერავის დიდი ყუთი, სავსე ნემსებით, ძაფებით და სხვა წვრილმანებით.

ამან ქალი გააოცა. ის კი ჩაჰკირკიტებდა ყუთს და უცნაური ჩანდა მისი ღონიერი თითები, მორგებულსა და კოჭებში ჩაფლული.

– რა გაგება? – ჰკითხა ცოლმა.

– რაღაც არ დამავიწყდეს, – თქვა წოწორია სკვამმა, – შევიბამ ძაფს და მეხსომება, რუსების საქმეა რაღაცა...

ცოლს გაეღიმა და შინ შევიდა. წოწორია სკვამმა ძაფის ერთ კოჭას სინათლეზე გახედა, მერე ცოტა მოაწყვიტა და ყუთი დახურა.

– მოდი, მომისმინე, – დაუძახა ცოლს, – მოდი შემაბი ეს... – ძაფს კიდევ წააწყვიტა ცოტა და მუჭში შეინახა.

ცოლი ოთახიდან გამოვიდა და ძაფი ჩამოართვა.

– მოიგონებ რაღაცას პატარა გოგოსავით.

წოწორია სკვამმა ამოიხვნეშა და მაჯა მიუშვირა ცოლს.

– ოსმალში უნდა გავიდე, – თქვა ხმადაბლა.

ცოლმა შემოხედა, ძაფი გაუშეშდა ხელში.

– ოსმალში ვარ გასავლელი უსიკვდილო საქმეზე. ახლა გამოზაფხულდა და არაფერი გიჭირს.

– ამ ომიანობაში რა ოსმალში უნდა გახვიდე? მოგაჭრიან თავს, – თქვა ცოლმა.

– მისმინე ახლა ტკბილათ... ოსმალში უნდა გავიდე უსიკვდილო საქმეზე. ნავი მოვა და წავყვები ამ კვირას, – წოწორია სკვამი თვალეზში უყურებდა ცოლს და ისე ამბობდა ამ სიტყვებს, – დამაგვიანდეს იქნება იქედან უკან გამოსვლა. უპატრონე ბურღლუნიებს... ჰე, შემინასკვე ახლა, რას გაჩერდი, – მაჯა შეარხია წოწორია სკვამმა, – ახლა მოდი, ჩახედე რაც რამე დავთარი მაქ.

ცოლი არ განძრეულა. არც ძაფი შეუბამს.

– სად მიდიხარ, სკვამი? – ჰკითხა უფრო შიშით, – როდის მოხვალ უკან?

– ე ბიჭო, შემაბი... – თქვა წოწორია სკვამმა, – მოსამთავრებელია, რაც მოსამთავრებელია... ოსმალში უნდა გავიდე... მოდი, მოდი, მერე ეგება აღარც იქნეს დრო და, მოდი, გითხრა მამულის და შემოსავლის... დავბერდი, ვერ ხედავ?

43.

პოლკოვნიკი ენკელი გიჟივით მოაჭენებდა.

ცხენებს იცვლიდა, არც თვითონ სუნთქავდა და არც სხვას ასუნთქებდა. მოჰქროდა თავდავიწყებით, წყევლით და კრულვით, არ ლაპარაკობდა, მხოლოდ წყალს სვამდა

საგუშაგოებზე და ერთიც არ უთქვამს მხლებლებისთვის, ჩავიმუხლოთ, შევისვენოთ, წავიხემსოთ და გზა განვაგრძოთო. პორუჩიკი მანველოვი ხედავდა მხოლოდ მის ზურგს. პოლკოვნიკი ასი ნაბიჯით წინ მაინც იყო ხოლმე თავისიანებზე. როგორ გამოსდიოდა ეს, არავინ იცოდა, არც ვინმე ზოგავდა ცხენს და თავს, მაგრამ პოლკოვნიკი მაინც წინ იყო. ორი ღამე და სამი დღე გავიდა ამ გადარეულ რბოლაში. არაფერი შეუმჩნევიათ და დამახსოვრებიათ, გამხდრები და მშივრები იყვნენ, ხოლო ცხენები, ასე ნაცვალი, თითქოს დაპატარავებულიყვნენ. მანველოვი გრძნობდა, როგორ პატარავდებოდა ანდა საერთოდ ქრებოდა ცხენი მის ქვეშ.

ტბასთან საგუშაგოზე ერთი პორუჩიკი შემოეგებათ ჯარისკაცებით. პოლკოვნიკ პასეს დანაბარები გადმოსცა, სთხოვა ამოესუნთქათ და პოლკოვნიკი პასეც მალე მოვიდოდა აქ, მაგრამ პოლკოვნიკმა ენკელმა აღარ დაიშალა და ამდენი ხნის ნაჭენებმა გზის გაგრძელება უბრძანა პორუჩიკს.

მტვრიანები იყვნენ, რაღაცნაირად გამომშრალები. ერთ ოფიცერს ხუმრობის თავი შერჩენოდა და თქვა, ისე ვაჭენებდით, როგორც ჩინგის ხანი, მგონი ჩვენს თავს აღარ ვგავართ, სახეები გაგვიმონღოლდაო.

პირდაპირ ზღვისკენ მოაჭენებდნენ და გრძნობდნენ სისველეს იმ გამთენიისას.

44.

შელამებულზე ბადუნა ფავნელი მივიდა მალაკნების სოფელში, სადაც რძე და პური აჭამეს.

მას აღარაფერი უკითხავს თადიას გამო და არც ღამის გასათევი უთხოვია. ჭამა მშვიდად, ერთი მალაკნის ეზოში, დატოვა ფული და წამოვიდა ისე, რომ ვერც შეამჩნიეს თეთრთავსაფრიანმა ქალებმა, რომლებმაც რძე და პური მისთავაზეს.

მოჩვენებასავით იყო, მერე ასე თქვეს იმ ქალებმა, ოღონდ კარგი ჩაცმულობა ეტყობოდა და რაღაცით გაწვალეზულმა თითქოს აღარც იცოდა, რა გზას დადგომოდაო.

ყველაფერი სწორად თქვეს.

მთებს აქეთ გადმოსვლამ რაღაც დამართა ბადუნა ფავნელს. თითქოს ძალა გამოეცალაო, უფრო კი იარაღი. სიზმარში რომ ცუდი ამბავი შეგემთხვევა და ხანჯალზე რომ გაისვამ ხელს და სადაა ხანჯალი, მარტო ქარქაში გქონია შებმული.

რაღაც ასეთი დაემართა.

ქედს გადაღმა ყველაფერი იცოდა ახალგაზრდა ფავნელმა, ქედს გადმოღმა – აღარაფერი.

მიდიოდა და არ იცოდა, სად მიდიოდა. იცოდა, რომ თადიას ეძებდა, მაგრამ რას ეძებ სიბნელეში? ტყეში ჩამომჯდარი ფიქრობდა ასეთ რამეზე და უცებ ისიც კი აღმოაჩინა, რომ თავის წარმოდგენაში უკვე ბუნდოვნად ხედავდა თადიას სახეს, თითქოს რაღაც დავიწყებოდა. და განა მარტო თადიას, ყოველ ძველსა და ნაცნობ სახეს ჩრდილი ადგა, რაღაცნაირად, ბოლომდე არ იყო. დასწყევლოს ღმერთმა, სიშორის ბრალი გამოდიოდა თუ გამოურკვევლობის, რომელშიც ჩავარდნილიყო? ახლა იმას ფიქრობდა, თვითონ

რომ ასეთ გამოურკვევლობაში იყო, როგორღა იქნებოდა თადია, თუ კი ქედს აქეთ გადმოვიდა? გადავიდაო, უთხრა იმ ებრაელმა, გადასულიაო. მაგრამ სისწორე? მაგრამ გზა?

ფარვიზა მართალი ყოფილიყო: ბოლოს მართლა ზღვა გამოჩნდებოდა. თუ ივლი იქეთ, სადაც მზე ჩადის, ბოლოს ზღვას მიაღვები. და რამხელა უნდა იყოს ეს ზღვა? მართლა ღმერთისხელა ხომ არ იქნება. იმის ნაპირს მთელს სიგრძეზე გაჰყვება და გამოჰყვება ბადუნა ფავნელი, ივლის დღითა და ღამით, გამოიკითხავს, მოიცდის, არ დაიღლებს და თუკი საბრალო თადია გამოაგნებს გზას, ბოლოს ისიც იქ მოვა. და მერე წამოიყვანს ბადუნა ფავნელი უკან თადია ფავნელს.

და მერე?

მერე გამოჩნდება. ხვალემ იკითხოს ხვალისა.

ახლა იმას ლოცულობდა, რომ თადია სადმე არ ჩაჩეხილიყო, თავი არ დაეკარგა.

მაინც ფიქრობდა, რომ თადია ჭკვიანი იყო. გზებისა იცოდა. მისი ფიქრები ხომ გზა იყო, მეტი არც არაფერი.

და ბადუნა ფავნელმა იფიქრა, რომ ვერასდროს დაეწეოდნენ პოლკოვნიკის კაცები და წამოდგა, ცხენს მიეფერა ნაჩქარევად და ამხედრდა.

45.

- ა, წაუყვანია კატას, - თქვა აივანზე გამოსულმა ცოლმა, - რო არ დამიჯერე.

ადრიანი დილა იყო. წოწორია სკვამი შვილიშვილების საწოლის კიდეზე ჩამომჯდარიყო და მძინარე ბიჭებს დასცქეროდა.

- ხოო, - თქვა თითქოს თავისთვის, - რაც არ გერგება, არ შეგერგება...

და გამოვიდა გარეთ და საკეტგამომძრობილ გალიას შეავლო ხელი.

- გაულია დაწყევლილს, - თქვა წყნარად, - მაჭამე რამე, ურმები მოდის დღეს... ამ რუსებს გამოვართვათ, რაც გამოსართმეველია.

მერე წოწორია სკვამი ეზოში ჩავიდა და ცოლმა ერთი ხნის მერე გაიგონა დამახილი: - ჩამოდი, ერთი ჩამოდი... ბიჭი სადაა?

- წავიდა, - გადმოხედა ცოლმა, - გავგზავნე...

- ჩამოდი, ჩამოდი.

წოწორია სკვამი ხალათშემოსხმული, ფეხშიშველა იდგა სახლის გვერდით, თუთის ძირას.

- ოსმალში რო უნდა გავიდე, ხო გითხარი, - მიხედა ცოლს, - ახლა მომისმინე. მამულში რაც არი, ისეა. იმას ვერ დაძრავ. აგერა, - თუთის ძირას დასვენებულ დიდ, ტკბილად ჩამოსაჯდომ ქვას გადაკრა წამით თვალი წოწორია სკვამმა, - აგერა, ამ ქვის ქვეშ კაი თბილი სამი ქოთანია ჩაფლული. გაგიჭირდეს - მიადექი, ოღონდ არავინ დაგინახოს. ძველი ოქროა აქ, კაი ოქრო. ბურღუნებისთვის შენახული...

– ახალ ამბავს მეუბნები, – თქვა ცოლმა და რატომღაც ჩაიმუხლა ჯერ კიდევ ნამიან ბალახზე, თითქოს წაიქცა და თავი შეიმაგრავს, ისე.

– იცოდი? – გაეცინა წოწორია სკვამს.

– კი... ღამე თხრიდი... როდის... აღარ მახსოვს.

წოწორია სკვამმა ჩაიცინა: – ხოდა, მეტი არც არაფერი... მიადექი, ოღონდ ჭკუით. ბიჭს არ გაატანო და არ გააგებინო...

– სად მიდიხარ სკვამი? – ამოხედა ქალმა და წოწორია სკვამმა თვითონაც ჩაიმუხლა.

– სხვა ყოფილა სიბერე. სხვა... საქმეზე მივდივარ... ვერ ვამბობ როდის მოვბრუნდები და... არც მომელოდე ისე, დღეს გამოჩნდება, ხვალ გამოჩნდებაო...

შუბლები მიადეს ერთმანეთს და ასე იყვნენ.

– შენს იქით არ მყოლებია და არც მქონებია არაფერი, – თქვა ხმადაბლა წოწორია სკვამმა... – სანამ აქეთ ვარ, ვერ მოისვენებ შენც... – მერე უცებ შეიცვალა ხმა და წამოიმართა, – პირველ ჯერზე ხო არ წავსულვარ? ჩემი წასვლა გაგიკვირდა? დაკარგული რო ვიყავი წელიწადი და რო გამომიტირე, არ გახსოვს? ჰე, ჰე, ადექი ახლა... ურმებია დღეს მოსასვლელი, მიუთრიო იმათ თავისი მისათრევი და ფარაა ესეც.

– მტრედი კატამ წაიყვანა? – ჰკითხა უცებ ცოლმა.

– რა ვიცი მე მტრედის, მემტრედე ვარ თუ ვინ ვარ? მოაშორე გალია, აღარც გაახსენდებათ ბურდლუნიებს, რო გაიღვიძებენ...

46.

ეკატერინა კარლოვნა ენკელი სასურველი ბარიშნა გამოდგა პოლკში.

ის რომ არ ხსომებოდა, რატომ გადმოისროლა მამამ ამ ზღვისპირეთში, ქალიშვილი მშვენივრადაც გაერთობოდა. ოღონდაც სულ ახსოვდა, რომ აქეთ მამის უაზრო ბობოქრობათა გამო იყო წამობრძანებული და ფიქრობდა კიდევ, ნუთუ ადამიანს მეტი ნდობა არ უნდა ჰქონდეს გარშემომყოფებისა, რომ ასეთი სისულელე არ ჩაიდინოსო.

ეკატერინა ენკელისთვის დედის გარეშე ნაბიჯის გადგმაც კი აეკრძალათ, მსუბუქად მეგობრობდა პოლკის სხვა თანატოლ ბარიშნებთან და თვით რუსების ქუჩის რომელიმე სახლში სტუმრად მყოფიც კი შინ მარტო არასდროს ბრუნდებოდა, ყოველთვის ელოდა პასუთა მოახლე, რომელსაც, ღმერთმა იცის, რაგვარი დაცვა შეეძლო მისი.

თავიდან ყველაფერი პირქუშად იყო: აბა რა სიამოვნებაა ზამთარში ზღვის პირას ცხოვრება, მაგრამ მზემ ყველაფერი შეცვალა და ეკატერინა ენკელი ცოტა არ იყოს და ძნელი მოსავლელი შეიქნა, რადგან ვითარცა თფილისში გადაადგილდებოდა თავისუფლად და ლაღად თავის მეგობრებთან ერთად და მიჩვეული იყო მდინარისპირა ჩასეირნებებსა და სალონებში ახალგაზრდულ ჟღურტულებსა და ფლირტებს, აქაც იმავესკენ გაუწია უეშმაკო გულმა, რაც ქალბატონი ენკელისთვის

საკმაოდ სამღელვარო გამოდგა, ვინაიდან ქალბატონ ენკელს სულაც არ უნდოდა, რომ მისი ქალიშვილი რაიმე დამაფიქრებელს გადაჰყოფდა აქ ახალგაზრდა ოფიცერთა სახით. ამიტომ, ყველანაირად ცდილობდა, რომ ქალიშვილისთვის მოქმედების სილაღე შეეზღუდა. ეს უკანასკნელი კი მოწყენილობას უჩიოდა და დედას თვალისში დაბრუნებასაც კი სთხოვდა.

პოლკოვნიკ პასეს ისედაც მკაცრი წესები ჰქონდა სახლში, იშვიათად იყო, რომ რომელიმე ახალგაზრდათაგანი ვახშმად მოეწვია. ექიმ ისტომინის ცქერით კი ეკატერინა ნამდვილად ვერ გაერთობოდა.

დედა ცდილობდა, რომ მკაცრი იერი შეენარჩუნებინა, თუმცა, სინამდვილეში ბევრს არაფერს უკრძალავდა. საპოლკო ქუჩის გარეთ სეირნობა ოფიცრის თანხლების გარეშე ისედაც წარმოუდგენელი რამ იყო, მაგრამ ეკატერინა ენკელი ქუჩის უკვე ბევრ სახლში ქცეულიყო სასურველ სტუმრად. თვითონ ამას სულ ოდნავი, ერთი ციცქნა ამპარტავნებით უცქერდა, ალბათ მიაჩნდა, რომ ამ მივარდნილ ადგილას ყოფნით და თავისი საზოგადოებით საკმაო რამეს ჩუქნიდა აქაურ ოჯახებსა და მარტოხელა ოფიცრებს, რომლებიც უაღრესად ყურადღებიანნი და სათნონი იყვნენ მის მიმართ, რასაც ქალიშვილი ნაჩვევიც იყო და ჯეროვნადაც იღებდა. ოღონდ კი ფრთების გაშლის საშუალება მაინც არ ჰქონდა: პატარა და ვიწრო ადგილი იყო და ერთ ფრთების გაშლას შესაძლოა აურზაურიც გამოეწვია. რასაც, რა საკვირველია, ეკატერინა ენკელი ვერ ხვდებოდა, მაგრამ არც შესაძლებლობა მისცემია, რომ ფრთები გაეშალა.

ეკატერინა ენკელი სულაც არ იყო უჭკუო ქალიშვილი, ოღონდაც ქალბატონ ენკელის თქმისა არ იყოს, მაინც სრულიად ბავშვი გახლდათ თავისი გამოცდილებითა და ქცევით. საწოლ ოთახში ბლომად წიგნები ელაგა, მაგრამ ქალიშვილს უფრო ლაღი ფიქრები იტაცებდა, ვიდრე წიგნები. ერთხელ, ღამით, ერთი რომანის კითხვისას ისე შეეშინდა, რომ წიგნი მოისროლა.

იქ აღწერილი იყო, როგორ დაატუსაღებენ მტრები ერთი ქალიშვილის მიჯნურს და სიკვდილის განაჩენსაც გამოუტანენ.

47.

თავიდან ბადუნას ტბა ზღვა ეგონა და იფიქრა, რამხელა ყოფილაო. ტბა კი ენახა ადრე და შიგ ხელიც გაესველებინა, მაგრამ ამხელა ტბა ნამდვილად არ ენახა. იქით ბოლო საერთოდ არ უჩანდა, ზემოდან რაღაცნაირი ნისლები ედო. ანდა როგორი სხვანაირი სუნი ჰქონდა ამ წყალს. ოღონდაც ფარვიზა მედუქნის ნათქვამივით არ იყო, კიდევები მაინც ჰქონდა. ძალიან შორს, მაგრამ მაინც დაინახავდი.

– ეჰო... აბა, ვისი ხარ? – შემოესმა ჩაფიქრებით ჩამომჯდარ ბადუნას და შეხტა, წამსვე დამბახას იტაცა ხელი.

წოწორია სკვამი თევზზე იყო აქეთ, შეპირებული ტბის თევზი უნდოდა: ამინდი მოდიოდა, მზე კარგი იყო, თევზის ხმოვა უკვე შეიძლებოდა. ამ ჯერზე ბევრი ჰქონდა დაბარებული, დიდი ხურჯინით აჰკიდა ცხენს და უკვე წარმოიდგინა, როგორ უნდა ედარაჯათ, რათა ფრინველი არ დახვეოდა მალლა გაკიდულ თოკებზე აცმულ თევზს, თორემ კატები მას ვერ შესწვდებოდნენ. მიიტანდა შინ და დასვამდა ბიჭს და მოახლე

გოგოს იმათ გამოსაშიგნად. მერე კიდევ გააბამდნენ, ბურდღუნები დიდად იხალისებდნენ ამის გამო.

– ის კაცი ვინ არი? – ჰკითხა უცებ მეთევზეებს, რადგან შორს, გვარიანადაც შორს, შავი წერტილი დაინახა. წერტილი ტბისპირზე ჩანდა.

– რა თვალი გაქ, სკვამი ბატონი, – თქვეს მეთევზეებმა.

– თვალი კი არ მაქ, რუსებისგან მაქ დავალებული, თუ ვინმე დაინახო უცხო და სხვანაირი, გვითხარიო.

მეთევზეებმა უნდოდ შეხედეს წოწორია სკვამს. განა არ იცოდნენ ვინ იყო? როდის აქეთ, რომ რუსების სამსახურს გაკიდებოდა.

– კი, მასეა, – კვერი დაუკრა სკვამმა, – თოფ-იარაღი თუ გაქვთ სახლში, რაზმეული უნდა შევადგინო...

მეთევზეებმა გაკვირვებით გადახედეს. წოწორია სკვამი კი ბიჭურად მოახტა ცხენს და შეუძახა მძიმე ხურჯინით დატვირთულს. მაღლა წამოვიდა, ვითომ შინ ბრუნდებო. მერეა გადაუხვია, ტყისპირს და ასე შემოვლით, უკნიდან მიუახლოვდა წერტილს, რომელიც სულაც აღარ იყო წერტილი, არამედ, ტბისპირა ღორღებში ჩამჯდარი ახალგაზრდა კაცი. ცხენიც იქავე იყო, შორიანხლოს და ეს მოეწონა წოწორია სკვამს, ვინაიდან ცხენს ნაჩვევობა შეატყო ამ უცნობს, უდარდელად გაშვება. თვითონაც ასე ჰყავდა თავისი ცხენი. ერთხანს ჩამოქვეითებულმა უმზირა ბუჩქნარიდან. მერე დამბაჩა მოიმარჯვა და თავისი უხმაურო ნაბიჯით უკნიდან წამოადგა თავს.

– არ გინდა დამბაჩა, – წოწორია სკვამმა სახეზე რომ შეხედა უცნობს, მიხვდა, რომ ლაჩართან და უბირთან აღარ ჰქონდა საქმე და დამბაჩა წელში გაირჭო.

– ვისი ხარ? – ჰკითხა ისევ.

ახალგაზრდა კაცი წამოდგა და თავადაც მიმალა დამბაჩა.

– ჩემი თავისა.

დაღლილი სახე ჰქონდა.

– აზნაური ხარ?

ზადუნა ფავნელმა თავი დაუქნია, წოწორია სკვამი კი უყურებდა და ზომავდა თავისი ნაპერწკალმომალული თვალით. ხედავდა მის დაღლილობას და რაღაც გასაჭირს.

– არ გივლია ამ ადგილებში? ეს ტბა პირველად ნახე?

ახალგაზრდამ ჩაიღიმა, ტბას გახედა: – ზღვა მეგონა... ზღვა საით არის?

წოწორია სკვამმა ხითხითი შეიკავა ცხვირში.

– არ გივლია აქეთ. ზღვა იქით არი.

– ამაზე დიდია?

წოწორიამ მოკლედ დაუსტვინა და ჩირგვებს იქედან მისი ხურჯინაკიდებული ცხენი გამოჩაქჩაქდა.

– კაი, აბა... – თქვა წოწორიამ და უნაგირს მოეჭიდა, რათა ამხედრებულიყო, – კეთილშობილი კაცი ჩანხარ... მოერიდე აქეთ... აქეთ რუსები ეძებენ ვილაცეებს, ე, იმ მხარეს მაგათი საგუმაგოა. გადაღმა ყაზარმები...

– ზღვა საით არის? – ჰკითხა უცნობმა.

წოწორია სკვამი უკვე ცხენზე იჯდა.

თითი გაიშვირა და უთხრა: – იქით, ყველგან ზღვაა... ისე... – და მსუბუქად შეახო დეზი ცხენს.

– იხარე, – დაადევნა ახალგაზრდა კაცმა და თვითონაც დაუსტვინა ცხენს.

ეს მოეწონა წოწორია სკვამს და უცებ მოუბრუნდა ცხენიდან და უთხრა: – მე წოწორია ვარ... აზნაურიშვილი... დაგიფაროს ღმერთმა, შენ ვინ ხარ?

– ბადუნა ფავნელი, – იყო პასუხი, – გადაღმიდან ვარ. ქართლიდან.

წოწორია სკვამმა უცებ ისე მოზიდა ალვირი და ისე გაახევა ცხენი, რომ ახალგაზრდა კაცს გაუკვირდა კიდეც. მაგრამ წოწორიამ გაიღიმა და თქვა: – შორიდან ხარ, ესე იგი...

ბადუნა ცხენს მიეფერა და მსუბუქად მოახტა.

– ახ, – შესძახა წოწორია სკვამმა, – მიყვარს მოხდენილი მხედარი... გაგახარებს ღმერთი, – და ღიმილით გადმოიზიდა უნაგირიდან, რათა ბადუნას ცხენს მიფერებოდა.

– საშიშია აქეთ, – თქვა უცებ პირქუშად, – წამოდი ჩემთან, ზღვასაც განახებ და... დაისვენებ ცოტას... აზნაურიშვილის ასე გაშვება არ იქნება...

48.

– ამაღამ საქმეში ვარ მე, – ეუბნებოდა წოწორია სკვამი ბადუნას, – ამაღამ საქმეში ვარ და ვერ გამოგყვები... მოისვენებ. არც ეგება, რო პირდაპირ გახვიდე ზღვისპირზე. შენი ძმის ამბავს კი გავიგებთ. ხალხს დავგზავნი, მოვიკითხავ ყველას... შენ მოისვენე. ზღვა არი იქით, ზღვის იქით წასული არ მინახავს, აქ დავბერდი...

მივიდეთ ჩემთან, ჩემი ბურღლუნები გეიტამაშებენ... დასვენება გინდა... შვილი მყავს მონატრებული, გადაიკარგა. დადიხართ, დადიხართ, ჭირი გაქვთ, ლხინი გაქვთ, მშობელი ვართ ჩვენ, აქეთ შფოთი გვაქვს... ჩემთან ერთად რომც დაგინახოს რუსებმა, არ იტყვიან არაფერს... ეჭვი არ მიუვათ...

ტყისპირ-ტყისპირ მოდიოდნენ.

ბადუნა ფავნელი ფიქრობდა კიდეც, ეს რა ენაჭარტალა ყოფილა ამ ხნოვანების კაციო. თადიას ამბავი ისე უამბო, მოკლედ, ორიოდ სიტყვით, მაგრამ იმისი თქმა მაინც მოუხდა, რომ სამხედროები ეძებდნენ.

ეზოში რომ შევიდნენ, წოწორია სკვამმა დასჭყვივლა, ბიჭო, სტუმარს ცხენი ჩამოართვიო და თუთის ხისკენ წაიყვანა ბადუნა. იქ ჩამოაჯინა და მოუბოდიშა,

მომთმინე ერთ წამს, ცოლი მოვიკითხო, ტაბლა ჩავადგმევინო და თევზი დავაბინავებინო.

ზადუნა იჯდა და უყურებდა ამ მშვიდ ეზოს.

წოწორია სკვამი კიბეზე აბრახუნდა და აივნიდანვე დაიძახა: – ქალო... ჩემო ქალო... – ხელი ჰკრა კარს და პირისპირ შეეჩეხა იქედან გამომავალ ცოლს. მკლავებში მოავლო ხელი, უბიძგა, ოთახში შეიყვანა და სრულიად გაშტერებული ჩაუვარდა მუხლებში.

– რა გჭირს, სკვამი, რა გჭირს... რა ჩაიფიქრე... რა სიკვდილი ჩაიფიქრე..

– დაილოცოს ღმერთის სამართალი... ღმერთმა დაინახა... მივდიოდი... მოგშორდებოდი. ჩემო ტკბილო, ჩემო უბედურო, – რაღაცნაირი ხრინწით და ქმენით ამბობდა ჩაჩოქილი, ქალის წელს ხელებით შემოხვეული წოწორია სკვამი, – ბინდიანზე თათრის ნავი მოვა და გავდივარ ოსმალში... მკვდარი ვარ შენთვის... ღმერთი, ღმერთი... ამდენი წელიწადი... მომისმინე და გამიჩერდი. ამ დღის გალევამდე გამიჩერდი... შენი შვილი მოვიყვანე... შენი შვილი მოვიყვანე, ღმერთმა გამომიგზავნა... ღმერთმა გამომიგზავნა, დაინახა ჩემი ფიქრი... ახლა გამიჩერდი...

ქალი ვერაფერს ამბობდა. ვერც მიხვდა, რას ეუბნებოდა ქმარი.

– მოვიყვანე... ტბის პირზე იჯდა... ღმერთმა მოიყვანა... ახლა არ გამოხვიდე. არ გამოხვიდე, სანამ მე არ წავალ... მოითმინე ეს დღე. ამდენი მოითმინე და ესეც მოითმინე...

ქალი ჩაიკეცა, უსიტყვოდ, უსუნთქველად, წოწორია სკვამი, ჩაჩოქილი ამაგრებდა ხელებით, ეხვეოდა, კოცნიდა და კრთოდა.

– ეს ბოლო მაჩუქე... ამხანაგი მოვა სათათრეთიდან. მოსულია უკვე... არ გამოხვიდე, სანამდე მე სახლში ვარ... არ გამოხვიდე. თუთის ძირში ზის... მოტრიალდა ყველაფერი...

ქალი იატაკზე იჯდა, ჩაებლუჯა წოწორია სკვამის დიდი ხელები და კვნესოდა.

– ღმერთო, შენ გვიშველე... ღმერთო... აქ დარჩება... მოითმინე ეს ნახევარი დღე.

ერთხანს ჩუმად იყვნენ, ძალაგამოლეულები.

მერე ქალი წამოდგა და უთხრა: – მიდი, მიხედე სკვამი... მიხედე... არ გამოვალ.

– სულ შენია... დანარჩენი სულ შენია... – თქვა წოწორია სკვამმა და იატაკზე ჩამჯდარმა თმაზე გადაისვა ხელი, ჩამოყრილი ბებრული ქოჩორი შეისწორა.

– მიდი... ღმერთი გვიშველის, – თქვა ქალმა, – მიდი... – თითები ჩაიმტვრია ხელში და გაჩერდა.

წოწორია სკვამი წამოხტა, პირჯვარი გადაიწერა და აივანზე გავარდა ძახილით: – ბიჭო, სად არი ეს ქალი? მომიხედეთ სტუმარს...

ასეთი რამეები ძველად ბევრი იყო. ხდებოდა საკმაოდ ხშირადაც. ამიტომ, მგონი ამის თხრობას აზრიც არა აქვს: სიყვარულის ამბავია, როგორც ყველაფერი სხვა.

ჩვეულებრივი, დაწუნებული სასიძოს ამბავი.

რუსებმა ჯერ საქართველოს აღმოსავლეთი დაიჭირეს, მერე კი დასავლეთი: ლამის ათი წლის შემდეგ. ამ ათ წელიწადს დასავლეთში ჯერ კიდევ იჯდა მეფე. იქედან კი მოდიოდნენ ხოლმე, იშვიათად, მხოლოდ საქმისთვის მაგრამ მაინც.

მთის გადაღმიდან ხშირად გადმოდიოდა ხოლმე ერთი ახალგაზრდა აზნაური, ახოვანი და ბრგე, წარმოსადეგი, ყოველთვის კარგად ჩაცმული და მოსხლეტილი, ფაფარა თმითა და გაწკეპილი უღვაშით. შავ საქმეზე გადმოდიოდა და სტუმრობდა ხოლმე ბევრგან, თავადებშიაც კი, რადგან თავადებიც ჩუმჩუმად ხელმრუდობდნენ. ეს ის კაცი იყო, რომელსაც მერე, ზღვის ნაპირას წოწორია სკვამი შეერქვა. ოხერი და ხიფათიანი ხელობა ჰქონდა: ადგილ-ადგილ კი იცოდნენ, მაგრამ საზოგადოდ კი არავინ, ოღონდ სადაც გამოჩნდებოდა, დასამახსოვრებელი იყო, იერით კვალს სტოვებდა, რაც ალბათ მის ხელობას არც უხდებოდა, მაგრამ ბნელი ღამისას ისეთივე შეუმჩნეველი იყო, როგორც დღისით – შესამჩნევი. დაილოცოს შავი ნაბადი, იმაში ყველა ერთნაირია, თან თუ ყაბალახით პირსაც აიკრავ.

ერთ დღეობაზე შემთხვევით მოხვედრილმა წოწორია სკვამმა შეამჩნია ქალიშვილი და დაიდაგა იმით. გაუკვირდა კიდევ. ქალის არ უნდა გაკვირვებოდა, იმდენი ენახა, ისეთ გზებზე ევლო, მაგრამ შეიყვარა იგი უცაბედად და შეიყვარა ისეთი სიმძლავრით, რომ საჩუქარსაც კი შეჰბედა საიდუმლო შეხვედრისას. ქალმა არ მიიღო, მაგრამ აზნაურმა იგრძნო, ქალსაც გულში ჩავარდნოდა.

დიდხანს იმალებოდა ეს ამბავი, აზნაური გაქრებოდა, მოუკითხველად გაუჩინარდებოდა, მაგრამ გასაოცარი საიდუმლოებით, ყოველთვის ახერხებდა მასთან დაკავშირებას. ერთ ჯერზე, ქალი გათხოვილი დაუხვდა.

ასე ხდებოდა.

სულ წყალში აჭენა ცხენი და მაინც ვერ გაგრილდა. იფიქრა, ჩემი უვარგისობის გამო ვისჯებიო. ამასაც მიხვდა, ქალის ოჯახს როგორღაც შეეტყო, რომ მის მონადირებას გადაღმიდან გადმოსული აზნაურიშვილი ცდილობდა. გადაღმა ქალის გატანება ცალკე ერთი სიმძიმე იყო, მაგრამ ალბათ, ქალის მამამ, თავადაც გამოცდილმა აზნაურმა რაღაცეები შეიტყო მის შესახებ და ამან კი უფრო აფიქრებინა, რომ ქალი სასწრაფოდ უნდა გაათხოვოს. მთხოვნელი ადრეც იყო, ოღონდაც, მამას მაინც არ უნდოდა რომ ეჩქარა, მაგრამ იფიქრა, ჩემი მაიკო რომ პატრონს ჩაბარდება, ერთი რომ ის გადაღმელი მისთვის სამუდამოდ გადაკეტილ გზას რაინდული წესით შეხედავს და მეორეც, ღვთიური კავშირის დაშლას ღვთის შიშითაც ვეღარ გაბედავსო. თანაც, ვინ დადგება სხვისი ცოლის მოყვარის მხარეს? არავინ. ქალთან ამის თაობაზე არც ულაპარაკიათ, ეს მის ღირსებასაც შელახავდა და ოჯახსაც სილამაზეს მოაშორებდა. თავის გულში უნდა მოეელო ყველაფრისთვის.

სიძე არ დაიწუნებოდა, დანარჩენის წამალი კი ცხოვრებაა.

ეჭ, ისინი არ იცნობდნენ იმ ახალგაზრდა აზნაურს. ის თავისიანებს სხვაზე ჰყიდდა და დამკავებელი რაღა იყო? იმდენი დრო გავიდა და იმდენი განცდანი ჩაიკლა, იმდენი სიმშვიდე მოვიდა და იმდენი სიხარული ქალთან, ამ კაცთან კი ვერაფრით.

ემება და იპოვა. იპოვა და უთვალთვალა. თან ახლდა თავისი ამფსონი, ისიც ტყვეთა მსყიდველი და მომტაცებელი. ემება, იპოვა და გაიტაცა.

ემებდნენ. იმ ძებნაში გაიხსენეს იმ აზნაურის ამბავი, აგე, რამდენი ხნის წინ რომ სთავაზობდა გულს. ოღონდაც ის აქეთ აღარ ენახათ. იქითაც ემება ქმარმა, ოღონდ იქით არ იყო სამებარი.

კაცმა სამხრეთისკენ წაიყვანა ქალი, იქეთ, სადაც ძევს ქალაქი ახალციხე და სადაც მაშინ სხვა ქვეყანა იყო, ოსმალეთი და სასაცილოობით, სწორედ ახალციხისთვის ბრძოლაში გამოიჩინა თავი თფილისში მოკლულმა პორუჩიკმა გეხტმა.

იქით წაიყვანა, იქ იყო მაშინ დასახლებული. გამოკეტილი ჰყავდა, სთხოვდა არსად არასდროს გაემხილა ამათი ჯვარდაუწერელობა. ქალს დაანახა სრული გამოუვალობა და უკანმოუხედავობა ამ ამბისა და სრული სიყვარული და ერთგულება თავისი. შესთხოვდა მხურვალე ცრემლით და ახსენებდა თავიანთ ძველ სიყვარულს, ჰპირდებოდა, რომ დააგდებს თავის საშინელ ხელობას, მოინანიებს ყველაფერს და წაიყვანს შორს. ქალი კი, პასუხად, მხოლოდ შვილების სახელებს იმეორებდა.

ასე გაგრძელდა წლები და გამოკეტვა ბოქლომქვეშ. ქალი თვითონაც არ გამოვიდოდა გარეთ და არც ძალა ჰქონდა გამოქცევის, ანდა რაიმე ასეთის. არ იყო ომის ქალი, მაინც თმენის, სითბოსა და მოჩვევის ქალი იყო, ხოლო ერთხელ, წვიმიდან მოსულმა და სველმა მან უთხრა, რომ ერთი დღეც მოვა და მოუყვანს თავის შვილებს.

ერთად ყოფნა წამია, იმ წამში მოხდება ხოლმე.

მერე იქედანაც აიყარა წოწორია სკვამი, ტრაპიზონისკენ დაძრა ოჯახობა და როდის-როდის, როდის-როდის გამოყვა ზღვას და მოვიდა იქ, ადრევე შეგულებულ ალაგას, სადაც მერე წამოშენდა ქალაქი ფოთი.

დრო სხვა იყო უკვე. სულ სხვა. ერთი ვაჟი მიეცათ, მეტი არც მიეცემოდათ. მეტი არც ყოფილა, ის ერთი წამის ამბავი იყო, წვიმიდან რომ მოვიდა და იყო რაღაცნაირად ძალიან საცოდავი, ეს ამხელა და ბრგე.

50.

აზიზ-ბეის, აბა, რა შეეშლებოდა.

სულ სხვა ადგილზე მოცურდა თავისი შავი ნავით და ხუთი კაცით. ლაზი ვაჭარით ეცვა, იმის მტრობას ვერაფრით იფიქრებდი. დამბაჩები და ხანჯლებიც კი ჩვეულებრივ მიემალა ლაზურ მოსასხამს უკან.

მტრედმა მიახვედრა და მის ფეხზე გამობმულმა ძაფმა: აჩიკ-ბაში სთავაზობდა, ჩამოდი და მომეხმარე, ერთად გავაკეთოთ საქმეო.

აზიზ-ბეიმ კი ააჩქარა, ბიჭებიც შეკრიბა და ცასაც ამინდი სთხოვა, ოღონდაც მიხვდა, რომ როგორც ძველ დროს, ახლაც ხელის განძრევა მოუწევდა და იმავე საათს შეუდგა

თავისი განთქმული საბრუებლის მომზადებას. ჰკეპა და ფხვნა, ერთმანეთში ზილა და ნაქსოვ ქისაშიც გამონასკვა ეს საშინელი, ხაშხაშიანი წამალი: მხოლოდ წყალში ჩასველებლა უნდოდა ამ ქისას და მერე როგორმე ცხვირპირში უნდა მიგეცა მოსატაცებლისთვის. მერე სიჩუმე იყო.

აჩიკ-ბაში როგორღაც მღელვარე ეჩვენა და მერე თავადაც აღელდა: საქმე საძნელო იყო, ისე უნდა აესრულებინათ, როგორც ჩაუქ და ფეხმარდ ჭაბუკებს შემშენით, სხვანაირად არაფერი გამოვიდოდა, დრო გამოცვლილიყო, დრო. ყველგან გუშაგი და რუსის თოფი ჩანდა. იმედი იყო კუნაპეტი ღამე და აზიზ-ბეი გულში შესთხოვდა მთვარეს, რომ არ გამოსულიყო, მოფარებოდა ღრუბლებს.

ჩიტი ბუდიდან უნდა ამოიყვანო, ვითომდა ხალისით უთხრა აჩიკ-ბაშმა, ოღონდაც აზიზ-ბეი იმან უფრო გააოცა, რომ აჩიკ-ბაშს წაყოლა სურდა, აქ ჯერჯერობით არ მედგომებო, ასე უთხრა და მიხვდა აზიზ-ბეი, რომ აჩიკ-ბაშმა მხოლოდ იმიტომ გამოგზავნა მტრედი, რომ რაღაც თავისი საქმენი ჰქონდა გულში ჩახვეული.

ასეც იყოს, თუ ჩემს საქმესაც გააკეთებსო, იფიქრა აზიზ-ბეიმ.

არა, მათ იცოდნენ ხელობა. იცოდა ამ ორმა კაცმა. აზიზ-ბეი აღტაცდა, როცა გაიგო, რომ ქალი კალმით ნახატია და თანაც კეთილშობილი რუსი. რუსი ქალი არასდროს ენახა. თავად აჩიკ-ბაშს მხოლოდ ორჯერ-სამჯერ მოეკრა თვალი პოლკოვნიკ პასეს სტუმართათვის, ოღონდაც იცოდა, ქალიშვილის ცნობა თუნდ ღამეში არ გაუჭირდებოდა, ვინაიდან აჩიკ-ბაშმა იცოდა საძინებელი ოთახი ყმაწვილქალისა და ისიც იცოდა, რომ ბალის უკანა მხარე სრულიად მკვდარია ღამის საათს, ხოლო სარკმელი მისი საქმეა.

ნავი გამზადებული უნდა ყოფილიყო და პირდაპირ უნდა გაეცურათ. აჩიკ-ბაშმა თქვა, რომ კიდევ ორი კაცი ეყოფათ და მერე ისხდნენ და დაბნელებას ელოდნენ.

ეკატერინა ენკელი საკუთარი საძინებლიდან არ გაუტაციათ. იქ არავინ იყო და აზიზ-ბეის ეჭვიც ჩაუდგა გულში, ამ ჩემმა ნაქებმა დოსტმა რუსის ხელში არ მიმცეს და ამით იმათი მადლობა არ დაიმსახუროსო. მაგრამ ეს ყოველი ტყუილი იყო.

ეკატერინა ენკელი პოლკოვნიკ პასეს ეზოდან მოიტაცა საგუშაგოსა და სახლს შუა ყვავილნარიდან ამოზრდილმა ორმა ბებერმა მოჩვენებამ. ისე, რომ ჩქამიც არ ყოფილა. თითქოს კატამ დაიკნავლაო. მოახლე გოგო, რომელიც მას მოაცილებდა, აზიზ-ბეიმ იკისრა. ადრევე დამარაგებული ქვა დასცა, ვინაიდან ქვა პირველია ასეთ დროს, თუკი სილამაზეს არ უფრთხილდები. აჩიკ-ბაშმა კი... ოჰ, რა ოსტატი იყო აჩიკ-ბაში! ისე შემოაფარა თავისი დიდი ხელი პირზე პოლკოვნიკის ქალიშვილს, ხოლო მეორე ხელით ისე შეჰკრა, რომ ერთი კატის წამოკრუტუნება იყო სწორედ.

ჰაი, ძველ დროებას! ამის გაფიქრება მოასწრო აზიზ-ბეიმ და მისმა კაცებმა კი მოახლე გოგო ყვავილნარში გადაათრეს. ოთხივემ ერთად, თითქოს ტურამ გაიშლგინა ბუჩქებშიო, გაკოჭილი ეკატერინა ენკელი ისე გააქანეს, რომ მის სხმარტალს და წკმუტუნს მხოლოდ ისინი გრძნობდნენ და აჩიკ-ბაშის გაცხელებული, თუ გაცივებული ხელი.

აღმიდან წავიდნენ. მოშორებულზე, დასველებული ქისა ჩასტენეს პირში და გაძუნძულდნენ ტვირთით, იქეთ, სადაც ნავი ეგულეობდათ. ზღვის ხმა ისმოდა და მოტაცებული ჯერ ისევ სხმარტალეზდა.

– ცხენი... ცხენი, – წაისისინა აჩიკ-ბაშმა და მოკლედ დაუსტვინა. დრო ცოტა იყო, რამდენი უნდა დასჭირდეს ორ ქალს, რომ მეზობლისგან დაბრუნდეს?

51.

– არა!.. არა!.. არა ბადუნა... არა შვილო, არ წახვიდე... აღარ მოვა... არასდროს აღარ მოვა...

იმ სიბნელეში აივანზე შემფრთხალი ორი წყვილი თვალი ჩანდა. პატარა ბიჭები ცდილობდნენ, ბეზია დაენახათ. ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა და სად წავიდა სტუმარი.

– არა, ბადუნა, დედა, არ მომიკვდე... არ მომიკვდე, ბადუნა...

ცხენის ფლოქვების ხმაც ისმოდა თითქოს. ამ მახილზე ძაღლები აყეფდნენ სიბნელეში. ქალი გარბოდა, მალევე წაიქცა. ან რა იცის ქალმა ბნელში სიარულის.

სიბნელე იყო, უმაშხალობა და უყველაფრობა.

ბადუნა ფავნელი, ამხედრებული, შეშლილივით მიაჭენებდა. იქეთ, სადაც უნდა ყოფილიყო ზღვა. უცნაური, შეუკავებელი და მოუღლეელი ხმა ესმოდა. მანამდე გაუგონარი ხმა, ძლიერი და საშიშარი, თუმცა, წყნარი, მაგრამ ისეთი, რომ ვერ წაუხვალ და ვერ ასცდები. მიაჭენებდა და ფეხქვეშ კი ვერაფერს ხედავდა. ხმა და რაღაცნაირი სისველე მოდიოდა უკვე და ბადუნა ფავნელი ხვდებოდა, რომ ზღვა სადღაც ახლოს იყო, იმიტომ, რომ ხმა იმატებდა და იმატებდა. რაღაც მოთეთრო ჩანდა გაყოლებაზე და იქით რომ მიაგდო ცხენი, იგრძნო სისველე, მიხვდა, აი, ეს ყოფილა ზღვის ნაპირი, ოღონდ ვერ ხედავდა. მიაჭენებდა და მიჰყვებოდა ზღვის ნაპირს. ერთი შეუძახა ცხენს და არ იცოდა, რომ იქეთ, ტყისპირზე, რომელიც არ ჩანდა, საგუშაგო იყო. ისევ მიაჭენებდა, ისევ მიდიოდა წინ და ცდილობდა, სადმე რაღაცის ნიშანწყალი დაეღანდა იმ ტანსმოდებულ სისველესა და სიავეში. მერე თითქოს მდევარი იგრძნო, რადგან რაღაც დამახილი მოესმა, ერთი მოხედა და ვერაფერი დაინახა. ისევ მიაჭენებდა და ხედავდა სინათლის წერტილს სადღაც წინ, ეგებ ზღვაშიცო, ფიქრობდა, ეგებ ნავიც არიო.

ხმაღში, მხოლოდ ხმაღში, იმ თქარათქურში ეს სურათი წარმოედგინა, რომელიც იმ კაცს და მას მოუხდებოდათ. აუცილებლად მოუხდებოდათ. უნდა მოხდომოდათ. ხმაღში, მხოლოდ ხმაღში. ის მბჟუტავი სინათლით კი თითქოს უფრო ახლოს იყო.

– დადექ!.. – დაიღრიალა ბადუნა ფავნელმა, – დადეექ... ძაღლო! – დამბაჩა ამოიძრო ქამრიდან და გაისროლა, – დადეექ, მოვიდა მეწინავე დროშა!.. დადექ!!! – და დამბაჩა სადღაც მოისროლა, – დადექ, თათარო... აჰააა!!!!..... – ძველ საომარ შეძახილებს ღრიალებდა, ბავშვობაში განაგონს და სცემდა ცხენს დეზებს და მიჰქროდა. ხმალი იძრო და გააქანა ცხენი უკანასკნელი ძალით. სინათლეს ხედავდა, სინათლე ახლოს იყო, იმ ხმაურში, იმ აუწერელ ხმაურში აქეთ-იქიდან რომ სცემდა. აღარაფერი ესმოდა, თავისი ფიქრიც კი.

52.

– აქეთ, – უთხრა პოლკოვნიკმა პასემ პოლკოვნიკ ენკელს, როცა ჩამოქვეითდნენ და ზღვის სანაპიროსკენ წავიდნენ – აქეთ...

ორივენი უსიტყვოდ მიდიოდნენ, ქვა ხმაურობდა ფეხქვეშ.

ახალგაზრდა ოფიცერი შემოეგებათ, სველი ჩექმით. ჯარისკაცები არეულად იდგნენ, იჭიმებოდნენ, პოლკოვნიკები მათ არ უყურებდნენ, მიდიოდნენ წინ, იქით, სადაც ზღვა იწყებოდა. უმზეო გამთენია იყო, მაგრამ ამინდი კარგი იქნებოდა, დღე კი თბილი.

იქ ხისგან შეჭედილი ნავმისადგომი ჩანდა, ძველი ფიცრის, ჩამპალი და მთლად სველი. იმას იქით კი ნავი არ იყო. ხალხი ტრიალებდა, შორს სოფლელები იდგნენ, გუშაგები არ უშვებდნენ აქეთ, თორემ ალბათ უნდოდათ მოსვლა და ყველაფრის დათვალიერება.

მოკლულები ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩაემწკრივებინათ, სწორედ ამ სველი ნავმისადგომის წინ.

პოლკოვნიკი პასე ოდნავ უკან გაჩერდა.

– ესაა, – თქვა პოლკოვნიკმა ენკელმა.

მერე კი გამოტრიალდა და წამოვიდა.

– ეს ვინ არის? – ჰკითხა პოლკოვნიკმა პასემ აშკოვსკის.

– უცნობია, თქვენო... ეს კი, ყველაზე მეტად ეს გამიკვირდა.

პოლკოვნიკმა პასემ გვამს გადახედა და მხრები აიჩეჩა.

– კარგი, მიხედეთ.. ამას ხომ ჰყავს ვინმე?

– ცოლი და შვილიშვილები, თქვენო კეთილშობილებავ, ეს ჩვენი..

პოლკოვნიკმა ხელი აიქნია, ვიცო და ისიც მოტრიალდა, ფეხქვეშ ხმაურით წავიდა უკან.

პოლკოვნიკი ენკელი მოშორებით იდგა და ზღვას უყურებდა.

– ეს თუ სიყვარულია, – თქვა დიდი გაჭირვებით, – ეს თუ სიყვარულია...

პოლკოვნიკი პასე ერთხანს ჩუმად იყო, მერე კი მხარზე დაადო ხელი მეგობარს და უთხრა: – ახლა მისმინე... რახან ეს ჭაბუკი მოკლულია... ასე უნდა ვქნათ. ბათომის ფაშის იმედი უნდა გვქონდეს, მეტი არავისი... მე თვითონ წავალ. წინ კაცს გავუშვებ... მათ რათ უნდათ ასეთი რამ... მოგვისმენენ, დავიბრუნებთ... ვითარება ისედაც წინასაომარია. არ მგონია უღირსი კაცი იყოს... მისმენ? მათ ხომ არ იცოდნენ, რომ ეს... დაიღუპა? რახან მისთვის იტაცებდნენ...

პოლკოვნიკი ენკელი თითქოს არც უსმენდა.

– ჰო, – თქვა ბოლოს, – ჰო...

ნაპირზე კი ფორანი შემოხრიგინდა. ალბათ ზედ უნდა შემოეწყოთ წოწორია სკვამის, აზიზ-ბეისა და ბადუნა ფავნელის გვამები.

კაპიტანი აშკოვსკი ისევ მოკლულებს დასცქეროდა. მერე ნავმისადგომზე შეაბიჯა და თითქოს თავისთვის თქვა: – მიატოვეს. ნავი წავიდა...

უკნიდან მოესმა პორუჩიკ მანველოვის ხმა: – ხანჯლები ოჯახს უნდა დავუბრუნოთ... თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი ნადავლია?

აშკოვსკიმ მოიხედა, თითქოს გაოცებით შეხედა პორუჩიკს და ჰკითხა: – ველური ხომ არ გგონივართ?

პორუჩიკმა მანველოვმა თვალი მოარიდა, ჩაიმუხლა და მიწაზე დალაგებულ თოფ-იარაღს დააცქერდა.

მერე რაღაც თქვა ქართულად. ალბათ ქართულად.

– რა თქვით? – ჰკითხა აშკოვსკიმ.

მაგრამ იმას აღარ უპასუხია, წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

53.

პორუჩიკი მანველოვი ყაზარმებში იყო მორიგედ, როცა მოახსენეს, ვიღაცეები გკითხულობენ და ალყაფთან გელიანო. პორუჩიკი უხალისოდ გამოვიდა გარეთ, პლაცი გადმოიარა და ალყაფის გუშაგებს კარის გაღება უბრძანა.

პირდაპირ და უაზროდ გავიდა გარეთ და დაინახა იქ მდგომი ორი კაცი: ერთი ცოტა ასაკოვანი, გლეხურად, მაგრამ სუფთად ჩაცმული და მეორეც ახალგაზრდა, უკეთესი იერისა, თხელი, ჭაბუკური წვერით.

– სალამი, ბატონო, – უთხრა ხნიერმა, – იხარე და იდღეგრძელე..

– გაგიმარჯოს, – უთხრა მანველოვმა, – ვინა ხარ?

– მე... მე შენი კვნესამე გლეხი ვარ, – უთხრა კაცმა, რომელსაც კუნაპეტივით უღვაში ჰქონდა, – ესა კიდეც, ყველა ანგარიშით აზნაურიშვილია... ეხლა მე... მე კი უნდა წავიდე, შენი კვნესამე და ესა, ახალგაზრდა კაცია, გამოუცდელი და გზა დაჰკარგა... შენ უნდა იცოდე მაგათი სოფლისა და... ეგებ მიხედო შენი კვნესამე, თორე მე, აბა, მე რა შემიძლია... ამასა დედა ჰყოლია სოფლად და შენ კი გეცოდინება ის სოფელი სად არის... მივიდეს, თავის ადგილზე. განა არა აქვს ამის ნება?

მანველოვმა ახალგაზრდას გადახედა.

ის იდგა მშვიდად, თითქმის გაუნძრევლად და შემოსცქეროდა თითქოს ოდნავ დაბნეული თუ შემცბარი.

– რა გქვია? – ჰკითხა მანველოვმა. ახალგაზრდამ კი არ უპასუხა.

მანველოვმა მოიხედა.

გლებკაცი აღარსად იყო, თითქოს მიწამ უყო პირო.

– ჰეი... – აღმოხდა მანველოვს.

ასე მოუყვანა გოგია ნუკრაძემ თადია ფავნელი პორუჩიკ მანველოვს.

თფილისი იყო ისევ რაღაცნაირი ხმაურით სავსე, მშვიდი ხმაურით, ნიმოს მღვდელი კი აღარასდროს მისულა ერისთავებისას, თავის სიცოცხლეში აღარასდროს.

თივის სუნი კი ისევ იდგა თფილისში, განსაკუთრებით ყაზარმების მხარეს, იქით ყოველთვის ბევრს ეზიდებოდნენ თივას.

54.

ზადუნა ფავნელმა კი ეგრეც ვერ ნახა ზღვა, ვინაიდან მის ნაპირას ღამით მივიდა.

საოცარი სურათი იყო. დღით რომ მომხდარიყო, იმის შემხედვანი გაოცდებოდნენ, ბევრს და ყოველთვის ილაპარაკებდნენ ამ ამბავზე.

მაგრამ განა დღისით ხდება ამგვარი რამეები?

ყველაფერი მზად იყო და ისინი მიდიოდნენ, აზიზ-ბეიმ ბაგირის მოხსნა უბრძანა თავის კაცებს, როცა უეცრად აჩიკ-ბაში ნავმისაბმელზე ავიდა.

– ეჰეი, – გამოსძახა აზიზ-ბეიმ მოგუდულად, – ხო მშვიდობაა?... შეელიე მაგ ცხენს, უკეთესს გიპოვი...

– ვილაცა მოდის... – თქვა აჩიკ-ბაშმა.

– წავედით, წავედით... ვინ ვილაცა? მდევარია.

აჩიკ-ბაშს თითქოს არ გაუგონია მიაყურადა და აზიზ-ბეიმაც გაიგონა ყვირილი.

– წავედით, ჰეი...

აჩიკ-ბაშს არ მოუხედავს და აზიზ-ბეი ვერაფრით იტყოდა, რატომ გადავიდა ნავმისაბმელზე.

– ვერ გავწვდებით, სროლა გინდა?

აჩიკ-ბაში არ უსმენდა.

მხედარი სულ ახლოს იყო.

– ჯანდაბას შენი ღამის თვალები და ღამის ყურები, – წაიბურტყუნა აზიზ-ბეიმ და დამბაჩა მოიმარჯვა, – ვინ არის?

– ჩემიანია, – თქვა აჩიკ-ბაშმა.

მხედარი ჩამოქვეითდა. დაინახეს მისი მოხდენილი ლანდი. ხელში ხმალი ეჭირა.

არაფერი უთქვამს, თითქოს ხმალი დაანახა აჩიკ-ბაშსო.

აჩიკ-ბაშმა აზიზ-ბეის გადმოხედა და უთხრა: – გაცურე შენ...

აზიზ-ბეიმ კი ნავისკენ გაისროლა ბრძანება: – მოიცათ...

და ისინი იბრძოდნენ ხმლებით.

აზიზ-ბეიმ ფარანი მოხსნა ნავს და ნავმისადგომზე დადგა.

იდგა და უცქეროდა.

ამ დროს გავარდა. რუსები ახლოს იყვნენ. მათ კი არ ესმოდათ.

აზიზ-ბეიც მდუმარედ იდგა. მხოლოდ თოფი მოაწოდეს ნავიდან და ჩასაფრდნენ კიჩოს ჩამოყრდნობილები.

რუსები ისროდნენ, ბნელში, ანგარიშმიუცემლად.

ხმლების წკრიალი ძლივს ისმოდა ზღვის ხმაურში.

– საომარია! – დაიძახა უცებ აზიზ-ბეიმ, – საომარია, ბიჭო!!!

და სიბნელისკენ გაისროლა.

მერე ჩვეულებრივად იყო. ისე, როგორც ძველ დროში.

სამივენი ნავმისაბმელის შორი-ახლოს ჩასაფრდნენ. ისროდნენ და ტენიდნენ, იქედან ბევრი მოდიოდა.

როცა აზიზ-ბეის მოხვდა, წოწორია სკვამმა დაუძახა მენავეებს: – გაცურეთ, ჰეი!!!.. გაცურეთ... თქვენი პატრონი წავიდა...

ნავი ნელა გაშორდა ნაპირს იმ სროლაში.

ლონდონი, 10-18 მაისი, 2007